ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
XLII
MOAMBE

INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2021 TBILISI

უაკ (UDC) 33 (479.22) (051.2)
ს-323

„მოამბე" გამოდის 1995 წლიდან
„MOAMBE" IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი. უცხოელი ავტორებისთვის სტატიის სრული გადასახადი 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;
ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47
ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continiues taking articles according to this requests:
1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. 3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languagues too.
The price of article's publication is one page of Journal 8 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari). For foreign authors the full tax of the article is 50 USD equivalent in GEL.

E-mail: temur.babunashvili@mail.ru; **mariizoria@mail.ru;**
Tel: 593 239 958; 593 959 247
www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTICATE #1982)

„მოამბე“
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №42, 2021 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.*

სარედაქციო კოლეგია
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გოგოხია რევაზი, გვარამია ვახტანგი, გველესიანი მერაბი, გეჩბაია ბადრი, ელიავა ლია, თურნავა ნათია, იზორია მარინა, კურტანიძე დავითი (აშშ), კვალიაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლობჟანიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშხია გიორგი, მელაძე სერგო, მექვაბიშვილი ელგუჯა, ნარმანია დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკეტლიშვილი მიხეილი (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლოიდი, ქეშელაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩეჩელაშვილი მაია, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანავა ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხელაშვილი იოსები, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერქაიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესბერგერი (ყაზახეთის რესპუბლიკა), გალინა ლოპუშნიაკ (უკრაინა), ზალენიენი ინგა (ესტონეთი), ვდოვენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), გალინა კუზმენკო (უკრაინა), ტადეუშ ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანატოლი შევჩუკი (რუსეთი), იაცეკ სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალეინიკოვა (უკრაინა), ევგენი ჟუკოვი (რუსეთი).

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №42, 2021

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doktor of Ekonomic Sciense, President of Georgian Academy of Business Science, Honored citizen of Tbilisi

EDEDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVARAMIA VAKHTANGI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALEINIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA).

შინაარსი

1. მამია ჭუმბურიძე, გიორგი ჭუმბურიძე 7
ფირმა როგორც დარგობრივი ბაზრის სუბიექტი
2. ლია მონყოგილი, რუსუდან ქუთათელაძე 19
საცალო ბაზრის ზოგიერთი მახასიათებელი
3. ქეთევან ჯოჯიშვილი 25
აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება საქართველოსა და უკრაინაში არსებული კონფლიქტების ჭრილში
4. ალექსანდრე ბუაჩიძე 32
სეისმური დატვირთვების ზემოქმედება ქანის მასივთან ერთობლივი დეფორმაციის რეჟიმში მყოფი გვირაბის სამაგრ კონსტრუქციაზე
5. ირმა ტაბატაძე 37
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო
6. ვახტანგ არჩვაძე 44
სხვადასხვა განზომილებიანი მოდელების შესაძლო თემატური ინტერ-პრეტაციები არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირებაში
7. EKATERINE MARUASHVILI 48
PHILOSOPHY OF LINGUISTICS
8. მეგი მანდარია 52
მეტაფორა: სტრუქტურები და მახასიათებლები
9. ბესიკ ბარკალაია, ნინო აქიმიშვილი 55
ტურისტული პროდუქტის განსხვავებული თვისებები სხვა პროდუქტთან მიმართებაში
10. ირინა წიკლაური 60
უმაღლესი განათლებით მოსახლეობის მომცველობა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში
11. ალექსანდრე ბუაჩიძე 64
THE CONCENTRATION OF SEISMIC STRESS UNREINFORCED AROUND THE TUNNELS
12. მარინა იზორია 70
გეოეკონომიკური პროექტი 3+3 და გეოპოლიტიკური იმორალიზმი
13. ონისე მირცხულავა 76
ცოტა რამ ბიზნესის შეღავათიან დაბეგვრის შედეგებზე
14. ზაირა ღუდუშაური, ონისე მირცხულავა 80
რა მისცა დაბეგვრის ესტონურმა მოდელმა გადასახადის გადამხდელ ბიზ-ნესს საქართველოში?

ახალი წიგნი - მაია გელანტია - რუსეთის ფედერაციის ენობრივი პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონ-ში ქართული ენის აკრძალვა)..... 83

სამეცნიერო გვერდი 86
მილოცვები - აკადემიის წევრების იუბილეებთან დაკავშირებით 88

CONTENTS

1. MAMIA CHUMBURIDZE, GEORGE CHUMBURIDZE 7
Firm as a sectoral market entity
2. LIA MOTSKOBILI, RUSUDAN KUTATELADZE 11
Some Characteristics of the Retail Market
3. KETEVAN JOJISHVILI 25
Conflict of US-Russia Interests in the terms of Conflicts in Georgia and Ukraine
4. ALEKSANDRE BUACHIDZE 32
Impact of seismic loads on rock mass Tunnels in joint deformation mode About bracket construction
5. IRMA TABATADZE 37
The World Economic Crisis and Georgia
6. VAKHTANG ARCHVADZE 44
Different dimensional Thematic interpretations in architectural-construction design
7. EKATERINE MARUASHVILI 48
Philosophy of Linguistics
8. MAGGIE MANDARIA 52
Metaphor: Structures and Features
9. BESIK BARKALAIA, NINO AKIMISHVILI 55
Distinct Features of the Tourism Product In Relation to Another Product
10 IRINE TSIKLAURI 60
The Amount of the population with higher education in Georgia and in foreign Countries
11.ALEXANDER BUACHIDZE 64
The concentration of seismic stress unreinforced Around the tunnels
12. MARINA IZORIA 70
Geo-economic project 3 + 3 and geopolitical immorality
13. ONISE MIRTSKHULAVA 76
A Few Things About The Consequences Of Preferential Business Taxation
14. ZAIRA GHUDUSHAURI, ONISE MIRTSKHULAVA 80
«What Did The Estonian Model Of Taxation Give To The Tax-Paying Business In Georgia?»

NEW BOOK - maia gelantia - LINGUISTIC POLICY OF THE RUSSIAN FEDERATION IN THE OCCUPIED TERRITORIES OF GEORGIA (the condition of the Georgian Language in Abkhazia and Tskhinvali region) 83

CONDOLENCE PAGE 86
Congratulations on the anniversaries of the members of the Academy 88

ფირმა როგორც დარგობრივი ბაზრის სუბიექტი

მამია ჟუმბურიძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ჟუმბურიძე
ეკონომიკის დოქტორი

დარგობრივი ბაზრების, ეკონომიკის სრულყოფილი ანალიზი, ფირმის, როგორც დარგობრივი ბაზრის სუბიექტის გამოკვლევასაც მოიცავს. ფირმა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური საქმიანობის გამოცალკევებული სუბიექტია, რომელიც სხვა სუბიექტებთან: მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, კონკურენტებთან, სახელმწიფოსთან ურთიერთობით და თანამშრომლობით ფუნქციონირებს, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც ამბობენ, რომ ფირმა არის სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი სტრუქტურული ერთეული და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამეწარმეო საქმიანობისა და ფირმის არსს, მათ გენეზისს და აუცილებლობას, სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და სხვა სპეციფიკურ საკითხებს.

სამეწარმეო საქმიანობის არსი. ეკონომისტები და ისტორიკოსები, გამოყოფენ წარმოებს სამ ისტორიულ ფორმას. 1. **ოჯახურ წარმოებას**, სადაც წარმოებული პროდუქცია ოჯახის წევრთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვისაა განკუთვნილი. 2. **ხელოსნურ წარმოებას**, როცა სასოფლო-სამეურნეო პრიმიტიულ წარმოებას გამოეყო გადამამუშავებელი მრეწველობის პირველი ფორმა – ხელოსნური წარმოება, რომელიც დამყარებული იყო ხელით შრომაზე მარტივი, კუსტარული შრომის საშუალებების გამოყენებაზე; 3. **მანუფაქტურას,** რომელიც აღმოცენდა შრომის დანაწილების გაღრმავების შედეგად და ხელით შრომასთან ერთად შედარებით სრულყოფილ წარმოების საშუალებებს ემყარებოდა. ეს შრომის ორგანიზაციისა და შრომის დანაწილების ისეთი ფორმაა, როცა მრავალი პირი ერთმანეთთან დაკავშირებულ შრომის პროცესში ერთიმეორის გვერდით შეერთებულად მუშაობს. საკუთრებითი ურთიერთობისა და შრომის (მეწარმეობის) ორგანიზაციის ასეთ ფორმას **კოოპერაცია** ეწოდება. (კოოპერაცია ლათინურად თანამშრომლობას ნიშნავს).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სხვადასხვა სახის საქონლის (პროდუქტის) და მომსახურების წარმოებას მიკრო და მაკრო დონეზე ზოგადად ეწოდება **სამეწარმეო საქმიანობა,** ბიზნესი. პიროვნებებს კი, რომლებიც ჩართულნი არიან ასეთ საქმიანობაში, ეწოდება მეწარმეები ან ბიზნესმენები.

ეკონომიკურ თეორიაში სამეწარმეო საქმიანობა განიხილება როგორც წარმოების ფაქტორების შეერთების ორგანიზება საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. თვითონ მეწარმისათვის კი სამეწარმეო საქმიანობის საბოლოო მიზანი არის მოგების (სარგებლის) მიღება, ანუ მოგება არის მისი საქმიანობის მამოძრავებელი ძალა და მთავარი მოტივი.

ამასთან ერთად, სხვადასხვაგვარი, მრავალფეროვანი მოთხოვნილებების, მათ შორის საკუთარი (პირადი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ საქონელთა (მომსახურების) ურთიერთგაცვლის შედეგად. აქედან გამომდინარე, საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ადამიანები ქმნიან საქონელსა და მომსახურებას სხვებისათვის და ამგვარად, არაპირდაპირი

გზით საკუთარ მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია დააკმაყოფილო სხვისი მოთხოვნილებებიც, რისთვისაც აუცილებელია საბაზრო გარემო ანუ საბაზრო ურთიერთობები, სადაც ფუნქციონირებას იწყებს სამეწარმეო საქმიანობა ანუ ბიზნესი.

სამეწარმეო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთრებასთან. მეწარმე საკუთრების გარეშე წარმოაუდგენელია. მესაკუთრეს აქვს გამოკვეთილი მისწრაფება გაზარდოს თავისი საკუთრება, შედეგად შექმნას პირობები საქმიანობის გაფართოებისა და მოგების გადიდებისათვის, ამიტომ მეწარმეობას მეორენაირად საკუთრების რეალიზაციის ძირითად ფორმასაც უწოდებენ. გამოჩენილი ავსტრიელი ეკონომისტი ი.შუმპტერი (1883-1950), "მეწარმეობას საზოგადოებრივი განვითარების საკვანძო ფენომენს, ხოლო მეწარმეს ეკონომიკის მთავარ ძრავას უწოდებდა.

ცნებები ტერმინები: "სამეწარმეო საქმიანობა" და "ბიზნესი" ფაქტობრივად ერთსადაიგივე შინაარსს გამოხატავენ. ბიზნესი უცხოური წარმოშობისაა, ინგლისურად იგი ნიშნავს საქმიანობას, როგორც პირადი გამდიდრების წყაროს. მისი ქართული შესატყვისია "საქმოსნობა". საქმოსნობა ახლო წარსულში ნეგატიურ საქმიანობასთან იყო გაიგივებული, ამიტომა ტერმინი "საქმოსნობა", როგორც სალიტერატურო და ეკონომიკური ტერმინი პრაქტიკაში ვერ დამკვიდრდა. ცნება, ტერმინი "მეწარმეობა" უმთავრესად ეროვნული წარმოშობისაა და "წარმოებიდანაა" ნაწარმოები.

კიდევ ერთი განსხვავებულობის შესახებ ტერმინოლოგიაში. ხშირად სამეწარმეო ბიზნეს, საქმიანობას აიგივებენ კომერციულ საქმიანობასთან ანუ კომერციასთან კომერციული საქმიანობა ფართო გაგებით ბიზნესის ერთ-ერთი ფორმაა, რაც პროდუქციის რეალიზაციასთან, ვაჭრობის სფეროსთან არის დაკავშირებული. ვიწრო გაგებით, კომერციული საქმიანობა ბიზნესის ნაწილია, რაც სავაჭრო გარიგებებთან (კონტრაქტებთან), მათ გაფორმებასთან არის დაკავშირებული.

ფირმა როგორც სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი სტრუქტურული ერთეული. საბაზრო ეკონომიკის სუბიექტებია: 1. საოჯახო მეურნეობები; 2. ფირმები, საწარმოები; 3. ბანკები; 4. სახელმწიფო (მთავრობა). ისიც ვიცით, რომ ბაზრის მთავარი ატრიბუტია. საქონელი. ახლა განვიხილოთ ბაზრის ერთ-ერთ მთავარ სუბიექტს და მისი სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტი ფირმა.

ფირმის არსს, მის ეკონომიკურ ბუნებას მრავალი შრომა აქვს მიძღვნილი, მაგრამ რამდენადაც ფირმებიც და ბაზრებიც ვითარდებიან, ადაპტაციას გადიან ბაზარზე ახალ-ახალი წესრიგისა და სიტუაციის გამო, იცვლება წარმოდგენებიც ფირმების, როგორც საბაზრო ეკონომიკის ფენომენის მიმართაც. ასე მაგალითად, თვლიან, რომ „ფირმა სამეურნეო–ორგანიზაციული ერთეულია, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, გააჩნია კომერციული მიზნები და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. ვ. ტრეტიაკის აზრით „ფირმა – მეწარმეობის რომელიმე უჯრედის ყველაზე ზოგადი სახელწოდებაა, მიუხედავად მისი ზომისა, საკუთრებისა და ორგანიზაციცული ფორმებისა. თითქმის ანალოგიაური განმარტება აქვს მოცემული რ. ასათიანს თავის თანამედროვე ეკონომიკის განმარტებით ლექსიკონში: „ფირმა – ბიზნესის ორგანიზაციული ერთეული (სხვაგვარად კომპანია) მეწარმეობის ყველაზე ზოგადი სახელწოდება, მისი სიდიდის, ორგანიზაციული და საკუთრების ფორმის მიუხედავად". გ. თოდუას, რ. გოგოხიას და რ. ქუტირის აზრით „სამეწარმეო ფირმა არის ორგანიზაცია, რომელიც ფორმირდება და იმართება მის მფლობელთა მიერ მოგების მიღების მიზნით, ერთი ან მეტი საქონლის წარმოებისა და ბაზარზე გაყიდვის მეშვეობით", ეკონომიკური თეორიის ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორები მიუთითებენ,

რომ „ფირმა (საწარმო) წარმოადგენს სამეურნეო რგოლს, რომელიც საკუთარ ინტერესებს ახორციელებს წარმოების ფაქტორების გეგმაზომიერი კომბინაციის გზით საქონლისა და მომსახურების დამზადებისა და რეალიზაციის კვალობაზე“. კ. მაკკონელსა და ს.ბრიუს მიაჩნია, რომ „ფირმა – ორგანიზაცია, რომელიც იყენებს რესურსებს საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად მოგების მიღების მიზნით, რომელიც ფლობს და მართავთს ერთ ან რამდენიმე საწარმოს.“ ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ვ.კამაევასა და ავტორთა კოლექტივის სახელმძღვანელოშიც. ა. სისვაძის განმარტებით „ფირმა გარემოსაგან ქონებრივად და სამართლებრივად გამოყოფილი, ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი, ცენტრალიზებულად მართვადი წარმოებრივი სისტემაა, რომელიც მოგების მიღების მიზნით თვითდაფინანსების, ეფექტიანობის, კომერციული ანგარიშისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე საქონლის წარმოებასა და მომსახურებას ახორციელებს“. კ. სტენლეიკის პოპულარულ სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „ფირმა წარმოადგენს მართვის ერთეულს. ესაა ორგანიზაცია, რომელიც ბიზნესს ეწევა; იგი კონტროლს უწევს მიწის, შრომითი რესურსებისა და კაპიტალის გამოყენებას. ერთ ფირმას შეიძლება ჰქონდეს ან მის კონტროლს ექვემდებარებოდეს რამდენიმე საწარმოო ერთეული“. თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მაკმილანის ლექსიკონში ყურადღება გამახვილებულია რესურსების პროდუქტად გარდაქმნაში, ფირმის ტექნიკურ ფუნქციაზე, მაკოორდინირებელ როლზე და რესურსებს ალოკაციური ეფექტიანობის მექანიზმზე.

რა შეიძლება ითქვას ამ განსაზღვრებების შესახებ? პირველი, ყველა ამ განსაზღვრებაში მეტ–ნაკლებად სწორადაა ასახული ფირმის არსისა და ბუნების ძირითადი მახასიათებლები; მეორე, დარგობრივი ბაზრების ეკონომიკის თეორიის კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფირმის როგორც საბაზრო ეკონომიკის ერთ–ერთი ძირითადი სუბიექტის ანალიზი, შესაბამისად განსაზღვრებაც, უფრო სიღრმისეულ მიდგომას საჭიროებს.

დავიწყოთ იმით, რომ ტრადიციულად ფირმის ქვეშ იგულისხმება სამეწარმეო ორგანიზაცია, როგორც წესი, იურიდიული პირი. ტერმინი “ფირმა” ხშირად გამოიყენება ორი მნიშვნელობით: ვიწრო გაგებით ეს არის სახელწოდება, რომლითაც მეწარმე წარმართავს თავის საქმიანობას (“მერანი”, “იმედი”, “ყაზბეგი”, “კოკა-კოლა” და სხვა). ფართო გაგებით – ეს არის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ძირითადი სამეწარმეო სუბიექტი, რეგისტრირებული შესაბამისი სამართლებრივი ფორმით.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ფირმა და საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი მსგავსებაა, სწორედ ამ მსგავსების გამო მათ ხშირად სინონიმებადაც კი მოიხსენიებენ.“ ფირმა უმეტესწილად გვევლინება როგორც მრავალპროფილიანი, მრავალპროდუქტიანი წარმოება, მაშინ, როცა საწარმო უმეტესწილად ერთპროდუქტიანი წარმოებაა. ე.ი. ფირმა შეიძლება რამდენიმე საწარმოს მოიცავდეს, ანუ „თანამედროვე ფირმები მრავალპროფილიან სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. თანამედროვე ფირმების მრავალპროფილიანობა განპირობებულია ეკონომიკური მიდგომით, იგი ფირმის საქმიანობას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სტაბილურს ხდის, რამდენადაც ზარალიანობა ერთი სახის საქმიანობაში შეიძლება გადაიფაროს მეორეთი, შეიცვალოს ასორტიმენტი ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად, მიწოდების გაზრდის ან შემცირების მიმართულებით განახორციელოს წარმოების კოცენტრაცია. ასეთი პროცესი, როგორც წესი, ფორმის გაფართოებას განაპირობებს. საქონლის (მომსახურების) ასორტიმენტის გაფართოების ხარჯზე წარმოების მოცულობის ზრდას **დიფერსიფიკაცია** ეწოდება. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმები ძირითადად დივერსიფიცირებული სახისაა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **მეწარმე და მენეჯერი.** მეწარმე ქონების მეპატრონეა და დამოუკიდებლად, საკუთარი რისკითა და სპასუხისმგებლობით წარმართავს თავის სამეწარმეო საქმიანობას კანონმდებლობის შესაბამისად. მენეჯერი დაქირავებული მმართველია (დირექტორი), რომელიც მართავს ფირმის მრავალმხრივ საქმიანობას, არ ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა და თავისი საქმიანობისათის პასუხს აგებს მხოლოდ დამქირავებლის, ფირმის მესაკუთრის წინაშე ხელშეკრულების შესაბამისად.

თანამედროე ეკონომიკურ ლიტერატურაში ფირმის არსის, მისი ბუნების ასახსნელად ორი მიდგომაა გამოკვეთილი – ტექნოლოგიური და ინსტიტუციური მიდგომა.

ტექნოლოგიურ მიდგომას ფუნქციურსაც უწოდებენ. ამ მიდგომის თანახმად მთავარი ყურადღება გადატანილია ფირმის ზომაზე, სიდიდეზე, წარმოების მოცულობისა და დანახარჯების თანაფარდობის ანალიზზე და, აქედან გამომდინარე, ფირმის ოპტიმალური ზომის განსაზღვრაზე მოგების მაქსიმიზაციის მიზნით. ადვილი შესამჩნევია, რომ მზარდი მასშტაბის ეფექტის მიღწევა ფირმის არსისა და ბუნების ანალიზისას ამ მიდგომის ამოცანას წარმოადგენს.

ინსტიტუციური მიდგომის ცენტრალური პრობელმაა არა მხოლოდ მოგების მაქსიმიზაცია, არამედ ფირმის აღმოცენების (გენეზისის) აუცილებლობისა და განვითარების საკითხები. ნობელის პრემიის ლაურეატი (1991წ.) რ.ქოუზი, ასევე ამერიკელი ეკონომისტი, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატი (1993წ.) დ.ნორტი, ამერიკელი ეკონომისტი ო.უილიამსონი ფირმის არსის, აუცილებლობის, გენეზისის და სტრუქტურის" ასახსნელად იხილავენ ე.წ. "პრინციპალ-აგენტის" პრობლემას (პრინციპალი არის ფირმის ძირითადი მესაკუთრე, ხოლო აგენტი – დაქირავებული დირექტორი, მენეჯერი, რომელსაც პრინციპალი აძლევს უფლებამოსილებას ანუ რწმუნებას, გამოიყენოს და მართოს რესურსები, წარმოების ფაქტორები, ხელშეკრულების სათანადო ანაზღაურებით). თავიანთი თეორიის ახსნა–დასაბუთებისათვის ამ თეორიის ავტორები იყენებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა: 1. ტრანსაქციური ხარჯები; 2. ოპორტუნისტული ქცევა; 3. ინფორმაციის ასიმეტრიულობა; 4. აქტივების გაერთიანება; 5. კონტრაქტი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. **ტრანსაქციური დანახარჯები**ს ტერმინი, პირველად შემოიღო რ. ქოუზმა თავის წიგნში "ფირმის ბუნება" (1937), რ. ქოუზმა ნობელის პრემია სწორედ ტრანსაქციური დანახარჯებისა და საკუთრების დაცვის საკითხების გამოკვლევის გამო მიიღო. ტრანსაქციური (ხარჯები, როგორც ასეთი, არ არის პირდაპირ კავშირში უშუალოდ წარმოებასთან (დანახარჯები ნედლეულზე, მასალებზე, ხელფასზე, ტარნსპორტირებაზე და სხვა). იგი არის ე.წ. თანმხლები ხარჯები და მოიცავს:

– **ინფორმაციის მოპოვების ხარჯებს**, რაც მოიცავს სათანადო ცნობებს სავარაუდო პარტნიორებზე, ფასებზე, დაზღვევაზე, ყიდვა-გაყიდვის ხელსაყრელი პირობებზე, მომწოდებლების, პარტნიორების საიმედოობის გარკვევაზე და სხვა;

– **სამეურნეო ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებისა და გაფორმების ხარჯები.** ეს ხარჯებიც აუცილებელია ფირმისათვის, რადგან თითოეულ ხელშეკრულებას ესაჭიროება თავისი აგენტი, რომელიც ხელმძღვანელობს კონტრაქტის გაფორმების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ მხარეს, დაწყებული შეხვედრა-მოლაპარაკებიდან, კონტრაქტზე ხელისმომწერით და მეგობრული სუფრით დამთავრებული.

– **ზომა-წონის ხარჯები**. ეს ხარჯები სულ უფრო აუცილებელი ხდება პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და დიფერენციაციის გაღრმავების კვალობაზე, რაც ტექნიკური პროგრესის თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალური გახდა. ეს ეხება ტექნიკურ საშუალებებს, რაც გამორიცხავს ყალბი ვალუტის ეკოლოგიურად დაბინძურებული და ნიტრატების შემცველი საქონლის მიწოდებას.

– **საკუთრების უფლების დაცვის ხარჯები.** ეს ხარჯები დაკავშირებულია მართლწესრიგისა და სასამართლო ორგანოებთან დაკავშირებულ ხარჯებთან. მაგალითად, კანონმდებლობით კერძო საკუთრებას იცავს სახელმწიფო. მაგრამ არც თუ იშვიათად, ამა თუ იმ მიზეზთა გამო, სახელმწიფო სათანადოდ ვერ ასრულებს ამ ამოცანას და აუცილებელი ხდება საკუთრების დაცვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება კერძო დაცვის სახით.

2. **ოპორტუნისტული ქცევის ხარჯები.** ოპორტუნისტული ქცევა ამ შემთხვევაში ნიშნავს არაკეთილსინდისიერებას, მოტყუებას, ღალატს, ინფორმაციის დამალვას. ამერიკელი ეკონომისტი ო.უილიამსონი მას უწოდებს "სწორი გზიდან ჩამოცილების წინასწარგათვლილ ძალისხმევას". საჭიროა გარკვეული ხარჯები, რათა კონტრაქტები დაცული იყოს ოპორტუნისტული ქცევებისაგან: ყალბი ფულის შეთავაზება, ყალბი საბანკო ანგარიშები, თაღლითური, ე.წ. "გადაგდების ინსტიტუტის" საშიშროება და სხვა. რომ არ იყოს ასეთი საშიშროება და შესაბამისი ხარჯები, კონტრაქტები გაფორმდებოდა სწრაფად, რაც სასარგებლო იქნებოდა როგორც ფირმისათვის, ისე საზოგადოებისათვის მთლიანად.

3. **ინფორმაციის ასიმეტრიულობა.** ინფორმაციის ასიმეტრიულობა დაკავშირებულია "პრინციპალ-აგენტის" თეორიასა და ოპორტუნისტულ ქცევის ხარჯებთან. მესაკუთრის პრინციპალის მოწყვეტა მმართველის, მენეჯერის, - აგენტის ფუნქციისაგან ასიმეტრიული ინფორმაციის გამო წარმოშობს აგენტის მიდრეკილებას ოპორტუნისტული ქცევისაკენ. აგენტები: მენეჯერები, დაქირავებული დირექტორები, არენდატორები უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ ფირმის, კორპორაციის, ფერმერული მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ვიდრე პრინციპალები: ფირმის მესაკუთრენი, მიწის მფლობელები და ა.შ. ანუ მათ შორის ინფორმაცია განაწილებულია ასიმეტრიულად. ასეთი გარემოება რიგ შემთხვევაში აგენტს უბიძგებს და აძლევს სტიმულს, მიმართოს ოპორტუნისტულ ქცევას, თავისი უფლება-მოსილება გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის დაქირავების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც. რაც შეეხება კონტროლის განხორციელებას, გამოვლენას, დასჯას ან ახალი მენეჯერის დაქირავებას, ესეც გარკვეული ხარჯებთანაა დაკავშირებული.

4. **აქტივების გაერთიანება**. ტრანსაქციური ხარჯების შემცირებისაკენ სწრაფვა, გამოცალკევებულ ეკონომიკურ აგენტებს და ფირმებს უბიძგებს თავიანთი აქტივები გააერთიანონ ერთი ფირმის გამგებლობაში. კერძოდ, **ფიზიკური აქტივები**: მანქანები, დანადგარები, შენობები, ნაგებობები და სხვა; **ფინანსური აქტივობებია:** აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; **არამატერიალური აქტივობებია**: საავტორო უფლებები - პატენტები, "ადამიანური კაპიტალი", ანუ დაგროვილი პროფესიული ცოდნა (ინტელექტუალური საკუთრება).

5. **კონტრაქტი**. ფირმების ფუნქციონირებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ე.წ. საკონტრაქტო ურთიერთობა. კონტრაქტი არის შეთანხმება ფირმებს შორის საქონლის (მომსახურების) გაცვლის თაობაზე, მხარეების უფლებებისა და მოვალეობების დაფიქსირებით. კლასიკური კონტრაქტი არის წერილობითი, რომელიც ყველა შემთხვევაში წერილობით ფორმდება. არსებობს გაუფორმებელი, ზეპირი კონტრაქტიც. მაგალითად, ყოველდღიურად, როცა მაღაზიაში პურს: ბატონს, ლავაშს ან აგურას ვყიდულობთ, ჩვენ ვიმყოფებით კონტრაქტულ ურთიერთობაში, ვხვდებით კლასიკური კონტრაქტის მხარე, თუმცა ხელს არაფერს არ ვაწერთ. სინამდვილეში კონტრაქტული ურთიერთობა გაფორმებულია კანონმდებლობით. ჩვენი უფლებები და მოვალეობები განმტკიცებულია და დარეგულირებულია კანონმდებლობით: სამოქალაქო კოდექსით, კანონით მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ; ვაჭრობის წესებით და ა.შ. თუ დაირღვა ჩვენი უფლებები პროდუქციის ხარისხის, წონის, ორგანოლეპტიკური

თვისებების დარღვევით და ა.შ., ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ შესაბამის ორგანოებს სათანადო რეაგირებისათვის. გამოდის, რომ ზეპირი, გაუფორმებელი კონტრაქტიც ფაქტობრივად წერილობითი კონტრაქტის სახეს იღებს.

ახლა წარმოვიდგინოთ სუბიექტი, რომელმაც გადაწყვიტა ხელი მოჰკიდოს სამეწარმეო საქმიანობას, რამდენი პრობლემა უნდა გადაჭრას ბიზნესის წარმოების ურთულეს გზაზე: წარმოების ფაქტორების მოძიება – დაქირავება, სამეწარმეო საქმიანობის სათანადო ორგანიზაცია და კოორდინაცია, ურთიერთობა პარტნიორებთან და კონკურენტებთან, სახელმწიფოსთან და სხვა. ასე გამოდის არენაზე ბაზრის ერთ ერთი მთავარი სუბიექტი - ფირმა, ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელიც წარმოების ფაქტორებს იყენებს მოგების მიღების მიზნით. საკუთრივ ფირმის მთავარი ფიგურა მეწარმე, ბიზნესმენია, რომელიც განსაზღვრავს წარმოების ფაქტორების, რესურსების, გამოყენების მიმართულებებს.

მოკლედ შევეხოთ სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ–სამართლებრივ ფორმებს. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმები იყოფიან ორ ჯგუფად: **საკუთრების ფორმების** მიხედვით და წარმოებისა და **კაპიტალის კონცენტრაციის მიხედვით.** საკუთრების ფორმის მიხედვით გამოყოფენ:

სახელმწიფოს საწარმოებს, რომლის დამფუძნებლად და ორგანიზატორად გამოდის სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. ასეთი ფირმების, საწარმოების დაფუძნების მიზეზი შეიძლება იყოს პირველდაწყებითი, ე.წ. "**სასტარტო კაპიტალის**" დიდი მოცულობა, რომლის გაღება კერძო ფირმების შესაძლებლობას აღემატება ან პროდუქციისა და მომსახურების დიდი სოციალური და საზოგადოებრივი დანიშნულება ე.წ. **საზოგადოებრივი საქონელი,** რომლის ინვესტირებას სახელმწიფო თავის თავზე იღებს.

კერძო საწარმოებს, რომელთა ფორმები სხვადასხვა სახისაა, შეიძლება იყოს: **ინდივიდუალური** (ერთპიროვნული), როცა კაპიტალის მესაკუთრე არის ერთი პირი; ამხანაგობა ანუ პარტნიორობა, როცა ხდება რამდენიმე პირის კაპიტალის გაერთიანება; **კორპორაცია,** როცა გაერთიანებაში მოზიდულია კაპიტალის დიდი რაოდენობა და მესაკუთრის, (მეწილის) საკუთრების უფლება განმტკიცებულია პაით, აქციით. განსაკუთრებული ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა **კოოპერატივი**, რომელიც თავისი ბუნებით ფირმას არ წარმოადგენს, რადგან უმთავრესად არ არის ორიენტირებული მოგების მაქსიმიზაციაზე და უმთავრესად თავისი წევრების მოთხოვნილების დაკმაკოფილებით, დახმარებისა და მომსახურების მიზნით არის დაფუძნებული.

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ კანონით "მეწარმეთა შესახებ" (1996 წელი, მრავალი დამატებებით მომდევნო წლებში), რომელიც აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, **სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.**

კანონის თანახმად, საწარმოთა (ფირმათა) ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებია: **1. ინდივიდუალური საწარმო, 2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 3. კომანდიტური საზოგადოება, 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 5. სააქციო საზოგადოება, 6. კოოპერატივი.**

1997 წლიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს დაემატა "კავშირი" და "ფონდი", რომლებსაც აქვთ უფლება განახორციელონ ე.წ. დამხმარე სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ ცვლის ამ საქმიანობის არაკომერციულ ხასიათს.

1. **ინდივიდუალური საწარმო** არ არის კლასიკური იურიდიული პირი. ამ საწრმოს მფლობელი, ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირია. მისი

საწარმო კი სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია საკასო და საბუღალტრო საქმით. სამართლებრივ ურთიერობებში გამოდის თავისი სახელით და საწარმოს ვალდებულებებზე პასუხს აგებს შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით. ინდივიდუალურმა საწარმოებმა განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ვაჭრობაში, კვებით და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ფერმერულ მეურნეობებში და ა.შ., რომლებიც არსებითად მცირე ბიზნესის სფეროს განეკუთვნებიან.

2. **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება** არის ისეთი საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე როგორც სოლიდარული მოვალეები, შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით. პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

3. **კომანდიტური საზოგადოება** არის ისეთი საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო ნიშნით ეწევა დამოუკიდებელ მეწარმეობას. მონაწილე პარტნიორები იყოფიან ორ ჯგუფად: პირველი, ე.წ. ნამდვილი წევრები, პარტნიორები, რომლებიც საზოგადოების ვალდებულებებზე აგებენ შეუზღუდავად მთელი თავისი პირადი ქონებით. მეორე ჯგუფი: მეანაბრე — კომანდიტორები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ შეზღუდულად, მხოლოდ იმ ქონებით, რაც მათ გადასცეს საზოგადოებას. სამაგიეროდ, მეანაბრე კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების მართვა-გამგეობაში.

4. **შეზღუდული . პასუხისმგებლობის საზოგადოება** არის ისეთი საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით შემოიფარგლება, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება შეზღუდულად, საწესდებო კაპიტალში მისი ქონების წილის შესაბამისად. ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლია ერთ პირსაც.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს **დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებ**ის არსებობას, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახესხვაობას იმის განსხვავებით, რომ ვალების დაფარვის არასაკმარისი სახსრების არსებობისას პარტნიორებს ენიჭებათ დამატებითი პასუხისმგებლობა, მაგრამ არა მთელი საკუთარი ქონებით, არამედ ამ ქონების ერთჯერადი წილით ერთნაირი ზომით, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

5. **სააქციო საზოგადოება** ისეთი საზოგადოებაა, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იგივე ნომინალური ღირებულების აქციებად. **აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში.** სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მევალეების (კრედიტორების) წინაშე შემოიფარგლება მთელი ქონებით. აქციონერები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს არ აგებენ. ისინი ეწევიან გარკვეულ რისკს მხოლოდ ზარალის შემთხვევაში, რადგან შეიძლება დაკარგონ ის ქონება, რაც შეიტანეს აქციების შეძენისას.

შეიძლება დაისვას კითხვა: რით განსხვავდება სააქციო საზოგადოება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისაგან? შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წევრს (პარტნიორს) საზოგადოებიდან გასვლა საკუთარი წილის გატანით შეუძლიათ ნებისმიერ დროს, მაშინ როცა სააქციო საზოგადოებიდან გასვლა აქციონერს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ საკუთარ აქციას გაასხვისებს, გადასცემს სხვა პირს. აქციონერს არ შეუძლია რაიმე მოითხოვოს საზოგადოებიდან გასვლისას. აქციონერები საზოგადოებიდან გადიან მხოლოდ სხვა, ახალ აქციონერებზე აქციების მიყიდვის შემთხვევაში.

არსებობს **ღია და დახურული სააქციო საზოგადოებები.** ღია საზოგადოების აქციები აქციონერებს შეუძლიათ გაასხვისონ ქონება საზოგადოების სხვა წევრებთან შეთანხმების გარეშე, თავისუფლად. დახურული სააქციო საზოგადოების აქციები მხოლოდ საზოგადოების წევრებს შორის ნაწილდება და გასხვისება წევრთაგან ნებართვას და სათანადო პროცედურებს საჭიროებს, რაც საზოგადოების წესდებით რეგულირდება.

აქციები იყოფა **ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებად,** რომლებიც მხოლოდ სახელობითი ფორმისაა. ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა კრებაზე. დივიდენდის გაცემა ან ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილება ხდება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება პრივილეგირებული აქციების მფლობელთა ანალოგიური უფლებები. სამაგიეროდ პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმების უფლებას საერთო კრებაზე. აქციათა ის რაოდენობა, რაც მის მფლობელს საშუალებას აძლევს აქციონერთა კრებაზე მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება. არის აქციათა საკონტროლო პაკეტი. მიჩნეულია, რომ საკონტროლო პაკეტის მფლობელი უნდა ფლობდეს აქციათა 51%–ს, თუმცა შეიძლება საკონტროლო პაკეტისთვის 5%–იც საკმარისი იყოს იმ შემთხვევაში, თუ აქციონერები დანაწევრებულები, მრავალრიცხოვანია.

6. **კოოპერატივი** მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლის წევრებიც ერთობლივად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. მისი მიზანია საკუთარი წევრების სხვადასხვა სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. კოოპერატივი საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად, მართავს მას დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, წევრები თანაბრად ინაწილებენ სამეწარმეო საქმიანობის შედეგებს _ მოგებასა და ზარალს მათი კუთვნილი საპაიო შენატანების შესაბამისად. ამასთან, იგი არ არის უმთავრესად მოგების მიღებაზე ორიენტირებული გაერთიანება.

კოოპერატივის სახეებს მიეკუთვნება: 1. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წარმოებისათვის; 2. სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები; 3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები); 4. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები; 5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები; 6. სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები; 7. სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით; 8. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები _ საკრედიტო კავშირები; 9. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება კანონით "მეწარმეთა შესახებ", თუ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. მისი საქმიანობა ემყარება თვითდაფინანსების, თვითმმართველობისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპებს. გამოკვეთილად კოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოებია: საერთო კრება, თუ წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია,

წარმომადგენელთა კრება, თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია. ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოებია (გამგეობა) ან სამეთვალყურეო საბჭო, სარევიზიო კომისია.

2020 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 792,4 ათას ერთეულს. აქედან 277 ათასი ერთეული (35,0%) შეადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას; 2860 (4,0%) სააქციო საზოგადოებას; 5438 (0,7%) კოოპერატივს; 463,7 ათასი (58,5%) ინდივიდუალურ საწარმოს.

წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მიხედვით ეკონომიკური სუბიექტები იყოფიან მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებად, ფირმებად. მცირე საწარმოები, ფირმები საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ერთგვარ ფუნდამენტს წარმოადგენენ. ისინი უმთავრესად სტაბილურად ფუნქციონირებენ კონკურენტულ გარემოში, გამოირჩევიან მოქნილობით, სწრაფად რეაგირებენ ბაზრის კონიუნქტურაზე, საქონელს ასაღებენ ზომიერი ფასებით, დაბალი აქვთ წარმოების მმართველობითი ხარჯები. დიდ როლს ასრულებენ მოსახლეობის დასაქმებაშიც და გარკვეულად რისკებზეც შედარებით თამამად მიდიან.

სხვადასხვა ქვეყანაში მცირე, საშუალო და მსხვილი ფირმების მიკუთვნების მაჩვენებლები (კრიტერიუმები) განსხვავებულია. მაგალითად, აშშ–ში იგი დიფერენცირებულია დარგების, მუშაკთა რიცხოვნობისა და ბრუნვის მიხედით (იხ. ცხრილი 1).

მცირე ბიზნესის ფირმების განსაზღვრის მაჩვენებლები
აშშ–ში

დარგების მიხედვით: ცხრილი 1.

დარგები	ბრუნვა (მლნ დოლარი)	მუშაკთა რიცხოვნობა
საცალო ვაჭრობა	2,0–8,0	-
საბითუმო ვაჭრობა	9,5-22,0	-
მშენებლობა	1,0-9,5	-
მრეწველობა	-	1500
სოფლის მეურნეობა	1,0-მდე	-

გერმანიაში ფირმების სახეები სიდიდის მიხედვით მხოლოდ მუშაკთა რიცხოვნობით, კაპიტალის ოდენობით და ბრუნვის მოცულობით განისაზღვრება (იხ. ცხრილი 2).

ფირმების კლასიფიკაცია სიდიდის მიხედვით
გერმანიაში

ფირმების სახეები	მუშაკთა რიცხოვნობა	კაპიტალი მლნ მარკა	ბრუნვა მლნ მარკა
მცირე	50–ზე ნაკლები	3,9–ზე ნაკლები	8–ზე ნაკლები
საშუალო	51–250	3,9–15	8–32
მსხვილი	250–ზე მეტი	15–ზე მეტი	32–ზე მეტი

შედარებით პატარა ქვეყნებში, მაგალითად დანიაში ან ირლანდიაში საწარმოთა, ფირმათა ზომის განსაზღვრის კრიტერიუმები მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობას უკავშირდება: მცირე ფირმისათვის – 49 დასაქმებული, საშუალო ფირმისათვის 50–დან 199–მდე, 200–ზე მეტი მსხვილი ფირმისათვის. ასეთი კლასიფიკაცია გარკვეულ წილად სუბიექტურ შეხედულებებს ასახავს, მაგრამ დარგისა და ფირმის სპეციფიკას და გამოცდილი სპეციალისტების გამოკვლევებს ემყარება.

ფირმის ანალიზმა გარკვეულად პასუხი უნდა გასცეს კიდევ ერთ აქტუალურ კითხვას: მთავრობამ უნდა მიიღოს თუ არა გადამჭრელი ზომები ამა თუ იმ კლასიფიკაციის (ზომის) ფირმის განვითარება–გაფართოების მხარდასაჭერად. ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი თვლის, რომ სახელმწიფომ, ხელისუფლებამ პირველ რიგში მხარი უნდა დაუჭიროს მსხვილ ფირმებს, რომლებთაც წამყვანი ადგილი უჭირავთ ქვეყნის ეკონომიკაში. სხვების აზრით, სახელმწიფომ უნდა წაახალისოს მცირე და საშუალო ფირმები სხვადასხვა საგადასახადო და სხვა სახის შეღავათებით, ხოლო მსხვილ ფირმებს არ უნდა შეეძლოთ თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა ანტიმონოპოლიური მოქნილი კანონმდებლობიდან გამომდინარე. თანამედროვე განვითარებულ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ეს უკანასკნელი თვალსაზრისი დომინირებს.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მსხვილ და უმსხვილეს ფირმებს მასშტაბის ეფექტისა და პროდუქტის ერთეულზე დანახარჯების შედარებით დაბალი დონის გამო სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვის მეტი შესაძლებლობები აქვს და, აქედან გამომდინარე, უპირატესობებს ფლობენ კონკურენტულ გარემოში მცირე და საშუალო ფირმებთან შედარებით. ეს განსაკუთრებით შეეხება კაპიტალტევად და მეცნიერებატევად ფირმებს, კორპორაციებს. ამ შეხედულების მთავარი იდეოლოგიებია გამოჩენილი ავსტრიელი ეკონომისტი ი. შუმპეტერი და ამერიკელი ინსტიტუციონალისტი ჯ. გელბრეითი.

არანაკლებ ყურადსაღებია ე.წ. „ტიტანიკის სინდრომი“, რაც იმაში გამოიხატება, რომ მსხვილ ფირმას ტიტანიკის მსგავსად დროულად და სწრაფად არ შეუძლია გვერდი აუქციოს სწრაფად ცვალებად საბაზრო ძალებს (მოთხოვნა – მიწოდება, კონკურენცია, ფასები).

მსჯელობიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია როგორც მცირე და საშუალო, ისე მსხვილი ფორმებისა და კორპორაციების თანაარსებობა. მათი თანაფარდობა და ოდენობა, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მათი მხარდაჭერისა და დახმარების შესახებ ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანებით და სტრატეგიით განისაზღვრება. არ უნდა მოვახდინოთ რომელიმე მათგანის შეუფასებლობა ან გაფეტიშება, როგორც სწორად შენიშნავს თ. აბლოთია.

ჩვენს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის, სამეწარმეო საქმიანობას განვითარების არსებული მდგომარეობა დიდი ხანია კრიტიკას განიცდის მისი დაბალი დონის გამო. ასე მაგალითად, 2014–2015 წლებში მაშინდელი აღრიცხვის წესის თანახმად საწარმოთა (ფირმების) მთელი ბრუნვის 81,9 პროცენტი მოდიოდა მსხვილ ბიზნესზე, 8,7 პროცენტი საშუალო ბიზნესზე, 9,4პროცენტი მცირე ბიზნესზე. 2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. კანონის თანახმად საწარმოები ზომის მიხედვით დაიყო კატეგორიებად, დაზუსტდთა ცნებები, გამარტივდა ბუღალტრული აღრიცხვა და საგადასახადო შემოწმება, გადაისინჯა მახასიათებლები მისი გადიდების მიმართულებით და ა.შ.

2017 წლიდან ყოველი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების (ფირმების) ძირითადი მახასიათებლები შემდეგი მაჩვენებლებით და მოცულობით ჩამოყალიბდა (იხ. ცხრილი 3).

მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ძირითადი
მახასიათებლები და მოცულობები

საწარმოთა (ფირმათა) სახეები	დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	წლიური ბრუნვა, მლნ ლარი
მცირე	50	12
საშუალო	249	60
მსხვილი	249-ზე მეტი	60-ზე მეტი

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის მონაცემებით საქართველოში მსხვილი ფირმების ხვედრითი წილი შეადგენდა 49,5 პროცენტს, საშუალო ბიზნესის – 21,4 პროცენტს, მცირე ბიზნესის 29,1 პროცენტს. ადვილი მისახვედრია, რომ ამ მაჩვენებლების ზრდა გამოწვეულია ხელოვნურად მახასიათებლების გაზრდით კანონმდებლობიდან გამომდინარე, მსხვილი ბიზნესის მაჩვენებლის შემცირების ხარჯზე. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო ბიზნესის ბრუნვის 44 და მცირე ბიზნესის ბრუნის 56 პროცენტი ვაჭრობაზე და სატრანსპორტო საშუალებების რემონტზე მოდის, აშკარა გახდება ჩვენთან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლების დაბალი დონე.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ის მწვავე კრიტიკა, რასაც მცირე და საშუალო ბიზნესის არსებული მდგომარეობაზე გამოთქვამენ მეცნიერები, ექსპერტები, პოლიტიკოსები და თვით ბიზნესმენები. როგორც ირკვევა, ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებები ამ მიმართულებით საკმარისი არაა. დამატებითი ღონისძიების შეთავაზება სპეციალური გამოკვლევის საგანია, აქ, მხოლოდ მათი მოკლე ჩამონათვალით დავკმაყოფილდებით. ჩვენი აზრით, ხელისუფლებამ უნდა გადასინჯოს კანონმდებლობა მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ, განსაკუთრებით მთავრობის მხრიდან უფრო მეტი დახმარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით, უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს დარგობრივი სახელმწიფო პროგრამები მევენახეობის, მეფუტკრეობის, მეღვინეობის, მეთამბაქოების, მეაბრეშუმეობის, სანერგე, სასმელი წყლის, ტურიზმის (განსაკუთრებით საოჯახო ტურიზმის), სასკოლო კოოპერატივების შესახებ. უნდა გაფართოვდეს „მთის კანონის“ გეოგრაფია, უნდა დაიხვეწოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა კონკურენციის შემზღუდავი მექანიზმების გამკაცრების მიმართულებით, განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ეფექტური თანამშრომლობის მიზნით სპეციალური ფინანსური ინსტიტუტები, რომელიც მოემსახურება მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესს, უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი, მათი მუშაობის შეფასების ერთ–ერთ მაჩვენებლად მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელის შეწყობა უნდა იქნეს მიჩნეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 2009, გვ.351.
2. თ. აბლოთია. მითები მცირე და საშუალო ბიზნესზე. გაზ. „საქართველოს

რესპუბლიკა“, 13 თებერვალი, 2019.
3. გ. თოდუა, რ.გოგოხია, რ.ქუტიძე. ეკონომიკის პრინციპები. მიკროეკონომიკა (ლექციების კურსი). თბ., 2008, გვ.93.
4. კ. მაკკონელი, ხ. ბრიუ. ეკონომიკსი. ტ.IV, თბ., 1997, გვ.481.
5. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. ვ. კამაევი და ავტორთა კოლექტივი. თბ., 1998, გვ. 541.
6. ა. სისვაძე. ეკონომიკური თეორია. ნაწილი პირველი. თბ., 2006, გვ.212.
7. ჯ. სტენლეიკი, ეკონომიკსი დამწყებთათვის. თბ., 1995, გვ.163.
8. Герчикова И. Менеджмент. Учебник. М., М., 1997, გვ. 45.
9. «Российский экономический журнал» №1, 2002. გვ.78.
10. Экономическая теория (политэкономия). Учебник. Под общ. ред. В. Видяпина и Г. Журавлёвой, М., 2004, გვ.199.
11. Словарь современной экономической теорий Макмилана. М., 2003, გვ.185.

რეზიუმე

სტატია ეძღვნება დარგობრივი ბაზრების ეკონომიკური თეორიის ერთ–ერთ საკვანძო საკითხს – ფირმის როგორც ბაზრის სუბიექტის ანალიზს. განხილულია: სამეწარმეო საქმიანობის არსი; ფირმის ბუნების ტექნოლოგიური და ინსტიტუციური მიდგომა (ტრანსაქციური ხარჯები; ოპორტუნისტური ქცევა; ინფორმაციის ასიმეტრიულობა; აქტივების გაერთიანება; კონტრაქტი); საწარმოთა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმები; მცირე და საშუალო სამეწარმეო საქმიანობის (ბიზნესის) როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მოსაზრებები განმტკიცებულია საქართველოსა და სხვა ქვეყნების სტატისტიკური მასალების მოშველიებით.

R E S U M E

„Firm as a sectoral market entity“

Mamia Chumburidze. Doctor of Economics, Professor

George Chumburidze. Doctor of Economics.

The article is devoted to one of the key issues in the economic theory of sectoral markets - the analysis of the firm as a market entity. Discussed: the essence of entrepreneurial activity; Technological and institutional approach to the nature of the firm (transaction costs; opportunistic behavior; information asymmetry; asset pooling; contract); Organizational-legal forms of enterprises; The role and importance of small and medium entrepreneurial activity (business) in the conditions of market economy. The opinions are substantiated using statistical materials of Georgia and other countries.

საცალო ბაზრის ზოგიერთი მახასიათებელი

ლია მოწყობილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
რუსუდან ქუთათელაძე
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ასორტიმენტის პროფილი, ოპტიმალური ადგილმდებარეობის არჩევანი, საცალო მიზიდულობის კანონი, ინტეგრირებული მაჩვენებელი, მიმზიდველობის კრიტერიუმი, მომსახურების რადიუსი.

შესავალი

ვაჭრობის მენეჯმენტის, როგორც დარგობრივი სამეცნიერო დისციპლინის, ეკონომიკური არსის შესწავლამ მოგვცა საშუალება, აღმოგვეჩინა მისი თავისებურება, კერძოდ: ვაჭრობის მენეჯმენტი ეფუძნება ზოგადი მენეჯმენტის ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, მაგრამ ამავდროულად აქვს საკუთარი დარგობრივი მახასიათებლებიც, ვაჭრობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ვაჭრობა თავისი ეკონომიკური ბუნებით არის მომსახურება, რადგან ის არ ქმნის მატერიალური სასაქონლო ფორმას და წარმოდგენს ღირებულების ფორმათა ცვლილების მომსახურებას.

ამავდროულად, ვაჭრობა წარმოების პროცესის გაგრძელებაა მიმოქცევის სფეროში. მაგალითად, ვაჭრობაში ხდება სატრანსპორტო მომსახურება, საქონლის შენახვა, დაფასოება და შეფუთვა. ეს სერვისები არ ქმნიან ახალ სამომხმარებლო ღირებულებას, არამედ მონაწილეობენ პროდუქტის ღირებულების შექმნაში, ანუ ზრდან მის ფასს. ეს არის ვაჭრობა, რომელიც ინარჩუნებს ბალანსს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, აკავშირებს წარმოებას მოხმარებასთან.

კომერციული საწარმოს სამიზნე ფუნქცია გარე გარემოს მიმართ არის ღირებულების სასაქონლო ფორმის ფულად ღირებულებად გადაქცევა, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცნობილი ფორმულის - ს-ფ-ს' - სახით. სავაჭრო საწარმოების საქმიანობის დარგობრივი თავისებურებების, აგრეთვე ვაჭრობის მენეჯმენტის ამოცანების სპექტრის გათვალისწინებით და სავაჭრო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ძირითადი ფუნქციებს უნდა დაერთოს შემდეგი სპეციფიკური ფუნქციები:

1. კომერციული საწარმოს სპეციალიზაციის (ასორტიმენტის პროფილის), ადგილმდებარეობისა და ტიპის არჩევის (მაღაზიები, საბითუმო მოვაჭრეები და სხვა), აგრეთვე მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა;
2. სავაჭრო და ტექნიკური პროცესების მართვა;
3. საქონლის რეალიზაციის და მომხმარებელთა მომსახურების პროცესის მართვის მეთოდების არჩევანი;
4. საქონლის მართვა;
5. ხარჯების მიმოქცევის მაჩვენებლის კონტროლი.

საცალო ვაჭრობის საწარმოს მარკეტინგს, როგორც მენეჯმენტის განსაკუთრებულ ფუნქციას, საცალო ვაჭრობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქვს საკუთარი ინდუსტრიის სპეციფიკური მახასიათებლები, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოს ტერიტორიულ მდებარეობას, ანუ მისი ოპტიმალური ადგილმდებარეობის არჩევანს.

აქედან გამომდინარე, საცალო ვაჭრობის ობიექტისთვის ოპტიმალური ადგილმდებარეობის არჩევის საკითხის კვლევა და შემუშავება არის სავაჭრო მენეჯმენტის მთავარი საკითხი.

მასალა და მეთოდები

იმ გადაწყვეტილების მიღებისადმი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ადგილმდებარეობის მომგებიანობა, სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულია სხვადასხვა ფაქტორებზე დაფუძნებული მიდგომა. ზოგიერთი მკვლევარი განმსაზღვრელ ფაქტორად იყენებს მომსახურების ოპტიმალურ რადიუსს, რაც დამოკიდებულია მაღაზიის მიერ დაკავებული მუშა ტერიტორიის ფართობზე. მომსახურების რადიუსი შეიძლება განვმარტოთ, როგორც მაღაზიის ფუნქციონირების არეალი, რომელიც განისაზღვრება მომხმარებლების მიერ მათი საცხოვრებელი ადგილიდან სავაჭრო განყოფილებამდე გავლილი მანძილით. მკვლევარების აზრით, მომსახურების რადიუსი არის მთავარი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მყიდველების მიერ საქონლის შესაძენად დახარჯულ დროზე და შემოთავაზებულია მომსახურების არეალის განსაზღვრა ემპირიულად, მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმჭიდროვის გათვალისწინებით. მომსახურების რადიუსის გამოთვლის მეთოდის პრაქტიკულ გამოყენებას ართულებს ის ფაქტი, რომ რეალურად საცალო ვაჭრობის სივრცეს, რომლის საზღვრებიც უნდა განისაზღვროს, აქვს რთული გეომეტრიული ფორმა.

მაღაზიის ადგილმდებარეობის არჩევანი პირდაპირ კავშირშია და განისაზღვრება სამიზნე ბაზრის არჩევით, ხოლო მაღაზიის ადგილმდებარეობის მიმზიდველობის კრიტერიუმები, მყიდველების სამიზნე ჯგუფების მიხედვით, შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგ ძირითად სახეებად:

1. ტერიტორიის მახასიათებლები: სოფლის, ქალაქის ან გარეუბნის, სამრეწველო, ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი, პრესტიჟული ან არაპრესტიჟული;
2. ქუჩის მახასიათებლები: ფეხით მოსიარულე ან მოძრაობის მქონე, ძირითადი ან მცირე;
3. მომხმარებელთა ერთი და იგივე სამიზნე ჯგუფი: კონკურენტების, რაოდენობის, ზომის, სახეობისა და საქმიანობის სახის მიხედვით ერთი და იგივე სამიზნე ჯგუფის მომხმარებელთა მიმდებარე მაღაზიები,
4. ინფრასტრუქტურის განვითარების დონე: დასვენებისა და გართობის ადგილების არსებობა, ბანკის ფილიალები და ა. შ.;
5. ძირითად სატრანსპორტო მარშრუტებთან სიახლოვე;
6. მოსახერხებელი მისასვლელი გზებისა და პარკინგის ადგილების არსებობა.

საცალო ვაჭრობის მენეჯერის პერსპექტივიდან მაღაზიის ადგილმდებარეობის შესაფასებლად შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები უნდა იქნას გამოყენებული:

1. დაფარვის ზონის ზომა;
2. ბაზრის პოტენციალი დაფარვის ზონაში;
3. შერჩეული ტერიტორიის განვითარების პერსპექტივები.

დაფარვის ან საცალო ფართის ქვეშ იგულისხმება ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც სავაჭრო განყოფილება ემსახურება თავის მომხმარებლების უმრავლესობას. თუ საცალო ვაჭრობის ორი ან მეტი პუნქტიდან განვსაზღვრავთ მანძილის იმ წერტილამდე, სადაც ერთი ობიექტის მიმზიდველობა უფრო მაღალია, ვიდრე მეორისა, შესაძლებელია განისაზღვროს წყვეტის წერტილი. საცალო მიზიდულობის შესახებ რაილის კანონი შეიძლება გამოყენებულ იქნას საცალო ვაჭრობის გავლენის არეალის დასადგენად. იგი ეფუძნება ქალაქების სივრცითი ურთიერთქმედების კონცეფციას, რომელიც ასევე წარმოიშვა XX საუკუნის 1920-იან წლებში. ეს კანონი გამოიხატება თანაბრად შესაძლო წერტილის გამოთვლის ფორმულით, რომელშიც მომხმარებელთა მოზიდვის

ალბათობა ორი ახლომდებარე კონკურენტ მაღაზიაში ტოლია:

BA=d / (1+ PB / PA), სადაც

BA - თანაბრად შესაძლო წერტილი A და B კონკურენტ მაღაზიებს შორის კმ-ში;

d - მანძილი ორ **A** და **B** საწყობს შორის;

PA - მოსახლეობის რაოდენობა რეგიონში, სადაც **A** მაღაზია მდებარეობს;

PB - მოსახლეობის რაოდენობა რეგიონში, სადაც **B** მაღაზია მდებარეობს;

ამრიგად, ფორმულის გამოყენებისას ვარაუდობენ, რომ ერთი საცალო ბიზნესის სხვაზე დომინირება დამოკიდებულია საცალო ბიზნესის გარშემო მცხოვრებ მოსახლეობაზე და მანძილი ორ ობიექტს შორის.

თუმცა, მაღაზიების მდებარეობის ადგილზე მოსახლეობის მაჩვენებელი საკმარისად ობიექტურად არ ასახავს მაღაზიის ატრაქტიულ შესაძლებლობებს და ამ ინდიკატორის, როგორც ერთადერთი კრიტერიუმის გამოყენებამ, შეიძლება გამოიწვიოს დაფარვის ზონის არასწორად განსაზღვრა, განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც რაიონებს შორის საზღვრები პირობითი ხასიათის მატარებელია. ვაჭრობის განვითარების თანამედროვე პირობებში მყიდველს შეუძლია აირჩიოს სავაჭრო წერტილი ამ ობიექტამდე მანძილის მიუხედავად. მომხმარებელი დიდ მანძილზე გადაადგილდება უფრო მიმზიდველ სავაჭრო ობიექტამდე. მეტად ზუსტი შედეგების მისაღებად აუცილებელია ინტეგრირებული ინდიკატორის გამოთვლა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორების შედარებით მნიშვნელობას, რომლებიც იზიდავს სამიზნე მომხმარებელს მაღაზიაში. ინტეგრირებული ინდიკატორის გამოთვლა შეიძლება დაიწყოს თითოეული კრიტერიუმის შეფასებით ქულათა - მაგალითად, ხუთპუნქტიანი (ამ შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ რაც უფრო გრძელია შეფასების მასშტაბი, მით უფრო ზუსტია გაანგარიშების შედეგები) სისტემის გამოყენებით. შემდეგ იგივე წერტილოვანი სისტემის ადგილმდებარეობის უპირატესობები უნდა შეფასდეს თითოეულ მაღაზიას მიმზიდველობის კრიტერიუმებით. მაღაზიების განლაგების უპირატესობები და ნაკლოვანებები მოყვანილია ცხრილში.

ცხრილი 1. მაღაზიების განლაგების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების კვლევებისათვის შედგენილი ცხრილის ნიმუში

N	უპირატესობა	კრიტერიუმის მნიშვნელობა ქულებში	I მაღაზიის უპირატესობა ქულებში	II მაღაზიის უპირატესობა ქულებში	...	N მაღაზიის უპირატესობა ქულებში
1						
2						
...						
N						

მოსახლეობის ინდიკატორი იმ ტერიტორიაზე, სადაც მაღაზია მდებარეობს, ობიექტურად არ ასახავს მაღაზიის მიმზიდველობას და ამ ინდიკატორის ერთადერთ კრიტერიუმად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს დაფარვის ზონის არასწორად განსაზღვრა, განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც ტერიტორიებს შორის საზღვრები პირობითია. ვაჭრობის განვითარების თანამედროვე პირობებში მყიდველს შეუძლია აირჩიოს საცალო ვაჭრობა, მიუხედავად ამ ობიექტამდე მანძილისა. მომხმარებელი დიდ მანძილზე გადის უფრო მიმზიდველ სავაჭრო ობიექტამდე.

მაღაზიის მდებარეობის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მდებარეობის მოხერხებულობა სატრანსპორტო კავშირების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით,

კულტურული, გასართობი და ადმინისტრაციული საშუალებები, პარკინგის ხელმისაწვდომობა და ა.შ. აფასებს მის მნიშვნელობას ქულებით.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია გამოითვალოს თითოეული გამოკვლეული მაღაზიის მიმზიდველობის ინტეგრირებული მაჩვენებელი მე-2 ფორმულის მიხედვით.

$$IAI\ i = \sum_{i=1}^{n} Bi \times Adi,$$ სადაც

IAIi - არის მაღაზიის მდებარეობის მიმზიდველობის ინტეგრირებული მაჩვენებელი;

i და **n** - შესაბამისად რიგობითი რიცხვი და მიმზიდველობის ფაქტორების (კრიტერიუმების) საერთო რაოდენობა.

Bi - i-ური კრიტერიუმის მნიშვნელობა ქულებში;

Adi - i-ურ მაღაზიის მდებარეობის უპირატესობები წერტილებში.

ზემოაღნიშნული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ საწყის ეტაპზე სავაჭრო საწარმოს ადგილმდებარეობის არჩევისას, არამედ საწარმოს შემდგომ საქმიანობაშიც, რათა შეაფასოს ბაზრის მდგომარეობა, რათა მოქნილად უპასუხოს განვითარებულ ცვლილებებს.

დაფარვის ზონის სიდიდის განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია მიზნობრივი ბაზრის პოტენციალის (სიმძლავრის) გამოთვლა დაფარვის ზონის საზღვრებში (ზემოხსენებული მეთოდის მიხედვით), რათა მიღებული შედეგები შევადაროთ გაყიდვების მინიმალურ დასაშვებ მოცულობას, რომლის დროსაც შესაძლებელია მაღაზიის ფუნქციონირება.

მაღაზიის ადგილმდებარეობის არჩევის პროცესი სრულდება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების, მოსახლეობის ზრდის პერსპექტივების და მისი შემოსავლების შეფასებით. ამ მონაცემების მიღება შესაძლებელია როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სამთავრობო სტატისტიკიდან და ამ თემაზე ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებში პუბლიკაციებიდან. მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორის ზედმიწევნით შესწავლისა და შეფასების შემდეგ მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება მაღაზიის ადგილმდებარეობის არჩევის შესახებ. მაღაზიის ადგილმდებარეობის არჩევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მთავარი პუნქტი არის კავშირის გაანგარიშება მოგებას, განაწილების ხარჯებსა და საცალო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობას შორის. თავისი საქმიანობის მომგებიანობის მისაღწევად, სავაჭრო საწარმომ უნდა უზრუნველყოს ბრუნვის ისეთი მოცულობა, რომლის დროსაც წმინდა შემოსავლის მოცულობა უნდა აღემატებოდეს როგორც მუდმივ, ასევე ცვლადი საბრუნავი ხარჯების რაოდენობას. ამავდროულად, ბრუნვის მოცულობას, რომლის დროსაც ორგანიზაციის სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული წმინდა შემოსავლის ჯამი უდრის მუდმივი და ცვლადი საბრუნავი ხარჯების ჯამს, ჩვეულებრივ უწოდებენ „წაუგებლობის წერტილს“ (ან „რენტაბელობის ბარიერს“).

შედეგები

ელიტური საქონლის პოტენციური მყიდველების რაოდენობის დასადგენად შემოთავაზებულია და გამოყენებული ფორმულა რეგიონში ამ პროდუქტის პოტენციური მყიდველების რაოდენობის გამოსათვლელად.

B = N (1- SM) SI, სადაც

B არის ამ პროდუქტის პოტენციური მყიდველების რაოდენობა;

N არის რეგიონის მთლიანი მოსახლეობა;

SM არის წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში იმ ადამიანთა შორის, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყვნენ ამ პროდუქტის მყიდველები (ზღვრული, პროდუქტის გამოყენების თვალსაზრისით, მოსახლეობის ჯგუფები);

SI არის წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში იმ პირთა შორის, რომლებსაც აქვთ საკმარისი შემოსავალი ამ პროდუქტის შესაძენად.

დისკუსია

ნებისმიერი ჯგუფის საქონლის პირდაპირი სამომხმარებლო, ანუ ინდივიდუალური მომხმარებლების (ფიზიკური პირების) ბაზრის გარდა, არსებობს ამ ტიპის საქონელის ე. წ. კოოპერაციული, ანუ საწარმოებისა და ორგანიზაციების (იურიდიული პირების) ბაზარი.

შემოთავაზებულია ამ ბაზრის პოტენციური შესაძლებლობების შეფასება ფიზიკურ პირებზე მათი პირადი (ან ოჯახური) გამოყენებისთვის პირდაპირი გაყიდვებისა და იურიდიულ პირებზე კოლექტიური სარგებლობისთვის გაყიდვების მოცულობათ ფაქტობრივი თანაფარდობის საფუძველზე შემდეგი ფორმულების მიხედვით (ფორმულა 5,6):

$$CM = C \times K \quad (5)$$

$$K = W_{ფპ}/W_{იპ} \quad (6)$$

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით ძირითადი საბაზრო სიმძლავრის გაანგარიშების შემდეგ, მიღებული ღირებულების კორექტირება შესაძლებელია ბაზრის სიმძლავრის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენითა და ანალიზით.

დასკვნა

ამრიგად, განხილული იქნა საცალო ვაჭრობის საწარმოსთვის ოპტიმალური ადგილმდებარეობის არჩევის საკითხი, რომლის კვლევამ გამოავლინა ვაჭრობის მენეჯმენტის ზოგიერთი თავისებურება. შემოთავაზებულია საცალო მიზიდულობის შესახებ რაილის კანონისა და ექვიპოტენციური წერტილის ფორმულის გამოყენება. მაგრამ ვაჭრობის განვითარების თანამედროვე პირობებში, დაბალანსებული ქულის გამოთვლის მეთოდი ყოველთვის არ იწვევს საიმედო შედეგებს. უფრო ზუსტი შედეგების მისაღებად აუცილებელია ინტეგრირებული ინდიკატორის გამოთვლა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორის შედარებით მნიშვნელობას და იზიდავს სამიზნე მომხმარებელს მაღაზიაში. ასევე, ელიტური საქონლის პოტენციური მყიდველების რაოდენობის დასადგენად, ავტორებს შეთავაზებული აქვთ ფორმულა ამ პროდუქტის პოტენციური მყიდველების რაოდენობის გამოსათვლელად.

ბიბლიოგრაფია

1. Ansoff, H.I., and McDonnel, E., 1990, Implanting Strategic Management, Prentice Hall, Hemel Hempstead.
2. Chernatoni J., McDonald M. Branding. How to create a powerful brand / Transl. from English / Ed. B.L. Eremin. M: UNITY-DANA, 2006 – Pp. 559
3. Christenfeld, N. (2015), “Choices from Identical Options,” Psychological Science, 6 (1), Pp.50-55.
4. Drucker P. Effective management / P. Drucker; trans. from English M. Kotelnikova. - Moscow: Astrel; AST; Ermak, 2004. 228
5. Brown N., Wibour B., Mathews J. Problems Marketing. N. U., 1961, P, 2-3
6. Kotler F. Armstrong c. (2015). Basics of Marketing, Tbilisi, Bakur Sulakauri Publishing House, 2015.
7. Stone R. Strategies for Growing Customer Value and Profitability. NY, 2009, pp.251-253.
8. Valenzuela A.; Raghubir P.; Mitakakis C. (2012), “Shelf space schemas: Myth or reality?” Journal of Business Research;

რეზიუმე

სტატია რამდენიმე განყოფილებისგან შედგება. მისი შესავალი განიხილავს სავაჭრო საწარმოების თავისებურებებს და მათ შესაბამისად ვაჭრობის მენეჯმენტის სპეციფიკურ ფუნქციებს.

განყოფილებაში „მასალები და მეთოდები“ განისაზღვრება მაღაზიის ადგილმდებარეობის მიმზიდველობის კრიტერიუმები, განხილულია მაღაზიის მიმზიდველობისა და პოტენციური ბაზრის შესაძლებლობების ინტეგრირებული ინდიკატორის გამოთვლის მეთოდოლოგია. ელიტური საქონლის პოტენციური მყიდველების რაოდენობის დასადგენად სექციაში „შედეგები“, ავტორებს შეთავაზებული აქვთ და გამოყენებული ფორმულები პროდუქტის პოტენციური მყიდველების რაოდენობისა და პოტენციური სიმძლავრის გამოსათვლელად. ბაზრის პოტენციური შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე, სექციაში „დისკუსია“ ავტორები გვთავაზობენ ფიზიკურ პირებზე მათი პირადი სარგებლობისთვის პირდაპირი გაყიდვების მოცულობასა და იურიდიულ პირებზე კოლექტიური სარგებლობისათვის გაყიდვების მოცულობას შორის ფაქტობრივი თანაფარდობას. დასკვნაში იდენტიფიცირებულია ვაჭრობის მენეჯმენტის ზოგიერთი მახასიათებელი და განხილულია საცალო ვაჭრობის საწარმოსთვის ოპტიმალური ადგილმდებარეობის არჩევის საკითხი. ავტორები გვთავაზობენ საცალო მიზიდულობის შესახებ რაილის კანონისა და ექვიპოტენციური წერტილის ფორმულის გამოყენებას. ასევე, ელიტური საქონლის პოტენციური მყიდველების რაოდენობის დასადგენად, ავტორებმა შემოგვთავაზეს და გამოიყენეს ფორმულა რეგიონში ამ პროდუქტის პოტენციური მყიდველების რაოდენობის გამოსათვლელად.

SOME CHARACTERISTICS OF THE RETAIL MARKET

Lia Motskobili
The Doctoral Student of Georgian Technical University
Rusudan Kutateladze
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Technical University

S U M M A R Y

The article comprises several sections. Its introduction discusses the specifics of trading enterprises and the specific functions of trade management accordingly.

The section “Materials and Methods” defines the criteria for the attractiveness of the store location, discusses the methodology for calculating the integrated indicator of store attractiveness and potential market opportunities. To determine the number of potential buyers of elite goods in the “Results” section, the authors have proposed and used formulas to calculate the number of potential buyers of the product and potential capacity. Based on the assessment of market potential opportunities, in the section “Discussion” the authors propose an actual ratio between the volume of direct sales to individuals for their personal use and the volume of sales to legal entities for collective use. The report identifies some of the characteristics of trade management and discusses the issue of choosing the optimal location for a retail enterprise. The authors suggest the application of Riley’s law of retail attraction and the equipotential point formula. Also, to determine the number of potential buyers of elite goods, the authors proposed and used a formula to calculate the number of potential buyers of this product in the region.

Keywords: assortment profile, optimal location choice, retail law of attraction, integrated rate, attractiveness criterion, service radius.

აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება საქართველოსა და უკრაინაში არსებული კონფლიქტების ჭრილში

ქეთევან ჯოჯიშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი (PhD)
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: აშშ, რუსეთი, კონფლიქტი, ცივი ომი, საბჭოთა კავშირი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ინტერესთა დაპირისპირება საქართველოსა და უკრაინაში არსებული კონფლიქტების ჭრილში. ამერიკისა და რუსეთის გლობალური მნიშვნელობის მქონე ურთიერთობის ფონზე, მუდამ მზარდია საერთაშორისო დაინტერესება. ორი ძლიერი ზესახელმწიფო, რომელთა გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური ანტაგონიზმი ე.წ. „ცივი ომის" განმავლობაში თითქმის ორმოცდაათი წელი გრძელდებოდა, დღევანდელობაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური კლიმატის მიღებასა და დამკვიდრებაში საერთაშორისო არენაზე, ასევე აქტიურად იცავენ საკუთარ ინტერესებს სხვა დომინანტ აქტორების გარემოცვაში. შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ინტერესთა დაპირისპირებამ არაერთი კრიზისული სიტუაცია შექმნა „მესამე სამყაროს" ქვეყნებში. სახეზეა, საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტებიც. ყურადღების ღირსია ვაშინგტონისა და მოსკოვის გავლენა აღნიშნული კონფლიქტების წარმოქმნისა და ესკალაციის გზაზე. [1, გვ.15]

საბჭოთა კავშირის დაშლითა და „ცივი ომის დასრულებით, სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობასა და მთელ რიგ ცვლილებებს ჩაეყარა საფუძველი პოსტსაბჭოთა სივრცეში. ბიპოლარული მსოფლიო, რომელშიც გავლენის სფეროები ორ დომინანტ აქტორს - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის იყო გადანაწილებული, XX საუკუნის მიწურულს ისტორიის კუთვნილება ხდება და კაცობრიობის ისტორიის ახალი ფურცელი იწერება. [20, გვ.11] პოსტბიპოლარული მსოფლიო წესრიგი ცივ ომში გამარჯვებული აშშ-ის ჰეგემონიზმით ხასიათდებოდა, რაც განსაზღვრავდა XXI-ე საუკუნის გარდამტეხ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს. ინტელექტუალურად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტის შეხედულებისამებრ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის დაშლის შემდეგ, დასრულდებოდა რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ავტორიტარული რეჟიმი და საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე ქვეყანა პრაგმატულ გზას არჩევდა, რომლის უმთავრესი ქვაკუთხედი სწორედ ქვეყნის დემოკრატიზაცია და ლიბერალიზაცია იქნებოდა. ამის საპირწონედ, მაშინ როდესაც სახელმწიფოები კომუნისტური რუსეთის ბრჭყალებისგან გათავისუფლებას აღნიშნავდნენ, რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არსებული სიტუაცია რუსეთის აგრესიით იჟღინთებოდა და შესაბამისად, სამოქალაქო ომები მწიფდებოდა. ამის ნათელი მაგალითია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში მიმდინარე მძაფრი ეთნოპოლიტიკური კერები, რომლებიც დღესდღეობით „გაყინული კონფლიქტების" სახელწოდებითაა ცნობილი. ამასთანავე, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსიის სახით, 2014

წელს კიდევ ერთი კონფლიქტი შეემატა პოსტსაბჭოთა სივრცეს. [22, გვ.9]

მე-XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში დომინირებდა ევრაზიულ სივრცეში და სამხრეთ კავკასიის, აღმოსავლეთის ევროპის, ცენტრალური აზიისა და ბალტიისპირა სახელმწიფოებს აერთიანებდა, 1991 წელს დაიშალა. საბჭოთა იდეოლოგიური მსხვრევა და 14 დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის თანამდევი, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დემოკრატიულ რელსებზე გადასვლის პარალელურად არაერთი სირთულისა და გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. დასავლეთის სამეცნიერო წრეების თანახმად, „ცივი ომის“ დასრულებითა და საბჭოთა კავშირის დაშლით ისტორია დასრულდა, როგორც „კაცობრიობის სოციო-კულტურული განვითარების საბოლოო ეტაპი და ადამიანური მმართველობის უკანასკნელი ფორმა“. ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა აჩვენებდა დასავლური ლიბერალური დემოკრატიის უპირობო პრიმატს საბჭოთა სოციალიზმზე და სჯეროდა, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ ეკონომიკური დოვლათი მოუტანა ე.წ. „მესამე სამყაროს“ ნაკლებად განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებსაც კი.

ამ, მართლაც ეპოქალური მოვლენების ერთგვარი პროდუქტი გახლდათ კავკასიის ტერიტორიაზე ეთნიკური დაპირისპირებების მრავალი კერის ჩამოყალიბება, რომლებიც რამდენიმე პოსტბიპოლარულ ქვეყანაში სამოქალაქო ომებსა და სისხლისღვრაში გადაიზარდნენ. ამ ყველაფრის თვალსაჩინო მაგალითია აფხაზებისა და ოსების სეპარატიზმის ჩამოყალიბება, რაც 1992-1993 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობითა და ქვეყნის საერთო ტერიტორიის 20%-ის დაკარგვით დასრულდა. [3, გვ.3] უფრო მეტიც, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია სამშობლოდან იქნა განდევნილი, რომელიც 1993 წლის დამლევს, დღემდე გაურკვეველ და იდუმალ გარემოებაში დაიღუპა. ცხინვალსა და აფხაზეთში მცხოვრები ათიათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი, წარმოიქმნა ე.წ. „გაყინული“ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის მშვიდობიანი გადაჭრის ყველა მცდელობა კრახით დასრულდა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოს პროდასავლური და თავისუფალი დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. სამოქალაქო ომის შედეგად, საქართველოს ახლადშექმნილი სახელმწიფოებრიობა დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მოგვიანებით, აფხაზური და ოსური კონფლიქტების შემდეგ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის წარმოიქმნა დაპირისპირება, რაც აჭარის რეგიონის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მისწრაფებებით აიხსნებოდა. თითოეული აღნიშნული სამხედრო კონფრონტაცია თუ სამოქალაქო ომი წითელ ზოლად გასდევს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას. [2, გვ.88]

ცხადია, რუსეთის ფედერაცია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, არ ეგუებოდა თავის „უკანა ეზოში“ გავლენებისა და პოზიციების შესუსტებას და საბჭოთა გაერთიანების დაშლასაც მეტად მტკივნეულად განიცდიდა, რაც ნათლად

გამოჩნდა მის მიერ განხორციელებულ საგარეო პოლიტიკურ მისწრაფებებსა და ქმედებებში, რომელიც პირდაპირ ბმაშია 1990-იან წლებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან. მოსკოვი, პირდაპირ თუ ირიბად, ინიცირებდა აფხაზი და ოსი პოლიტიკური საზოგადოების სეპარატისტულ მისწრაფებებსა და ქმედებებს, წვლილი შეჰქონდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში და დესტრუქციული ქმედებებით საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. [21, გვ.32]

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის აქსელერაცია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპული ქვეყნების პოლიტიკა კოსოვოსთან მიმართებით და საქართველოს ნატოში გაწევრიანების განცხადება ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე, რუსეთ-საქართველოს ომის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. რუსეთის მიერ ომის დაწყების ხელსაყრელი დრო აღმოჩნდა 2008 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ქვეყანა მთლიანად შიდა პოლიტიკური საკითხებით იყო მოცული.[14, გვ.8] რუსეთ-საქართველოს 5-დღიანი ომი, რომელიც 2008 წლის სამხრეთ ოსეთის ომის სახელწოდებით შევიდა ისტორიაში, მისი აღმატებული განზომილებით ხელს უწყობდა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხის კიდევ უფრო სხვა ფაზაში გადაყვანას. [9, გვ.78] აღნიშნული ომი რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების გართულების მაპროვოცირებელი გახდა, რომელმაც ჩიხში შეიყვანა მათი ურთიერთობა და აგრეთვე, საერთაშორისო საზოგადოებასა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს აჩვენა, რომ რუსეთი თავისი რევიზიონისტული ქმედებებით არ აპირებს საკუთარი „გავლენის სფეროების“ დათმობას, რაც თავის მხრივ, დასავლეთის მხრიდან საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობას ართულებს. რუსეთის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და უკრაინაში გავლენების გაღრმავება. რუსეთის ინტერვენციამ საქართველოს ცივილიზებული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთი კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა, რომლისთვისაც დაბრკოლებას არც საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფა და არც მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა წარმოადგენს. [5, გვ.66]

აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ, 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოხდა, რასაც ემსხვერპლა ასობით მოქალაქე და განადგურდა ათეულობით ქართული სოფელი, ასევე სახეზე იყო ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი. [6, გვ.5]

ამჟამად ცხინვალის რეგიონში რუსეთის გავლენით ინტენსიურად ხდება მავთულხლართებისა და ხელოვნური ბარიერების აღმართვა. ამასთანავე, ხშირია ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ ბრალდებით დაკავებულ პირთა ფაქტები, რომლებიც არცთუ იშვიათად სავალალოდ სრულდება. [4, გვ.13]

ამრიგად, რუსეთის იმპერიის ყოველგვარი მცდელობა პირდაპირ ბმაშია სამხრეთ კავკასიის რეგიონის და განსაკუთრებით საქართველოს თავისი გავლენის ქვეშ მოქცევასთან, რომელსაც თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიალისტური მიზნების განხორციელებისკენ მიმავალ გზაზე, ასევე მნიშვნელოვანი იყო დაკარგული რუსული ღირსების აღდგენა. ამდენად საქართველოს ფაქტორი რუსეთის საიმპერატორო კარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და მასზე გავლენის შენარჩუნება მის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა.

[13, გვ.56]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები დიდი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. 1991 წელს უკრაინის პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში პირველი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შედეგად არჩეულ იქნა ლეონიდ კრავჩუკი, რომელიც 1994 წელს ხელმეორედ იქნა არჩეული, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას უჭირდა რეფორმების ეფექტიანი გატარება და შეინიშნებოდა ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა. პოლიტიკური ვნებათაღელვა გრძელდებოდა, 2004 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიკაციამ გარკვეული ქაოსი განაპირობა კიევში, რომელიც ისტორიაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ სახელმწოდებით შევიდა. ზემოხსენებულ არჩევნებში საპროტესტო ღონისძიებათა მასშტაბურობის წყალობით გაიმარჯვა ვიქტორ იუშჩენკომ, რომლის წინამორბედი პროდასავლურიორიენტაციისვიქტორიანუკოვიჩიიყო.ვიქტორიუშჩენკომ,როგორც კუჩმას პოლიტიკურმა ოპონენტმა უკარიანულ საზოგადოებას იმედი ჩაუსახა, რომ ქვეყანა გეზს დასავლური ლიბერალური დემოკრატიის განვითარებისკენ აიღებდა, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის უკეთესობისკენ შეცვლის დასაბამი გახდებოდა. თუმცა, 2010 წლიდან პრეზიდენტის პოსტს კვლავ ვიქტორ იანუკოვიჩი იკავებს. [8, გვ.25]

უკრაინაში შემდეგი ვნებათაღელვა 2013 წლის ნოემბერში მოხდა. უკრაინის პრორუსული მთავრობის გადაწყვეტილებამ, რომელიც ფოკუსირებას ახდენდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და მისი თანმდევი ხელმოწერის პროცესის შეჩერებაზე, გამოიწვია ევრომეიდანის მოვლენები, რაც 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ ყველაზე მასშტაბურ აქციად ითვლება. შექმნილი ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის უმაღლესი საბჭოს შენობისა და სტრატეგიული ობიექტების დაკავების ფონზე, რაც ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის მიერ ჩატარებული რეფერენდუმის საწინდარი გახდა. აღნიშნული რეფერენდუმის ფარგლებში კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი ყირიმის სტატუსის შესახებ. ყირიმმა უკრაინისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გაეროს რეზოლუცია არ სცნობს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის ანექსიას, ხოლო რუსეთის ფედერაცია ეწინააღმდეგება აღნიშნულ „ანექსიის“ იარლიყს და რეფერენდუმს ხალხის თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას უწოდებს. [10, გვ.16]

აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირების შემდეგ, 2014 წელს დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების შექმნამ გაამწვავა ურთიერთობა კიევსა და მოსკოვს შორის. მიუხედავად კრემლის უგულებელყოფისა, უკრაინის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანახმად, აღმოსავლეთ უკრაინის მიმდინარე პროცესებში მონაწილე სეპარატისტულ ჯგუფებს მფარველობას უწევს რუსეთი, მაშინ როდესაც უკრაინის ხელისუფლება დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტულ ძალებს ტერორისტებს უწოდებს „თავისივე ხალხის წინააღმდეგ“.

დასკვნა

„ცივი ომის“ დასრულებამ ფუნდამენტურად შეცვალა ძალთა ბალანსი დაპირისპირებულ მხარეებს შორის და მსოფლიო წესრიგი სრულიად განსხვავებულ ფაზაში გადაიყვანა. პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება მკვეთრად გამოიხატა, როგორც მრავალი საკითხის და აგრეთვე, საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტებთან მიმართებაში, რომელიც დღემდე ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. მაშინ როდესაც 1991 წლიდან საქართველოს და უკრაინას აქვთ ვაშინგტონის უპრეცედენტო მხარდაჭერა ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების, დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების დამკვიდრებისა და შიდა პოლიტიკური რეფორმების განხორციელების კუთხით, რუსეთი განსხვავებული მიდგომას გვთავაზობს საქართველოსა და უკრაინაში არსებულ კონფლიქტებთან მიმართებაში და პირდაპირ თუ ირიბად უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღნიშნულ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, რაც საკუთარი „უკანა ეზოს“ კვლავაც გაძლიერების ფუნდამენტს ეფუძნება.

ამერიკა და რუსეთი, ურთიერთდამოკიდებულების წინააღმდეგობრივი და ამბივალენტური ბუნებით, საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო წყვილს წარმოადგენენ. ერთი მხრივ, ამერიკა ნატოს მხარდამჭერია და აგრეთვე, ემხრობა ორგანიზაციაში უკრაინისა და საქართველოს წევრობას. ბაიდენი მხარს უჭერს რუსეთის მიმართ ყირიმის ანექსიის გამო დაწესებულ სანქციებს, ასევე საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და საქართველოს რეგიონების არაღიარების პოლიტიკას. მეორე მხრივ, პარადოქსია, მაგრამ კომუნიზმის მარცხისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს, ფაქტობრივად, არ აქვს ერთიანი იდეოლოგია, ერის გაძლიერების ერთიანი ცივილური ხედვა, რომელიც არ იქნება ორიენტირებული მეზობელი ქვეყნების სუვერენული ტერიტორიების დაპყრობასა და მრავალსაუკუნოვანი რუსული ცარისტულ-იმპერიალისტური ამბიციების განხორციელებაზე. XXI საუკუნე ცალსახად ნათელყოფს, რომ დღესდღეობით რუსეთი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ბნელი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ექსპანსიონიზმის, მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის გზასთან. ამერიკას გაუჭირდება იმ ნაციონალისტური ტრადიციებით ნაკარნახევი სტრატეგიული ჩარჩოს შეცვლა, რომლითაც დღემდე ხელმძღვანელობს რუსეთის ფედერაცია.

იქმნება სურათი, რომლის მიხედვით ცივი ომის დასრულებიდან მრავალი წლის შემდეგაც კი, მიმდინარეობს აშშ-რუსეთის ინტერესთა კონფლიქტი. მეცნიერ თ. კიკნაძის მიხედვით „XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში დასავლეთისა და რუსეთის კონფრონტაციაა“. ქართველი მეცნიერის მოსაზრებას ამყარებს რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი, მაიკლ მაკფოლი, რომელმაც აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება შთამბეჭდავად აღწერა თავის წიგნში „ცივი ომიდან ცხელ მშვიდობამდე“. რაც ერთობ იმედისმომცემ პერსპექტივებს ვერ შლის ჩვენ წინაშე, მითუმეტეს კორონავირუსის პანდემიის პირობებში, როდესაც უმთავრესია არა მარტო ეროვნული ძალისხმევა, არამედ ქვეყნებს შორის, უფრო დიდი საერთაშორისო თანამშრომლობა, მულტილატერალიზმზე დამყარებული სისტემა.

ბიბლიოგრაფია

1) მალაშხია, შ. „კონფლიქტების ანატომია“. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“, 2011.
2) ნოდია, გ. (1997) „მიზეზები და ხედვები აფხაზეთის კონფლიქტში“.
3) სიხარულიძე, ა. „რუსეთი, 1991-2008“. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერასი“, 2014.
4) ტოროშელიძე, ი. „პუტინის საგარეო პოლიტიკა“. თბილისი: გამომცემლობა „სიდა“.
5) ყალიჩავა, კ. „რუსეთ-საქართველოს ომი 2008, ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში“. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.
6) ჯოჯუა, დ. „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010.
7) Aggarwal, V.K. and Govella, K. (2011) „Responding to a resurgent Russia: Russian policy and responses from the European Union and the United States“. Springer Science & Business Media.
8) Bebler, A. (2015) „The Russian-Ukrainian conflict over Crimea“.
9) Cornell, S.E., Nilsson, N. (2008) „Russia's war in Georgia: causes and implications for Georgia and the world“. Silk Road Studies Program.
10) Donaldson, R.H., Nogee, J.L. „The Foreign Policy of Russia: Changing Systems, Enduring Interests, 2014“. Routledge, 2014.
11) Fawn, R. „Ideology and national identity in Post-communist foreign policies“, Frank Cass publishers, 2003.
12) Gaidar, Y. „Collapse of an empire: lessons for modern Russia“. Brookings Institution Press, 2010.
13) Gvosdev, N.K., Marsh, C. „Russian foreign policy: Interests, vectors, and sectors“. CQ Press, 2013.
14) King, C. (2008) „The Five-Day War-Managing Moscow after the Georgia Crisis“.
15) Legvold, R. (2016). „Return to cold war“. John Wiley & Sons.
16) Machiavelli, N. „The Prince“. New York: Penguin Books, 1981.
17) Mankoff, J. „Russian foreign policy: the return of great power politics“. Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2009.
18) Morgenthau. J., „Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace“. New York, 1985.
19) Stent, A.E. „The limits of partnership: US-Russian relations in the twenty-first century“. Princeton university press, 2015.
20) Todd, A. (2011) „History for the IB Diploma: The Cold War“. Cambridge University Press.
21) Trenin, D. (1996) „Russia's Security Interests and Policies in the Caucasus Region“. Contested borders in the Caucasus.
22) Tsygankov, A.P. (2016). „Russia's foreign policy: change and continuity in national identity“. Rowman & Littlefield.
23) Wikinson, P. „International relations. Sterling Publishing Company, 2010“.
24) Ykelchyk, S. „The Conflict in Ukraine: What Everyone Needs to Know“. Oxford University Press, 2015.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს დიდი პოლიტიკური მოთამაშეების - ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტების მაგალითზე. საუბარია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების, რუსეთ-საქართველოს ომისა და ყირიმის ანექსიის ფაქტორზე, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდგომი პერიოდიდან დომინანტი საერთაშორისო აქტორების ერთგვარ პოლიგონადაც კი იქცა. რუსეთის მიზანი იყო აღნიშნულ რეგიონებში სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება და დომინანტური პოზიციის შენარჩუნება, რაც ხელს უშლიდა ამერიკასთან ორმხრივ თანამშრომლობას.

აშშ-რუსეთის ურთიერთობა საკმაოდ კომპლექსური ფენომენია, რომლის ხასიათის ცვლილება დროსა და სივრცეში ვლინდება, ასევე კლასიკური რეალიზმის პრინციპებშია გამოხატული. ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩამოყალიბებულმა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ, აღნიშნულ ქვეყნებს საშუალება მისცა გადასულიყვნენ განვითარების სრულიად განსხვავებულ ეტაპზე.

რუსეთის ინტერვენციამ საქართველოსა და უკრაინაში დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატებისა და რუსეთის ურთიერთობის დინამიკაზე, რომელთა სახელმწიფო ინტერესები, მსოფლიოს სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, ამ ჭრილშიც იკვეთება.

საკვანძო სიტყვები: აშშ, რუსეთი, კონფლიქტი, ცივი ომი, საბჭოთა კავშირი

CONFLICT OF US-RUSSIA INTERESTS IN THE TERMS OF CONFLICTS IN GEORGIA AND UKRAINE

Ketevan Jojishvili
Student of Political Science (PhD)
Caucasus International University

Annotation

This paper aims to study the conflict of interests of major political players - the United States and Russia - on the example of the ongoing conflicts in Georgia and Ukraine. We are talking about the conflicts in Abkhazia and South Ossetia, the Russian-Georgian war and the annexation of Crimea, which has become a kind of training ground for the dominant international actors since the collapse of the Soviet Union and the end of the Cold War. The goal of Russia was to gain a military-strategic advantage and maintain a dominant position in these regions, which hindered bilateral cooperation with the United States.

The US-Russia relationship is a rather complex phenomenon, the nature alternation of which manifests itself in time and space, as well as it is manifested in the principles of classical realism. The new political reality formed after the end of the Cold War and the collapse of the Soviet Union allowed these countries to move to a completely different stage of development.

Intervention of Russia in Georgia and Ukraine has had a major impact on the dynamics of relations between the United States and Russia, whose state interests, along with other important world events, are also reflected in this context.

Key words: USA, Russia, conflict, Cold War, Soviet Union

სეისმური დატვირთვების ზემოქმედება ქანის მასივთან ერთობლივი დეფორმაციის რეჟიმში მყოფი გვირაბის სამაგრ კონსტრუქციაზე

ალექსანდრე ბუაჩიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: სეისმიკა; დეფორმაცია; კონსტრუქცია; გვირაბი.

პირველი ამ კვაზისტატიკური ამოცანებიდან, ანუ გრძივი გრძელი ტალღის წრიული კვეთის გამაგრებულ გვირაბზე გავლისას სამაგრში წარმოშობილი შიგა ძალვების განსაზღვრის ამოცანა სასაზღვრო პირობების იდენტურობის გამო ფაქტიურად ემთხვევა გვირაბზე წმენდითი სამუშაოების გავლენის შედეგად წარმოშობილი დამატებითი ძაბვების განსაზღვრის კერძო შემთხვევას, როდესაც დამატებით ძაბვების მოქმედების დრო იმდენად მცირეა, რომ ისინი იწვევენ „სამაგრი-მასივის“ სისტემის მხოლოდ დრეკად დეფორმაციებს და დამატებითი რეოლოგიური პროცესები რეალიზაციას ვერ ასწრებენ. შესაბამისად, გრძივი ტალღის გავლისას R-რადიუსიან დრეკად რგოლურ სამაგრსა და ქანის მასივს შორის წარმოშობილი დინამიკური ძაბვები პირველი სახის საკონტაქტო პირობებისათვის (როცა ქანისა და სამაგრის ზედაპირზე ადგილი აქვს შეჭიდულობას) გამოისახება ფორმულებით:

$$P'_\theta(P) = P_0 + P'_2 \cos 2(\theta - \alpha); \tag{1}$$

$$T'_\theta(P) = T'_2 \sin 2(\theta - \alpha), \tag{2}$$

სადაც სასაზღვრო პირობის დროს მცირე მონაკვეთში მოქმედების გათვალისწინებით [1]

$$P_\theta = \frac{P_ь(1+\lambda)}{2} \frac{1}{\frac{bR^2}{E_ь F} k_0 + 1}, \tag{3}$$

$$P'_2 = \frac{P_ь(1-\lambda)}{2} \frac{\frac{18E_ь I}{bR^4} - c'\left(1 - \frac{V'_2}{U'_2}\right)}{\frac{18E_ь I}{bR^4} + c'\frac{V'_2}{U'_2} + 2k'_2}; \tag{4}$$

$$T'_2 = \frac{P_ь(1-\lambda)}{2}. \tag{5}$$

$E_ь$ არის სამაგრის მასალის დაყვანილი დრეკადობის მოდული;

F და I – სამაგრის b სიგრძის რგოლის მსახველზე კვეთის ფართობი და ინერციის მომენტი;

$k_0,\ k'_2,\ c'$ – ქანის მასივის დრეკადი უკუწნევის (3) –(5) კოეფიციენტები;

V'_2/U'_2 – სამაგრისა და ქანის საკონტაქტო ზედაპირის წერტილების ერთობლივი გადაადგილებების მხები და რადიალური კონპონენტების ფართობი.

ასეთი გარე დატვირთვისას დრეკად რგოლურ სამაგრში იმოქმედებს გრძივი ტალღის შესაბამისი დინამიკური ნორმალური ძალა

$$N'_\theta(F) = bR\left[P_0 - \left(\frac{1}{3}P'_2 + \frac{2}{3}T'_2\right)\cos 2(\theta-\alpha)\right] \tag{6}$$

და მღუნავი მომენტი

$$M'_\theta(P) = \frac{Ib}{F}P_0 - \frac{bR^2}{6}\,(2P'_2 - T'_2)\cos 2(\theta - \alpha). \tag{7}$$

მეორე სახის საკონტაქტო პირობებისას, ანუ როდესაც სამაგრსა და ქანს შორის მოსალოდნელია თავისუფალი გასრიალება, გრძივი სეისმური ტალღის მოქმედების შედეგად წარმოშობილი დამატებითი დატვირთვა წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ნორმალური საკონტაქტო ძაბვებით.

$$P''_\theta(P) = P_0 + P'_2\ \cos 2(\theta - \alpha), \tag{8}$$

სადაც P_0-ს იგივე (3) მნიშვნელობა აქვს, რაც პირველი სახის საკონტაქტო პირობებისას, ხოლო

$$P''_2 = \frac{P_ь(1-\lambda)}{2}\,\frac{1}{\dfrac{bR^4}{9E_ьI}k''_2 + 1}, \tag{9}$$

სადაც k''_2 – მასივის დრეკადი უკუწნევის კოეფიციენტია მეორე სახის საკონტაქტო პირობებისათვის და განისაზღვრება (9) ფორმულით

$$k''_2 = \frac{3E_0}{R(1+\mu_0)(5-6\mu_0)}.$$

მეორე სახის საკონტაქტო პირობებისას გრძივი ტლღის შესაბამისი დინამიკური ნორმალური ძალა და მღუნავი მომენტი გამოისახება შემდეგნაირად [2]:

$$N''_\theta(P) = \frac{P_ьR(1+\lambda)}{2}\,\frac{1}{\dfrac{bR^2}{E_ьF}k_0 + 1} - \frac{P_ьR(1-\lambda)}{6}\,\frac{\cos 2(\theta-\alpha)}{\dfrac{bR^4}{9E_ьI}k''_2 + 1}; \tag{10}$$

$$M''_\theta(P) = \frac{P_ьR^2(1-\lambda)}{2}\,\frac{\cos 2(\theta-\alpha)}{\dfrac{bR^4}{9E_ьI}k''_2 + 1}. \tag{11}$$

განივი სეისმური ტალღით გამოწვეული შიგა ძალვების განმსაზღვრელი ფორმულები მიიღება მეორე საკონტაქტო ამოცანის ამოხსნით გამაგრებული ხვრელიანი სიბრტყისათვის, რომლის უსასრულო საზღვრებზე მოქმედებენ ძვრის ძაბვები. ამ ამოცანის დრეკადობის თეორიისა და მასალათა გამძლეობის მეთოდებით ამოხსნის მიმდევრობის მოუყვანლად ჩავწეროთ სამაგრზე მოქმედი დინამიკური ნორმალური და მხები საკონტაქტო ძაბვების. მათი შესაბამისი შიგა ნორმალური

ძალებისა და მღუნავი მომენტების საანგარიშო ფორმულებს.

პირველი სახის საკონტაქტო პირობების სამაგრზე მოქმედი დინამიკური დატვირთვის ნორმალური და მხები შემდგენები

$$P'_\theta(Q) = -P'_2 \sin 2(\theta - \alpha); \tag{12}$$

$$T'_\theta(Q) = T'_2 \cos 2(\theta - \alpha), \tag{13}$$

სადაც ამ შემთხვევაში

$$P'_2 = \frac{Q_ь\left[\dfrac{18E_ьI}{bR^4} - c'\left(1 - \dfrac{V'_2}{U'_2}\right)\right]}{\dfrac{18E_ьI}{bR^4} - c'\dfrac{V'_2}{U'_2} + 2k'_2}; \tag{14}$$

$$T'_2 = \frac{Q_ь\left[\dfrac{18E_ьI}{bR^4} + 2k'_2\left(1 - \dfrac{V'_2}{U'_2}\right)\right]}{\dfrac{18E_ьI}{bR^4} + \left(\dfrac{2k'_2}{c'} + \dfrac{V'_2}{U'_2}\right)k'_2}. \tag{15}$$

შესაბამისი შიგა ნორმალური ძალა და მღუნავი მომენტი

$$N'_\theta(Q) = bR\left(\frac{P'_2}{3} + \frac{2T'_2}{3}\right)\sin 2(\theta - \alpha); \tag{16}$$

$$M'_\theta(Q) = bR^2\left(\frac{P'_2}{3} - \frac{2T'_2}{6}\right)\sin 2(\theta - \alpha). \tag{17}$$

მეორე სახის საკონტაქტო პირობებისას განივი სეისმური ტალღის გავლით გამოწვეული დამატებითი დატვირთვა და სამაგრში წარმოშობილი დინამიკური შიგა ძალვების სიდიდეები განისაზღვრება ფორმულებით:

$$P''_\theta(Q) = -\frac{Q_ь \sin 2(\theta - \alpha)}{\dfrac{bR^4}{9E_ьI}k''_2 + 1}; \tag{18}$$

$$N''_\theta(Q) = -\frac{P''_\theta(Q)R}{3}; \tag{19}$$

$$M''_\theta(Q) = -P''_\theta(Q)R^2. \tag{20}$$

ამრიგად, თუ ცნობილია დრეკადი რგოლის ნებისმიერ კვეთში სეისმური გრძივი და განივი ტალღების შესაბამისი შიგა ნორმალური ძალები და მღუნავი მომენტები, შესაძლებელია დამატებითი დინამიკური წრიული ძაბვების მნიშვნელობები განისაზღვროს ფორმულით.

$$\sigma_\theta = \frac{N_\theta}{F} + \frac{M_\theta}{I}y$$

და შეიკრიბოს მასივში მოქმედი ძირითადი სტატიკური ველის შესაბამის ძაბვებთან, რომელთა ინტენსივობა კონკრეტული საკონტატო პირობებისათვის განისაზღვრება მიღებული სათანადო ფორმულებით. აქაც, ისევე როგორც გაუმაგრებელი გვირაბის შემთხვევაში, სტატიკური და დინამიკური ძაბვების ერთობლივი მოქმედების შესაძლო საშიში ზეგავლენის შესაფასებლალდ უნდა შეიკრიბოს მათი ექსტრემალური მნიშვნელობები, სამაგრის მზიდუნარიანობის თვალსაზრისით დატვირთვების ყველაზე არახელსაყრელი კომბინაციისათვის.

წრიულისაგან განსხვავებული განივკვეთის ფორმის გვირაბის სამაგრზე გრძელტალღიანი სეისმური დატვირთვების ზემოქმედების შეფასების ამოცანა აგრეთვე მიიყვანება დრეკადობის თეორიის ბრტყელ საკონტაქტო ამოცანებამდე კონფორმულ გარდასახვათა მეთოდების გამოყენებით. ეს ამოცანები ხასიათდება მნიშვნელოვანი სირთულით და მათი კერძო მაგალითების დათვლა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული გამომთვლელი ტექნიკის საშუალებით, უფრო დეტალურად ეს საკითხები და ზოგიერთი კერძო მაგალითი განხილულია ნ. ფოტიევას [1] შრომაში.

რაც შეეხება მაღალი სიხშირის სეისმური ზეგავლენებს, ანუ მიწისქვეშა ნაგებობაზე დინამიკური ძაბვების ზემოქმედებას, რომელთა ტალღების ფარდობითი სიგრძე $d/\lambda < 0,333$, მათი შეფასების მეთოდები ჯერჯერობით შედარებით სუსტადაა დამუშავებული და მომავალი შესწავლის საგანს წარმოადგენს.

დასკვნა

გვირაბის სამაგრი გრძივი და განივი ტალღებისგან გამოწვეული დინამიკური ძაბვების დასადგენად საჭიროა ორი კვაზისტატიკური საკონტაქტო ამოცანის ამოხსნა გამაგრებულხვრელიანი სიბრტყისათვის, რომლის უსასრული საზღვრებზე მყისიერად და ერთდროულად მოქმედებენ კუმშვა-გაჭიმვისა და ძვრის ძაბვები, რომელთა მიმართულებები სტატიკური ველის მთავარ სიბრტყეებთან შეადგენენ რაიმე α კუთხეს.

ლიტერატურა

1. Фотиева Н.Н. Расчет крепи подземных сооружений в сейсмически активных районах. М., «Недра», 1980.

2. Kipiani G. Application of elongation theory methods in calculations of building structures and building foundations. Technical University, Tbilisi, 2009. 130 p.

3. Mihailov BK, Kipiani GO, Moskaleva VG Basic theories and methods for calculating the durability of three-layer plastin with cuts. «Metsniereba», Tbilisi, 1991. -189 p. M 607 (106) -91.

4. Mihailov BK, Kipiani G.O. Deformability, and durability of spatial plastic systems with

breakable parameters. Strozhizdat SPb, S.-Petersburg, 1996. -442 p.

რეზიუმე:

მოცემულია სტატიკური და დინამიკური დატვირთვების ერთდროული ზემოქმედების შეფასებისათვის სტატიკური დატვირთვების შესაბამისი ძაბვები , რომელსაც უნდა დაემატოს გრძივი და განივი ტალღებისაგან გამოწვეული მაქსიმალური ძაბვები ნაგებობის სიმტკიცისა და მდგრადობის თვალსაზრისით ყველაზე არახელსაყრელ კომბინაციაში.

IMPACT OF SEISMIC LOADS ON ROCK MASS TUNNELS IN JOINT DEFORMATION MODE ABOUT BRACKET CONSTRUCTION

Alexander Buachidze

Summary: The corresponding stresses for static loads are given to assess the simultaneous effects of static and dynamic loads, to which it is necessary to add the maximum stresses caused by longitudinal and shear waves in the most unfavorable combination from the point of view of strength and stability of the building.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო

ირმა ტაბატაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: გლობალური პოლიტიკა; ეკონომიკური კრიზისი; თავისუფალი კონკურენცია; ეკონომიკური პოლიტიკა;

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში ძირფესვიანი ცვლილებების გარდაუვალობა დააყენა. აღნიშნული პროცესი სამყაროს ძირეული გარდაქმნების საფუძველი გახდა. ავტორიტეტული სპეციალისტები და ექსპერტები გარდაქმნების რამდენიმე ტალღას პროგნოზირებენ და აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიოს მთელი რიგი ცვლილებები ელოდება. უმთავრესი, რაც მსოფლიოში გარდაუვალ ცვლილებებს მოასწავებს, თანამედროვე სამყაროში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებია, რომლებიც ველური კაპიტალიზმის პირობებში „თავისუფალ კონკურენციას“, ანუ თვითდინებაზე მიშვებულ ბაზარს აწესებს და წარმოების სტიმულირებაზე ორიენტირებული რეგულაციების მიღებას გამორიცხავს. ამ სისტემის კრახის პირველი ნიშნები განსაკუთრებით მწვავედ მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოებში გამოვლინდა, იმიტომ, რომ ე.წ. „თავისუფალი ბაზრის“ სისტემის გაზიარებამ მათი შიდა წარმოება მოსპო, ხოლო კრიზისის პირობებში, როცა მსოფლიოში ყველა მსხვილმა მწარმოებელმა ექსპორტზე კვოტები დააწესა, სასაქონლო დეფიციტის რეალური საშიშროების წინაშე, სწორედ შიდა წარმოების არმქონე და საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ საქონელზე, კერძოდ უპირველეს ყოვლისა სასურსათო პროდუქტზე, დამოკიდებელი ქვეყნები დააყენა. შეიქმნა ისეთი რეალობა, როცა ყველა სახელმწიფომ, ყველა მსხვილმა მწარმოებელმა საკუთარი ბაზრის დაკმაყოფილებასა და მარაგზე სერიოზულად დაიწყო ფიქრი. მსოფლიო გეოპოლიტიკურმა დღის წესრიგმა პირველი რეალური ცვლილებების ტალღა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის კრახით დაიწყო. დასავლეთის ქვეყნებში საჯაროდ დაიწყო მსჯელობა იმაზე, რომ ე.წ. „საბაზრო ეკონომიკა“, რომელიც თვითრეგულაციის პრინციპებზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას გულისხმობს, დღეს არსებული გამოწვევების ფონზე კატასტროფის ტოლფასია.

სულ მალე მსოფლიო ეკონომიკაში ექსპერტთა მტკიცებით, კოლოსალური რყევებია მოსალოდნელი. ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების თვალსაზრისით უკვე მოხდა ორიენტაციის წარმოუდგენელი ცვლილება. ჩინეთის სავაჭრო პარტნიორობამ დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაინაცვლა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა 6,1 პროცენტით თუ გაიზარდა, ევროკავშირთან ვაჭრობა 10,4 პროცენტით, აშშ-თან კი - 18,3 პროცენტით შემცირდა.

საერთაშორისო სასურსათო პროგრამის აღმასრულებელი დირექტორის დევიდ ბიზლის აზრით: „განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ. ჩვენ შეიძლება დაგვატყდეს ბიბლიური მასშტაბის შიმშილი“. პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა FOREIGN POLICY-მა ეკონომიკასა და ფინანსების დარგში მსოფლიო დონის მოაზროვნეებს, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურიატებს სთხოვა, პროგნოზი გაეკეთებინათ პოსტკორონავირუსული ეპოქის ეკონომიკის შესახებ. ჯოზეფ სტიგლიცის, ნობელის პრემიის ლაურეატის, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის აზრით, მსოფლიოს ქვეყნების საზღვრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მტკიცება იმისა, რომ გლობალურ მსოფლიოში საზღვრები არაფერს ნიშნავს, შეიცვალა. კრიზისმა ყველას

შეგვახსენა, რომ საბაზისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად სახელმწიფო რჩება“.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტის გიტა გოპინატის მტკიცებით: „1930 წლის შემდეგ ყველაზე მძლავრმა დაცემამ ეკონომიკაში თვალნათლივ დაგვანახა, რამდენად მოწყვლადია ღია საზღვრები. ყველა, ვინც ჩართული იყო მიწოდების გლობალურ ჯაჭვში და, ვინც თავის თავზე იწვნია ის, თუ რამდენად საშიშია სხვებზე დამოკიდებულების ასეთი მაღალი ხარისხი, მომავალში იზრუნებენ საკუთრ მოქმედებათა არეალის ლოკალიზაციისათვის და არავითარ შემთხვევაში გლობალიზაციისათვის“. კარმენ რაინჰარტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის მტკიცებით: „საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსებს მიადგება სერიოზული და ხანგრძლივი ზიანი“. ხოლო ადამ პოზენის, პეტერსონის სახელობის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორის აზრით: „გაძლიერდება ეკონომიკური ნაციონალიზმი, რომელიც იქამდე მიგვიყვანს, რომ სახელმწიფოები თავიანთ ეკონომიკებს სულ უფრო შემოსაზღვრავენ გარე სამყაროსგან“. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელმა დირექტორმა კრისტალინა გეორგიევამ გაეროს მიერ მოწყობილ დისტანციურ ღონისძიებაზე განაცხადა: „აპრილში ჩვენ ვივარაუდეთ მსოფლიო ეკონომიკის შემცირება 3%-ით, ახლა ვიღებთ ახალ მონაცემებს, რომლებიც მიგვითითებს, რომ შემცირება გაცილებით მეტი იქნება“ (4).

გავაანალიზოთ რა ვითარებას უნდა ველოდოთ საქართველოში, რომელიც როგორც ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში პროდასავლური ქვეყანა, ცხადია, საკუთარ მომავალს დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავდა და ყველა თვალსაზრისით, მათ შორის, ეკონომიკური განვითარების მიმართულებითაც, მისი პოლიტიკა სწორედ დასავლეთიდან იყო ნაკარნახევი, რის შედეგია ის, რომ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის კვალდაკვალ ქვეყანა მალევე დაეფუძნა ე.წ. „თავისუფალ ბაზრის“ პრინციპებს და მთელი რიგი დარგები, რომლებიც სახელმწიფო ასე თუ ისე იცავდა იმპორტზე სრული დამოკიდებულებისაგან, თითქმის სრულად მოიშლა. შეცდომა იყო, როცა წლების წინ გამოცხადდა, რომ სოფლის მეურნეობა ნაკლებ რენტაბელური იყო და ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვებოდა, რომ ქვეყანას ხარჯები არ უნდა გაეწია ისეთი პროდუქციის საწარმოებლად, რომლის შემოტანაც საზღვარგარეთიდან უფრო იაფი დაჯდებოდა. ამ მიდგომებმა საქართველო ერთმნიშვნელოვნად აქცია მომხმარებელ ქვეყანად, რომელსაც საკუთარი პროდუქტი ფაქტობრივად აღარ გააჩნდა. შედეგმაც არ დააყოვნა და მოხდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირება, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის წილის აბსოლუტური ზრდა. არ შეიძლება ადგილობრივი წარმოების განვითარება მხოლოდ შემოტანილ რესურსებზე დაყრდნობით - განსავითარებელია ადგილობრივი დარგები. სტატისტიკა ნათლად ცხადყოფს წლების განმავლობაში თუ როგორ შემცირდა ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება. მივმართოთ სტასტიკურ მონაცემებს: 2014 წლის მაჩვენებლებით, სოფლის მეურნეობის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 9,6% შეადგინა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 8,8%-მდე შემცირდა, 2016 წელს უკვე 8,3% იყო, ხოლო 2017 წელს 7,2%. 2014 წელს 153,6 ათასი ტონა ბოსტნეული მოვიწიეთ, 2015-ში ეს მონაცემები 152,3 ათას ტონას შადგენდა, 2016-ში - 141,7 ათასი ტონა, 2017-ში კი - 125,9 ათასი. რაც შეეხება ხორბალს, რომელიც მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებლების მიერ ექსპორტზე კვოტების დაწესების გამო ყველაზე დეფიციტურ პროდუქტად შეიძლება იქცეს, საქართველომ 2016 წელს 126,6 ათასი ტონა ხორბალი აწარმოა, რაც მერე მნიშვნელოვნად შემცირდა და პრაქტიკულად განახევრდა... თუმცა, ხორბალი არ იყო ერთადერთი ნედლეული, რომლის წარმოება წლიდან წლამდე მცირდებოდა, მნიშვნელოვანი კლება იყო მრავალწლიანი კულტურებისა (ხილის, ციტრუსების) და

ხორცის წარმოებაშიც. მაგალითად, 2018 წელს 72,9 ათასი ტონა ხორცი აწარმოეს, 2019 წელს კი ეს მაჩვენებელი 67,6 ტონამდე შემცირდა. პარალელურად უკანასკნელ ხუთ წელიწადში განახევრდა მსხვილფეხა საქონლის სულადობა, სერიოზულად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობებიც. ამის პარალელურად წლიდან-წლამდე გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა იმპორტირებული საქონლის ციფრული მაჩვენებელი. მაგალითად, 2016 წელს იმპორტმა 1.488,5 მმილიონი აშშ დოლარი შადგინა, 2017-ში კი – 1.702,0; 2018 წელს – 2078,2 მილიონი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მიმდინარე წლის აპრილში ეკონომიკა 16%-ით შემცირდა. უკანასკნელ ათწლეულში ეს ერთ თვეში დაფიქსირებული ეკონომიკური ვარდნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. კითხვაზე, რატომ გვაქვს ასეთი მაჩვენებელი, პასუხი მარტივია: ჩვენ იმპორტზე ვართ დამოკიდებული. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ექსპორტით ცხოვრობს (1, 29-30). საქსტატმა გამოაქვეყნა ოფიციალური მონაცემები, რომ 2019 წელთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონე 6,6 % შეადგენს. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებაც შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 13,6 % რაც წლიურ ინფლაციაზე 4,15 % პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ჯგუფებზე: ხელი და ყურძენი - 46,5 %, რძე, ყველი და კვერცხი - 17,2%, თევზეული - 15,8 %, ყავა, ჩაი და კაკაო - 14,8 %, ზეთი და ცხიმი - 13,5 %, ხორცი და ხორცის პროდუქტები 13,1 %, შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული - 12,6 %, პური და პურპროდუქტები - 10,0 %, მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები - 9,3 % (1, 30).

ყოველივე ამის გაანალიზების შედეგად, დაუყოვნებლივ უნდა გამოინახოს საერთო ენა სოფელთან (მიწასთან), უნდა შევიგნოთ, რომ მიწის გარეშე ჩვენი ცხოვრება შეუძლებელია. „პური ჩვენი არსებობისა“ – ეს პური ჩვენ თავადვე უნდა მოვიპოვოთ და აღარ უნდა ვიყოთ სხვაზე დამოკიდებული. როცა სოფელს ზურგს აქცევ, ამით, ფაქტობრივად, სწირავ მთელ ქვეყანას. დღეს, გლეხის დახმარება, ქვეყნის დახმარების ტოლფასია. საჭიროა, საქართველოში დამუშავდეს მიწის ყოველი კვადრატული მეტრი. განვითარდეს მეცხოველეობა, მეფრინველეობა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გაღებული თანხა დიდი სტიმული იქნება ქვეყნის მოსახლეობისათვის, ფერმერისა და გლეხისთვის. დაიბადება განცდა, რომ სახელმწიფო ზრუნავს ხალხზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2019 წელს სიღარიბის აბსოლიტურ ზღვარს ქვემოთ საქართველოს მოსახლეობის 19,5 % იმყოფებოდა, იმავე სამსახურის ცნობით, სოფლად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი შარშან 23,7 % იყო, ხოლო ქალაქში - 16,4 % (1, 31).

საქართველო არის სოფლის ცივილიზაციის ქვეყანა და უნდა შეიქმნას აგრარული ბლოკები, რომელსაც საკუთრებაში გადაეცემა მიწის სავარგულები, რომელთა ოდენობა 800 ათას ჰექტარს შეადგენს, დღეისთვის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსაყვანად მისი მხოლოდ 20%-ია ათვისებული. ჩვენი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი უკანასკნელ პერიოდში აღარ იყო მიწათმოქმედება, აგრომრეწველობა. ამ ვითარებაში სოფლის მეურნეობა განსაკუთრებულია ორი მიზეზის გამო: I. გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე მსოფლიო სერიოზული სასურსათო დეფიციტის წინაშე დგება; II. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, რესურსებიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, ტიპიური აგრარული ქვეყანაა, ამიტომ ჩვენთან ეკონომიკური სტაბილურობისთვის აუცილებელია, ადგილობრივ ბაზარზე პრივილეგია ჰქონდეს ადგილზევე წარმოებულ პროდუქტს. ჩვენს ქვეყანას გაფორმებული აქვს მსოფლიო ბანკთან, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზციებთან მთელი რიგი ხელშეკრულებები, რაც ითვალისწინებს გარკვეულ

ვალდებულებებს, რაც ერთგვარად აფერხებს მთელი რიგი რეგულაციების შემოღებას ადგილობრივი წარმოების ხელშესაწყობად, ვფიქრობთ, გარკვეულწილად, ეს საკითხიც მოსაგვარებელია (2, 47).

საქართველო წელიწადში 700 ათას ტონა ხორბლის მარცვალს მოიხმარს, რომლის მხოლოდ 10%-ს აწარმოებს უშუალოდ საკუთარ მიწაზე. 700 ათასი ტონიდან ხორბლის 90% რუსეთის ფედერაციაზე მოდის. საქართველო მიწათმოქმედთა ქვეყანაა, რომელსაც 200-ზე მეტი ენდემური ხორბლის ჯიში გააჩნია. ჩვენს ქვეყანაში 400-ზე მეტი ვაზის ჯიშია ცნობილი. საქართველო პურისა და ღვინის ქვეყანაა და მას უძველესი დროიდან „გეორგია“ (მიწათმოქმედთა ქვეყანა) ეწოდებოდა. ვფიქრობთ, მართებული იქნება, გავიხსენოთ, რომ XII საუკუნის საქართველოში ცხრა მილიონი ადამიანი იკვებებოდა ჩვენს მიწაზე მოყვანილი ხორბლით. საჭიროა, მკვეთრი, გაბედული მოქმედებებით, თუნდაც, მცირე, ტრადიციული ფერმერული მეურნეობების აღდგენით სოფლის მეურნეობის განვითარება. მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყანას მხოლოდ ქართული სოფელი გადაარჩენს, რისთვისაც საჭიროა მთავარი აქცენტები სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე გაკეთდეს. ეროვნული ეკონომიკის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სისტემური კრიზისიდან გამოყვანას მობილიზაციურ მოდელზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება, რაც გულისხმობს ეკონომიკაში ეფექტური საბაზრო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის გარე და შიდა რესურსების კონცენტრირებულად გამოყენებას (3, 29-30).

2020 წლის იანვარ-მაისში საქართველოში სასურსათო საქონლით საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 4,2 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,8 %-ით ნაკლებია. ექსპორტი 1,23 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს (16,2 %-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 2,97 მლრდ-ს (17,0 %-ით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 იანვარ-მაისში საბოლოო ჯამში 1,7 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41,2 %-ია. საქართველოს საგარეო ვალმა მაისში 767 842 000 ლარით მოიმატა ანუ თითქმის მილიარდი ლარი ვისესხეთ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ქვეყანა რუსეთი იყო. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ექსპორტმა 157,1 მლნ დოლარი, ხოლო იმპორტმა 336 882 მლნ შეადგინა. რუსეთიდან შემოტანილ პროდუქტებს შორის პირველი ადგილი ნავთობს, ხოლო მეორე - ხორბალს უკავია. დღევანდელი მონაცემებით, ექსპორტის მიხედვით, საქართველოს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა ჩინეთი, მეორეზე კი - რუსეთი. ჩინეთიდან შემოტანილ პროდუქციაში პრაქტიკულად საკვები არ არის, იქიდან მხოლოდ მზა პროდუქცია შემოდის. საქართველოდან კი ჩინეთში ფერადი ლითონები და ღვინო გადის. საკვები პროდუქტების მხრივ რუსეთზე ვართ დამოკიდებული და მათ შორის პირველ ადგილზე ხორბალია და პურის 90 % რუსული ხორბლისგანაა დამზადებული (5).

საზღვარგარეთიდან საქართველოში სულ მცირე 600 მილიონი დოლარის სასურსათო პროდუქცია შემოდის, მაშინ როდესაც ჩვენ ყველანაირი პირობა გაგვაჩნია საკმარისი საკვების მოსაყვანად. ჰოლანდიას, რომლის ფართობი 41 ათასი კვ. კმ-ია, 100 მილიარდი ევროს ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია გააქვს ექსპორტზე. ისრაელი, რომლის ტერიტორია მხოლოდ 20 ათასი კვ. კმ-ია და აქედან ნახევარი უდაბნოა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 95%-ს აწარმოებს. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს და არ უნდა შემოვიტანოთ უცხოეთიდან ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, სტაფილო, კომბოსტო, ხორცი, რძის პროდუქტები და კიდევ ბევრი რამ, რისი მოყვანა აქაც შეიძლება. მთავარია, არ იყო ერთი კომპანია

მონოპოლისტი. წარმატებისათვის აუცილებელია კონკრეტული გარემო. 2019 წელს 1,2 მილიონი ჰექტარი მიწიდან, მხოლოდ 207 ჰა დაიხნა. ეს ლიბერალური, თავისუფალი ბაზრის კონცეფციის შედეგია, რომელსაც 2004 წლიდან სახელმწიფო ჯიუტად მიჰყვება. 2000 წელს 100 ათასი ჰექტარი დაიხნა, 80-90-იან წლებში კი 1,2 მილიონი. მიიჩნევა, რომ წლის განმავლობაში ერთი ადამიანის გამოსაკვებად 0,6 ჰა ნათესია საჭირო. გამოდის, რომ დღეს მიწათმოქმედებით მხოლოდ 350 ათასი ადამიანის გამოკვება შეგვიძლია, მეხილეობით, მესაქონლეობით, რძის პროდუქტებით, მეფრინველეობით, მეთევზეობით, შინამეურნეობების აღურიცხავი პროდუქტით კიდევ 700 ათასი ადამიანის. ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით საკუთარი პროდუქტით ერთი მილიონი ადამიანი შეგვიძლია გამოვკვებოთ. დანარჩენი 2,7 მილიონი კი იმპორტულ საქონელზეა დამოკიდებული. სახელმწიფო იმპორტულ საქონელზე არეგულირებს ფასებს და 10 მილიონი ლარით ახდენს იმპორტული საქონლის სუბსიდირებას (4). ქართული ბაზრისთვის დარტყმა იყო თურქეთიდან და ჩინეთიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. მიგვაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს ის მავნე ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უმსხვილეს მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს მიზერული დაბეგვრით შემოიტანოს პროდუქცია. აუცილებელია, გარკვეული საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც იმპორტირებულ საქონელს არ მისცემს საშუალებას, ადგილობრივ ბაზარზე შეამციროს ფასები და ამით მოახდინოს ბაზრის მონოპოლიზაცია.

დასკვნა

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების 60-70%, რომელიც დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაშია, მოქალაქეთა საკუთრება უნდა გახდეს. სოფლის მეურნეობის სუფსიდირება გულისხმობს ერთჯერად დახმარებას. შესაძლოა, სუბსიდირებამ კონკრეტულ დროს შედეგი გამოიღოს, მაგრამ მათთვის, ვინც მიწას ამუშავებს, მთავრი კაპიტალის ღირებულების ზრდაა; სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ასევე, მეტად მნიშვნელოვანია ტექნიკა და ტექნოლოგიები.

საჭიროა:

- შემუშავდეს ეკონომიკის განსაკუთრებით საჭირო დარგების და სექტორების გადარჩენის გეგმა; დაიწყოს მუშაობა პოსტკრიზისული ეკონომიკის მოდერნიზებაზე; სახელმწიფომ ბიზნესს უნდა შესთავაზოს თვალსაზრისი – ეკონომიკის რომელი სფეროები იქნება უფრო პერსპექტიული, რა შემცირდება, რის მოთხოვნა მოიმატებს, სოფლის მეურნეობის რომელი მიმართულებები უნდა განვითარდეს.
- სახელმწიფომ უარი განაცხადოს თავისუფალ ბაზარზე; მიღებულ იქნას კანონი სასურსათო უსაფრთხოებისა და მიწის კოდექსის შესახებ.
- განვითარდეს ეკონომიკური უსაფრთხოების, ანუ საწარმოო სექტორი, რითაც გადაწყდება ორი მნიშვნელოვანი ამოცანა: შეიქმნას ქვეყანაში მეტ-ნაკლებად თვითკმარი სისტემა, გადაწყდეს დასაქმების პრობლემა.
- შემუშავდეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რაც უნდა განხორციელდეს კრიტიკული სამომხმარებლო კალათის გათავლისწინებით.
- განისაზღვროს ის აუცილებელი პირველადი მოხმარების პროდუქტი, რომელიც უნდა იწარმოებოდეს ქვეყანაში, რათა მოსალოდნელი კრიზისების დროს დაუძლეველი პრობლემები ადვილად მოსაგვარებელი გახდეს.
- განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სათანადო განვითარება; მთელი დატვირთვით ამუშავდეს პროექტი „აწარმოე საქართველოში“.

• ხელისუფლება გახდეს არა იმპორტიორის არამედ ადგილობრივი ფერმერის, მეწარმის, გლეხის მოკავშირე.

• მოხდეს ადგილობრივი და უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო პროდუქტის სათანადო მასობრივი კონტროლი, საზღვარზე განთავსდეს საკონტროლო ლაბორატორიები; აღდგეს ქვეყანაში გაუქმებული სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურების ქსელი.

• შემუშავდეს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სოციალ-ეკონომიკური პროგრამა, რათა საქართველო ჩამოყალიბდეს აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყანად, რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა უმთავრესი მიზანი - სოფლის აღორძინება, სასურსათო თვითუზრუნველყოფა, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და რაც მთავარია, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის და ჯანმრთელობის დაცვის ზრდა-გაუმჯობესება.

როგორი იქნება მსოფლიო ეკონომიკა და მეურნეობა პოსკორონავირუსულ ეპოქაში და რა გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დადგება საქართველო – სწორედ ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც უამრავ ასპექტს მოიცავს და რომელზე პასუხის გასაცემად მობილიზებული უნდა იყოს ქვეყნის საუკეთესო პროფესიული რესურსი და ინტელექტუალური პოტენციალი.

გამოყენებული სტატისტიკური მასალა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2014-2019 წწ.; HTTPS://WWW.GEOSTAT.GE/KA/SINGLE-CATEGORIES/95/SAKARTVELOS-STATISTIKURI-TSELITSDEULI
2. ბიზნესური ეკონომიკა, 2015-2018 წწ.;
3. კვარტალური ბიულეტენი, საქსტატი, 2015-2019 წწ.;
4. HTTPS://JAREX-STD.RU
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური HTTPS://WWW.GEOSTAT.GE/KA

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში ძირფესვიანი ცვლილებების გარდაუვალობა დააყენა. აღნიშნული პროცესი სამყაროს ძირეული გარდაქმნების საფუძველი გახდა. ავტორიტეტული სპეციალისტები და ექსპერტები გარდაქმნების რამდენიმე ტალღას პროგნოზირებენ და აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიოს მთელი რიგი ცვლილებები ელოდება. უმთავრესი, რაც მსოფლიოში გარდაუვალ ცვლილებებს მოასწავებს, თანამედროვე სამყაროში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებია, რომლებიც ველური კაპიტალიზმის პირობებში „თავისუფალ კონკურენციას“, ანუ თვითდინებაზე მიშვებულ ბაზარს აწესებს და წარმოების სტიმულირებაზე ორიენტირებული რეგულაციების მიღებას გამორიცხავს.

როგორი იქნება მსოფლიო ეკონომიკა და მეურნეობა პოსკორონავირუსულ ეპოქაში და რა გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დადგება საქართველო – სწორედ ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც უამრავ ასპექტს მოიცავს და რომელზე პასუხის გასაცემად მობილიზებული უნდა იყოს ქვეყნის საუკეთესო პროფესიული რესურსი და ინტელექტუალური პოტენციალი.

THE WORLD ECONOMIC CRISIS AND GEORGIA

RESUME

IRMA TABATADZE

Georgian Technical University
PhD student

The global economic crisis has made the inevitability of radical changes on the global policy. This process has become the basis for the fundamental transformations of the universe. Authoritative specialists and experts predict several waves of transformations and say that in the near future a number of changes are expected in the world. The main thing that will cause the inevitable changes in the world is the principles of economic policy in the modern world, which in the conditions of wild capitalism impose «free competition» or a self-caused market and exclude the adoption of regulations aimed at stimulating production.

What will be the world economy and the economy in the post-coronavirus era, and what problems and opportunities will Georgia face is the main issue that includes many aspects and the best professional resources and intellectual potential of the country should be mobilized.

სხვადასხვა განზომილებიანი მოდელების შესაძლო თემატური ინტერპრეტაციები არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირებაში

ვახტანგ არჩვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, განზომილება, მოდელები, მშენებლობა.

1. **შესავალი**

პროექტირება გარკვეულწილად მოდელთან ასოცირდება, ამდენად სხვადასხვა სფეროში პროექტირების (მათ შორის არქიტექტურულ-სამშენებლო) მეთოდოლოგიური საკითხების განხილვის დროს მოდელირების რამდენადმე მოწინავე თეორიული დებულებების გამოყენების მიზანშეწონილობა ეჭვის არ უნდა იწვევდეს. იმ შესაძლო (პროვოკაციულ) შენიშვნას: „თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარია“, შეიძლება ასვე მოარული გამოთქმა დავუპირისპიროთ, რომ არაფერი არ არის ისე პრაქტიკული, როგორც კარგი თეორია. შესავლის რამდენადმე დისკუსიური ტონი გამოხატავსავს ამ სტატიის ავტორების დაინტერესებულობის ხარისხს ურბანული განვითარების ობიექტების კვლევისა და პროექტირების საკითხებით ლოგიკური მეთოდოლოგიური ბუმისა და პარადოქსული ისტორიული ზიგზაგების ფონზე. პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებია:

- პროექტირება როგორც მოდელირების ერთერთი მნიშვნელოვანი სახეობა
- სივრცულ-დროებრივი მოდელირების პრიორიტეტების გამოვლენა
- მოდელის ძირითადი ფორმალური მახასიათებლები (მოდელების კლასიფიკაცია)
- განზომილება როგორც მოდელის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი და მისი ასოციაციები მათემატიკურ ობიექტებთან (სტრუქტურებთან) მიმართებაში
- განზომილების ცნების განზოგადოება და მისი გამოყენების პერსპექტივა
- „არაგეომეტრიული“ ობიექტების და პროცესების გეომეტრიული ინტერპრეტაცია
- მოდელირების სამი ძირითადი ასპექტი (შემეცნებითი, კრეატიული, კომუნიკაციური)
- სხვადასხვა განზომილებიანი მოდელირების თემატური ინტერპრეტაციები
- წილადი განზომილების პარადოქსი.

2. ძირითადი ნაწილი

პროექტირების, როგორც მოდელირების ერთერთი მნიშვნელოვანი სახეობის განხილვის დროს არასდროს ზედმეტი არ არის გადავამოწმოთ ძირითადი ცნების: „პროექტის“ განსაზღვრა. ზოგადად პროექტად იგულისმება ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების კომპლექსი, განკუთვნილი დასახული მიზნების მისაღწევად მოცემული დროის განმავლობაში, დადგენილი ბიუჯეტის ფარგლებში. ნიშანდობლივია ტერმინი-ცნების „პროექტი“ გაგების განზოგადება (გაფართოება) ბიზნესის რიტორიკაში (დისკურსში). ეს კატეგორია არქიტექტურის და მშენობლობის სფეროშიც მხოლოდ ტრადიციული ნაკრებით „ნახაზები + განმარტებითი ბარათი + საილიუსტრაციო მასალა“ არ ამოიწურება. კონცეპფცის დადგენა, ტიპოლოგია/ტიპიზაცია, მონაცემთა კვანტიფიკაცია, მონაცემთა პირველადი სტატისტიკური დამუშავება, ფორმალიზაცია, ოპტიმიზაციის რაოდენობრივი მოდელები; ოპტიმალური მართვა, მულტიმედიური თანხლება.

დღეისათვის ჩამოყალიბებულ შემეცნებითი თუ პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროში სივრცულ-დროებრივი კონტინიუუმის (სამი კოორდინატი + დრო) გაგება და აღიარება ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა. აქ გამონაკლისს შეიძლება შეადგენდენ მხოლოდ „სუფთა“, პროფესიონალი ფიზიკოსების პოზიცია, რომლებიც სამყაროს მოწყობის უახლეს თეორიებით (სამყაროს მრავალგანზომილობადობა, ფარდობითობა, სიმების თეორია და სხვ.) გვმოძღვრავენ. ზოგადად ძნელი გადასაწყვეტია რა უფრო არსებითია გნოსეოლოგიური თუ კომუნიკაციური ასპექტი (ურთიერთგაგება ოსტატ-შეგირდსა, დამკვეთ-შემსრულებელს შორის), თუ შეგვიძლია ჩავთვალოთ ეს საკითხი სტიქიურად რეგულირდება ადამიანთა სოციალურ-შემეცნებით-საწარმოო-შემოქმედებით ურთიერთობებში, რაც კიდევ ერთხელ გვაეჭვებს/გვარწმუნებს წესრიგსა და ქაოსს შორის საზღვრის ერთგვარ პირობითობაში („მოდური თემა განსჯისათვის“).

პროექტირების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების, კერძოდ, აზომვითი სამუშაოების სიზუსტის გაზრდის და საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით მათემატიკოს კასპარ მონჟის მიერ შემოღებული ე.წ. “მონჟის დიაგრამა“ მრავალი წლების მანძილზე ღირსეულად ემსახურა ტექნიკური კადრების მომზადების საქმეს მშენებლობაში. შესაბამისი დისციპლინის „მხაზველობითი გეომეტრიის“ ძირითადი მეთოდი გეომეტრიული ორგანზომილებიანი მოდელირებაა - 2D.

3D პარამეტრულ ინტეგრირებულ მოდელში, მისი გეომეტრიული თვალსაჩინოების გამო, დაინტერესებული მხარეები (არქიტექტორები, კონსტრუქტორები, დიზაინერები, საინჟინრო მოწყობილობებისა და ვერტიკალური დაგეგმარების, ასევე სხვა მომიჯნავე დარგების სპეციალობები, დამკვეთები და დეველოპერები), უპირველეს ყოვლისა, ხედავენ ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის საშუალებას, სივრცითი და სტრუქტურული პრობლემების, კონცეფციების შეჯერებისა და შემდგომი ეტაპების დამუშავების საფუძველს. მოდელის უპირატესობებია.

4D-BIM გამოიყენება შეიძლება არა მარტო მშენებლობის დაგეგმვასთან დაკავშირებული მოვლენების მოდელირებისთვის, არამედ ობიექტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე. 4D-BIM მოდელი პროექტის მონაწილეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ და განიხილონ თავიანთი საქმიანობის თანმიმდევრობა. უზრუნველყოფს თანამშრომლების კომუნიკაციის და რისკების შესახებ ინფორმაციის მიღებას. მოდელის უპირატესობაა: დაგმვის ოპტიმიზაცია და გუნდური კოორდინაციის შესაძლებლობა.

5D BIM (შენობის 5 განზომილებიანი ინფორმაციული მოდელირება) გამოიყენება ბიუჯეტის შემუშავების და ხარჯების ანალიზისთვის. პროექტირების მონაწილეებს საშუალებას აძლევს განიხილონ თავიანთი საქმიანობისა და შესაბამისი ხარჯების დინამიკა. 5D BIM ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია პროექტების შეფასების დაზუსტება, მასალების, აღჭურვილობის ხარჯისა და სამუშაო ძალის პროგნოზირება. უპირატესობაა: 5D სიმულაციური მოდელების მეშვეობით ეფექტური, ეკონომიკური და სტაბილური საპროექტო პროცესის დაგეგმვა და უზრუნველყოფა.

6D BIM მოდელირება განკუთვნილია ენერგიის მოხმარების ანალიზისთვის. ის იმიტაციური (სავარაუდოდ) მოდელების მეშვეობით უზრუნველყოფს ენერგიის მოხმარების კონტროლს (შემცირებას).

7D BIM მოდელირება შეესაბამება შენობის და მისი ფუნქციურ-სტრუქტურული კომპონენტების მდგომარეობას, კონტროლს (მართვას) ობიექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. პროექტის მონაწილეებს საშუალებას აძლევსს მიიღონ და აკონტროლონ სათანადო აქტივების მონაცემები, როგორიცაა კომპონენტის სტატუსი, სპეციფიკაციები, რემონტი, გარანტიები და სხვა. უპირატესობაა უპირატესად

იმიტაციური მოდელების მეშვეობით აქტივების მართვის ოპტიმიზაცია.

რაც უფრო მრავალგანზომილებიანია მოდელი, მით უფრო მეტი მონაცემის მანიპულირების აუცილებლობასთან გვაქვს საქმე.

ობიექტის ნებისმიერი გარდაქმნა (მოდიფიკაცია) ძალისმიერ (ენერგეტიკულ) ზემოქმედების შედეგთან შეიძლება იყოს ასოცირებული; ხოლო ზოგ პროგრამულ პაკეტში, გამოყენებული მოდიფიცირების ბრძანებებისა (კერძოდ, სივრცითი გარდაქმნების მოდიფიკატორები, „სივრცის გამრუდება“) უშუალოდ რაიმე ფიზიკური (ატმოსფერული) პროცესის იმიტაციას წარმოადგენს. რამდენადაც არქიტექტურის და მშენებლობის ძირითადი დანიშნულება გარემოს ენერგეტიკული (და არა მარტო) გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემაა, ხოლო გარემო, შეიძლება ითქვას, გეომეტრიული გარდაქმნების ენით გველაპარაკება, საუბარი შეიძლება „შედგეს“ ფორმალიზებული მოდელის ფარგლებში, რომლის განზომილება ბუნების (სამყაროს) თანაზომადია. თუ მრავალგანზომილებიანი სამყაროს არსებობისჰიპოთეზას გავიზიარებთ, რა შედეგებს უნდა ველოდოთ (განზომილების კონტექსტში) არც ისე ძნელი მისახვედრია [3].

3. დასკვნა

1. სიმპტომატურია, რომ სხვადასხვა განზომილებიან მოდელირების თემის ზოგად (არამათემატიკურ) განხილვას სამი შესანიშნავი გეომეტრ-მათემატიკოსის სახელის ხსენება მოჰყვა. შეიძლება მონჟის, კლაინის და მანდელბროტის მოღვაწეობაში შეინიშნება მემკვიდრეობითობა და შემოქმედებითი პარალელები მაგრამ ჩვენთის მთავარია, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების დანვითარების და სრულყოფის ფრონტი ამ პერსონების მიერ დასმული ისტორიული ნიშანსვეტებით დაკვალულ ღერძზე გადის.

2.. გზა კომპიუტერული გრაფიკიდან ავტომატიზირებული პროექტირებისკენ, შენობის იმფორმაციული მოდელირებასა და ოპტიმალური მართვამდე გადის პროგრამული პაკეტების ინტერფეის ადაპტაციასა და მრავალგანზომილებიანი მონაცემთა ბაზის სრულად გამოყენება, ბოლო ეტაპზე კი ცოდნათა ბაზისა და ხელოვნური ინტელექტის პრინციპების ათვისება (მაგალითად; Revit, AutoCADPlant3D, Civil 3D) სულ უფრო ფართე გამოყენების არეალს უქმნის ინფორმაციული ტექნოლოგიებს, სხვადასხვა საწარმოო-შემოქმედებით, სამეცნიერო-პოპულარულ, სარეკლამო სფეროებში. არსებითია ამ ფაქტორის შემეცნებითი და პროპედევტიკური მნიშვნელობის გათვალისწინება განათლების სფეროში.

ლიტერატურა

1. ვ. არჩვაძე, ზ. კიკნაძე, ე. ქრისტესიაშვილი „ფორმალიზებული მოდელები CAD/BIM ტექნოლოგიაში“// „მშენებლობა“, #3, თბილისი, 202, გვ. 27-32;

2. ვ. არჩვაძე, ე. ქრისტესიაშვილი, ზ. კიკნაძე „არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მენეჯმენტის თანამედროვე პარადიგმა (ანალიზი, სინთეზი და შეფასება ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე)“//„მშენებლობა“ # 4(47), 2017, გვ.14-18;

3. ზ. კიკნაძე, ლ. ქესანაშვილი„ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ლანდშაფტურ დიზაინში“ //არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედეროვე პრობლემები, N 11, სტუ. 2019. გვ.62-69.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირებაში შესაძლო სხვადასხვა განზომილებიანი მოდელების მოკლე თემატური ინტერპრეტაციები ურბანული განვითარების ობიექტების კვლევისა, პროექტირების მეთოდოლოგიური ბუმისა და ისტორიული ზიგზაგების ფონზე. პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებია: პროექტირება როგორც მოდელირების ერთერთი მნიშვნელოვანი სახეობა, სივრცულ-დროებრივი მოდელირების პრიორიტეტები, მოდელის ძირითადი ფორმალური მახასიათებლები, განზომილება როგორც მოდელის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი და მისი ასოციაციები მათემატიკურ ობიექტებთან (სტრუქტურებთან), განზომილების ცნების განზოგადოება, წილადი განზომილების პარადოქსი.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, განზომილება, მოდელები, მშენებლობა.

DIFFERENT DIMENSIONAL THEMATIC INTERPRETATIONS IN ARCHITECTURAL-CONSTRUCTION DESIGN

ABSTRACT

Vakhtang Archvadze

The article discusses architectural-construction design Brief thematic interpretations of possible different dimensional models in the context of urban development objects research, design methodological boom, and historical zigzags. Problem-related issues are: design - as one of the important types of modeling, spatial-temporal modeling priorities, basic formal characteristics of the model, dimension - as the most important characteristic of the model and its associations with mathematical objects (structures), generalization of the concept of dimension, paradox of fractional dimension.

PHILOSOPHY OF LINGUISTICS

Ekaterine Maruashvili

Doctor of Philology

Philosophy of linguistics is the philosophy of science as applied to linguistics. This differentiates it sharply from the philosophy of language, traditionally concerned with matters of meaning and reference. As with the philosophy of other special sciences, there are general topics relating to matters like methodology and explanation, and more specific philosophical issues that come up in the special science at issue. General topics of the first type in the philosophy of linguistics include: What the subject matter is, What the theoretical goals are, what form theories should take, and What counts as data. Specific topics include issues in language learnability, language change, the competence-performance distinction, and the expressive power of linguistic theories. There are also topics that fall on the borderline between philosophy of language and philosophy of linguistics: of "linguistic relativity", language vs. idiolect, speech acts (including the distinction between locutionary, illocutionary, and perlocutionary acts), the language of thought, implicature, and the semantics of mental states (see the entries on analysis, semantic compositionality, mental representation, pragmatics, and defaults in semantics and pragmatics). In these cases, it is often the kind of answer given and not the inherent nature of the topic itself that determines the classification. Topics that we consider to be more in the philosophy of language than the philosophy of linguistics include intentional contexts, direct reference, and empty names (see the entries on propositional attitude reports, intentional logic, rigid designators, reference, and descriptions). The strengths and limitations of different data gathering methods began to play an important role in linguistics in the early to mid-20th century. Voegelin and Harris (1951: 323) discuss several methods that had been used to distinguish Amerindian languages and dialects: Informal elicitation: asking an informant for a metalinguistic judgment on an expression. (E.g., "Is this sentence grammatical?" "Do these two sentences mean the same thing?"). Controlled experimentation: testing informants in some way that directly gauges their linguistic capacities. They note that the anthropological linguists Boas and Sapir (who we take to be proto-Emergentists) used the 'ask the informant' method of informal elicitation, addressing questions "to the informant's perception rather than to the data directly" (1951: 324). Bloomfield (the proto-Externalist), on the other hand, worked on Amerindian languages mostly by collecting corpora, with occasional use of monolingual elicitation. The preferred method of Essentialists today is informal elicitation, including elicitation from oneself. Although the techniques for gathering data about speakers and their language use have changed dramatically over the past 60 or more years, the general strategies have not: data is still gathered by elicitation of metalinguistic judgments, collection of corpus material, or direct psychological testing of speakers' reactions and behaviors. Different linguists will have different preferences among these techniques, but it is important to understand that data could be gathered in any of the three ways by advocates of any tendency. Essentialists, Emergentists, and Externalists differ as much on how data is interpreted and used as on their views of how it should be

gathered. A wide range of methodological issues about data collection have been raised in linguistics. Since gathering data by direct objective experimental testing of informants is a familiar practice throughout the social, psychological, medical, and biological sciences, we will say little about it here, focusing instead on these five issues about data: Disputes over the use of linguistic intuitions as linguistic data; Differences between grammaticality and acceptability judgments; Differences between scales for measuring acceptability judgments; Debates about the reliability of informal judgment elicitation methods; and Issues concerning the relevance and reliability of corpus evidence.

The debate in linguistics over the use of linguistic intuitions (elicited metalinguistic judgments) as data, and how that data should be collected has resulted in enduring, rancorous, often ideologically tinged disputes over the past 45 years. The disputes are remarkable, if only for their fairly consistent venomous tone. At their most extreme, many Emergentists and some Externalists cast the debate in terms of whether linguistic intuitions should ever count as evidence for linguistic theorizing. And many Essentialists cast it in terms of whether anything but linguistic intuitions are ever really needed to support linguistic theorizing. The debate focuses on the Essentialists' notion of a mental grammar, since linguistic intuitions are generally understood to be a consequence of tacit knowledge of language. Emergentists who deny that speakers have innate domain-specific grammars have raised a diverse range of objections to the use of reports of intuitions as linguistic data. Generative linguists typically respond to calls for evidence for the reality of their theoretical constructs by claiming that no evidence is needed over and above the theory's ability to account for patterns of grammaticality judgments elicited from native speakers. This response is unsatisfactory on two accounts. First, such judgments are inherently unreliable because of their unavoidable meta-cognitive overtones… Second, the outcome of a judgment (or the analysis of an elicited utterance) is invariably brought to bear on some distinction between variants of the current generative theory, never on its foundational assumptions. (Edelman and Christiansen 2003: 60) The data that are actually used toward this end in Generative Grammar analyses are almost always disembodied sentences that analysts have made up ad hoc, … rather than utterances produced by real people in real discourse situations… In diametric opposition to these methodological assumptions and choices, cognitive-functional linguists take as their object of study all aspects of natural language understanding and use… They (especially the more functionally oriented analysts) take as an important part of their data not disembodied sentences derived from introspection, but rather utterances or other longer sequences from naturally occurring discourse. The journals are full of papers containing highly questionable data, as readers can verify simply by perusing the examples in nearly any syntax article about a familiar language. (Wasow and Arnold 2005: 1484) It is a common Emergentist objection that linguistic intuitions (taken to be reports of elicited judgments of the acceptability of expressions not their grammaticality) are bad data points because not only are they not usage data, i.e., they are metalinguistic, but also because they are judgments about linguist's invented example sentences. On neither count would they be clear and direct evidence of language use and human communicative capacities—the subject matter of linguistics on the Emergentist view. A further objection is to their use by theorists to the exclusion of all other kinds of evidence. For example, [Formal linguistics] continues to insist that its method for gathering data is not only appropriate, but is superior to others. Occasionally a

syntactician will acknowledge that no one type of data is privileged, but the actual behavior of people in the field belies this concession. Take a look at any recent article on formal syntax and see whether anything other than the theorist's judgments constitute the data on which the arguments are based. Many Emergentists object to all four kinds of reports of intuitions on the grounds that they are not direct evidence language use. For example, a common objection is based on the view that the primary object of study is the language people actually produce and understand. Language in use is the best evidence we have for determining the nature and specific organization of linguistic systems. Thus, an ideal usage-based analysis is one that emerges from observation of such bodies of usage data, called corpora.… Because the linguistic system is so closely tied to usage, it follows that theories of language should be grounded in an observation of data from actual uses of language. (Barlow and Kemmer 2002, Introduction) Essentialists who accept the competence/performance distinction of Chomsky (1965) traditionally emphasize elicited acceptability judgment data (although they need not reject data that is gathered using other methods). But as Cowart notes: In this view, which exploits the distinction between competence and performance, the act of expressing a judgment of acceptability is a kind of linguistic performance. The grammar that a [generative Essentialist] linguistic theory posits in the head of a speaker does not exercise exhaustive control of judgments… While forming a sentence judgment, a speaker draws on a variety of cognitive resources… The resulting [acceptability] judgments could pattern quite differently than the grammaticality values we might like them to reflect. The grammaticality of an expression, on the standard generative Essentialist view, is the status conferred on it by the competence state of an ideal speaker. But competence can never be exercised or used without potentially interfering performance factors like memory being exercised as well. This means that judgments about grammaticality are never really directly available to the linguist through informant judgments: they have to be inferred from judgments of acceptability (along with any other relevant evidence). Nevertheless, Essentialists do take acceptability judgments to provide fairly good evidence concerning the character of linguistic competence. In fact, the use of informally gathered acceptability judgment data is a hallmark of post-1965 Essentialist practice. It would be a mistake, however, to suppose that only Essentialists make use of such judgments. Many contemporary Externalists and Emergentists who reject the competence/performance distinction still use informally gathered acceptability judgments in linguistic theorizing, though perhaps not in theory testing. Emergentists tend to interpret experimentally gathered judgment data as performance data reflecting the interactions between learned features of communication systems and general learning mechanisms as deployed in communication. A generative grammar gives a finite specification of a set of expressions. A psychodrama, to the extent that it corresponds to a generative grammar, might be thought to equip a speaker to know (at least in principle) absolutely whether a string is in the language. However, elicited metalinguistic judgments are uncontroversial a matter of degree. A question arises concerning the scale on which these degrees of acceptability should be measured. Linguists have implicitly worked with a scale of roughly half a dozen levels and types of acceptability, annotating them with prefixed symbols. The most familiar is the asterisk, originally used simply to mark strings of words as ungrammatical, i.e., as not belonging to the language at all. Part of the dispute over the reliability of informal methods of acceptability judgment elicitation and collection is

between different groups of Essentialists. Experimentally trained psycholinguists advocate using and adapting various experimental methods that have been developed in the cognitive and behavioral sciences to collect acceptability judgments. And while the debate is often cast in terms of which method is absolutely better, a more appropriate question might be when one method is to be preferred to the others. Those inclined toward less experimentally controlled methods point out that there are many clear and uncontroversial acceptability judgments that do not need to be shown to be reliable. Advocates of experimental methods point out that many purportedly clear, uncontroversial judgments have turned out to be unreliable, and led to false empirical generalizations about languages. Both seem to be right in different cases. The development of computational methods for collecting, analyzing, and searching corpora have seen rapid development as computer memory has become less expensive and search and analysis programs have become faster. The first computer searchable corpus of American English, the Brown Corpus, developed in the 1960s, contained just over one-million-word tokens. The British National Corpus (BNC) is a balanced corpus containing over 100 million words—a hundredfold size increase—of which 90% is written prose published from 1991 to 1994 and 10% is spoken English. Just as a central issue concerning acceptability judgment data concerns its reliability as evidence for empirical generalizations about languages or idiolects, a central question concerning the collection of corpus data concerns whether or not it is representative of the language variety it purports to represent. Some linguists make the criterion of representativeness definitional: they call a collection of samples of language use a corpus only if it has been carefully balanced between different genres (conversation, informal writing, journalism, literature, etc.), regional varieties, or whatever.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barlow and Kemmer 2002, ,,Introduction''.
2. Wasow and Arnold 2005, ,,1484''.
3. Edelman and Christiansen 2003, ,,Linguistic''.

რეზიუმე

ნაშრომი ეხება სტილისტურ ანალიზს, რომელიც იკვლევს სინტაქსის სხვადასხვა დონეს! ლინგვისტიკის ფილოსოფია არის მეცნიერების ფილოსოფია, რომელიც გამოიყენება ლინგვისტიკაში. ეს მკვეთრად განასხვავებს მას ენის ფილოსოფიისგან, რომელიც ტრადიციულად ეხება მნიშვნელობისა და მითითების საკითხებს. ჩვენს კვლევას შეიძლება სინტაქსური ვუწოდოთ, რადგან ჩვენი კვლევის ობიექტი არის სიტყვებსა და წინადადებათა წევრებს შორის დამოკიდებულება. ჩვენი კვლევა ეხება წინადადების წევრებს, რომლსაც სწავლობს სინტაქსი. რაც შეეხება სხვა სპეციალური მეცნიერების ფილოსოფიას, არსებობს ზოგადი თემები, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა მეთოდოლოგია და ახსნა და უფრო კონკრეტული ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც ჩნდება სპეციალურ მეცნიერებაში.

მეტაფორა: სტრუქტურები და მახასიათებლები

მეგი მანდარია
თბილისის თავისუფალი აკადემიის აფილირებული პროფესორი

მეტაფორა თუმცა შედარებას ეყრდნობა, იგი მაინც არა არის ჩვეულებრივი შედარება. შედარების დროს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება , მეტაფორაში კი სიტყვები არაპირდაპირი მნიშვნელობით იხმარება

განვიხილოთ ტექსტები, როგორც სიმბოლოები. უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალკომპონენტიანი რეფერენტის შინაარსი მეტაფორიზაციის დროს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადრესატის (რეციპიენტის) სტრუქტურაზე. ამიტომ მიუხედავად ეპისტომოლოგიური და ონთოლოგიური მსგავსებებისა, რომლებიც ტექსტების რეფერენტების დონეზე შეინიშნება, ჟანრის მოთხოვნები და უთიერთმიმართება ავტორსა და ადრესატს შორის დისკურსიული მეტამორფორიზაციის დროს განაპირობებენ არსებით ფუნქციონალურ განსხვავებებს. ჯერ ერთი, ეს ტექსტები წარმოადგენენ სხვადასხვა სამეტყველო აქტებს. სონეტი შეიძლება ჩაითვალოს ილოკუციურ, ხოლო მარტინ ლუთერ კინგის სიტყვა კი პერკოლოკციურ, აქტად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სონეტის ერთადერთ ადრესატის T – იდუმალი w.HH.-თვის სავსებით არ არის აუცილებელი სასწრაფოდ მემკვიდრის გაჩენა საკუთარი სილამაზის შესანარჩუნებლად, მაშინ, როდესაც აბომ ლიკოლნის მონუმენტთან შეკრებილთათვის აუცილებელია სასწრაფოდ საკუთარ შტატებში დაბრუნება და არა ძალისმიერი მეთოდებით სამართლიაობისა და თანასწორობისათვის ბრძოლის წარმართვა. მეორეც, ეს ტექსტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეტაფორიზაციის მექანიზმებით. სონეტში ეს მექანიზმი ემყარება კონცეპტუალური მეტაფორის ქვეცნობიერ გამოყენებას, გამოსვლაში, კი რომელიც ორატორული ხელოვნების ყველა კანონის დაცვით არის აგებული, უმეტეს შემთხვევაში — გაცნობიერებულ, შეგებულ გამოყენებასთან გვაქვს საქმე.

მეტაფორიზაციის მახასიათებლები განვიხილოთ შექსპირის ასმეთექვსმეტე სონეტის ანალიზით. ეს სონეტი ორი ურთიერთდაკავშირებული მიზეზების გამო იქნა არჩეული. პირველ რიგში, სონეტში მეტაფორულად არის გამოხატული ლაკოფის ნაშრომებში განხილული სიყვარულის კონცეპტი; ეს მეორეც, კონცეპტი ონთოლოგიურად არის დაკავშირებული აღორძინების მთელ ეპისთემასთან, რომელიც დამკვიდრდა დასავლეთის კულტურაში. თავდაპირველად მივმართოთ სონეტის შინაარსს.

პირველ კატრენში შექსპირი გვამცნობს, რომ იგი არ აპირევს, მოიგონოს რაღაცც წინააღმდეგობები ორი სულის (ინტელექტის, ტექსტში — მინდს) შესაერთებლად, იმიტომ, რომ სიყვარული აღარ არის, როცა იგი იცვლება და ავლენს ცვლილებებს, ან ემორჩილება იმას, ვისაც მისი განადგურება სურს. მეორე კატრენში სიყვარული შედარებულია შუქურასთან, რომელიც უყურებს ქარიშხალს, რომელთაც არ შეუძლიათ მისი მორყევა, აგრეთვე პოლარულ ვარსკვლავთან (ტექსტში თჰე სტარ), რომლის მეშვეობითაც ყველა გზააბნეულ გემს შეუძლია გამოარკვიოს, თუ სად იმყოფება. მესა7

მე კატრენში ნათქვამია, რომ სიყვარული არ წამოარდგენს დროის — სიკვდილის ტაკიმასხარას. მაშინაც კი, როცა მას სიკვდილის საშიშროება ემუქრება, რომ თუკი იგი მართალი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არასდროს დაუწერია და რომ არავის არავინ არასდროს ყვარებია.

აღორძინების პერიოდში სიყვარულის კონცეპტი, გვიანი რენესანსის ფილოსოფიისა და მეცნიერის ჯორდანო ბრუნოს თანახმად, წარმოადგენდა დიალექტიკურ მთლიანობას, რომელიც შედგებოდა მთელი რიგი წინააღმდეგობებისაგან (ბრუნო

1943), ამ მთლიანობის ძირითადი კომპონენტები იყო გრძნობითი სიყვარული და ქრისტიანული სიყვარული, რაც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დამკვიდრდა როგორც როს და გარა, სიყვარულის მესამე უძველესი კონცეპტიც არსებობდა — პჰილლეო, რომელიც გაიგებოდა როგორც სიყვარული მშობლებისადმი, მეგობრისადმი, მეცადინეობისადმი. ამ კონცეპტმა სრული ასახვა ჰპოვა შექსპირის სონეტებში, რომლებიც მიეძღვა მეგობარს — პატრონს. ამ სონეტში, მხოლოდ ირიბად არის მინიშნებული პირველ კომპონენტზე (Let me not to the marriage of true minds Aadmit impediments). იგი სრულ განვითარებას პოულობს სხვა სონეტებში, მაგალითად 130, 131 სონეტებში. არის სონეტები, რომლებიც სინთეზში არის წარმოდგენილი კონცეპტები Eros da phillelo. სამაგიეროდ მეორე კომპონენტი — Agapa სრულ განვითარებას ჰპოვებს 116 სონეტში, დაწყებული პერსონიფიცირებული წარმოდგენიდან პირველ კარტენში, შემდეგ მოცემულია მეტაფორული — მეორეში, და ალეგორიულად (ანუ მითოლოგიური) — მესამე კატრენში.

თუკი გავაანალიზეთ სონეტში სიყვარულის კონცეპტს ყველა სახესხვაობის სტრუქტურას, ადვილად აღმოვაჩენთ იმ ტექსტს, რომელშიც ჩაძირული, ჩაფლულია სონეტის ტექსტი. პერსონლიფიკაციაც, მეტაფორიზაციაც, პარალელიზმებიც, ალეგორიზაციაც, სემანტიკურად და სტრუქტურულად უკავშირდება პავლე მოციქულის კორინთელებისადმი პირველი ეპისტოლეს მეცამეტე თავს. (შდრ.:) Love suffereth long and is kind; Love envieth not; love vaunteth not itssels, is not provoked, taketh not accont of evil; rejoyceth not in unrighteousness, but rejoyceth with the truth, beareth all things, beliveth all things, hopeth all things, endureth all thingz. Love never failleth) (Holy Bible, s.a.: 1089).

აშკარაა, რომ პერსონიფიცირება და ალეგორია (მითოლოგიზაცია), რომლებიც შეინიშნება ურთიერთმოქმედ ტექსტებში, წარმოადგენენ კონცეპტს „საკუთარი თავი“ (metaself) ხორცშესხმას. სონეტში წარმოდგენილია ჯვარედინი კონცეპტის კომპონენტთა კიდევ ერთი რიგი: საბაზისო მეტაფორა (შედარება ოკეანესთან და ქარიშხლათან, ზღვით მოგზაურობასთან) და „მოქმედებითი“ მეტაფორა, რომელიც ემყარება სიყვარულის კონცეპტის შედარებას რენესნსული პიროვნების მოღვაწეობის ძირითად მომენტებთა ელისაბედის პერიოდის ინგლისის კულტურულ პირობებში (სასიყვარულო ურთიერთობები, ომები, ზღვით მოგზაურობა, სასახლის კარი, თეატრი და პოეზია. მთელი ეს ჯვარედიი კონცეპტი დისკურსიული მეტაფორიზაციის დროს, პერსონიფიცირების გარდა, გამოხატულია მეტონიმური გამოთქმების მეშვეობით. ასე მაგალითად, შექსპირის დამოკიდებულება მის მეგობარსა და საკუთარ შეყვარებულს შორის გადმოცემულია ცერემონიალური ფრაზით admit impediments, რომელიც დამკვიდრებულია ეკლესიაში ჯვრისწერის შესახებ სამგზის გამოცხადების რიტუალში. აქ შეინიშნება არა მარტო იმდროინდელი ინგლისის კულტურის კომპონენტის ალუზია, არამედ მთელი კომპონენტის (რიტუალის) მეტონიმიური გადმოცემა. ინგლისის მონაწილეობა ომებში მეტონიმიურადაა გადმოცემული სიტყვებით remover to remove.

ინგლისის, როგორც საზღვაო სახელმწიფოს, მონაწილეო ბა ახალი ზღვების ათვისებაში გადმოცემულია მეტაფორულ გამოთქმებში, რომლებიც მეტონომიურში გადადიან.

It is an ever _ fixed mark, that looks on tempests... / It is the star to every wandering bark. / Whose worth unknown though his height taken/. ამ უკანასკნელ სტრიქონში თვითონ შედარებული საგანი არც არის ნახსენები, არამედ დასახელებულია მხოლოდ მისი ნაწილები: worth, heigt. ტექსტის ზედაპირზე სასახლის ან თეატრის მარკერის — ტაკიმასხარას (fool) გამოყვანისას შეინიშნება კონცეპტის: „სიყვარული — დრო — სიკვდილი“ რეალიზება, რომელიც ეფუძნება რენესანსულ მსგავსებათა ერთ-ერთ ტიპს. სტრუქტურა ანალგოურია მეორე სტრუქტურისა: თავიდან კონცეპტი პოულობს მეტაფორულ-

ალეგორიულ გამოხატვას (მეორე კატრენში — მხოლოდ მეტაფორულს), მთელი შემდგომი შეპირისპირება ხორციელდება მეტონიმიისა და სინეკდოხის მეშვეობით: rosy lips and cheeks, his bending sickle's compass, brief hours and weeks.

სიყვარულის ჯვარედინი მრავალოპონენტიანი კონვეპტის ასეთი რთული სტრუქტურა, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ავტორისა და ადრესატის კატეგორიათა თანხვედრით (Let me not...) და, შესაბამისად რაიმე მანიპულაციების სრული არ არსებობით. ამან, თავის მხრივ, განაპირობა ქვეცნობიერი მეტაფორიზაცია, რაზეც გრამატიკული პარალელიზმებიც მიუთითებენ

ლიტერატურა

1. მაია ნათაძე, გიორგი ნათაძე — დასავლეთ ევროპის ლიტერ¬ატურა (მე-20 საუკუნე) — თბილისი, 1988
2. Теория метафоры. Сборник переводов. М. 1990
3. Скляревская Г. Н. метафора в системе языка. СПБ. 1993
4. Lakoff G., Espenson J., Goldberg A. Master Metaphor and Thought, 2 nd edition (Ed. by A. Ortony. Cambridge University press, 1994.
5. Lakoff G., Espenson J., Goldberg A. Master Metaphor list. Berkeley: University of California, 1989
6. გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1999
7. Lodge D. Small World London: Penguin Books, 1992
8. Jacobson R. Aphasia: The Metaphorie and Metonomic Poles//Fun¬damentals of Language. Oxford. Moulton and Co, 1956.P. 125-134
9. Sapir E. 1945 Selected Writings
10. Derrida, Iacqes, De la grammatologie
11. Lyons J. Semantics. Cambridge University Press. 1978
12. Oxford languege Dictionary. London 2008

Maggie Mandaria

RESUME

From the later epochs metaphors take a great part, not only everydays speech, but in written forms also. Naturally enough this feature of metaphores was reflected in literary works of many writers and poets. It is an constituent part of laguage.

Metaphors often come in a guise that hides one its subjects. "The battle lines are drawn" does not reveal its topic: The a preceding context does. Almost any subject can be seen from more than one angle, and the angle chosen influences the reading of the metaphor. We often see the two sub¬jects of a metaphor in reference to two domains. In interpreting "man is a wolf" we see men in terms of their relations to other men, and wolves in terms of their relations to other animals.

ტურისტული პროდუქტის განსხვავებული თვისებები სხვა პროდუქტთან მიმართებაში

ბესიკ ბარკალაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო აქიმიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები
ტურიზმი. დარგი. პროდუქტი. ეკონომიკური. შინაარსი. არსი. სასიცოცხლო. ციკლი. კაპიტალი. წრებრუნვა. თავისებურებები. ტურისტული. სპეციფიკური. დარგები. ფიზიკური. ობიექტები. მომსახურება. ადგილი. ორგანიზება. იდეები. მიწოდება. მოხმარება. დრო. სივრცე. შესაძლებლობა. დაშალა. ნაწილ-ნაწილ. გაიყიდვა. უნარი. დახასიათება. სეზონურობა. გეოგრაფიული. თავისებურებები. კავშირი. ცნებები. გადაზიდვა. დაგროვება. მალფუჭება. რეალიზება. თვისება. ესთეტიკური. გასართობი. შემეცნებითი. რეკრეაციულ-სამკურნალო. კომბინაციური კომპონენტები. მოდიფიცირებული. მომხმარებელი. მოთხოვნა. თანახმად; ბაზარი. მწარმოებელი. შემადგენლობა. კონკურენცია.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმის დარგის პროდუქტი გულისხმობს მომსახურების რიგ, ძირითად სახეებს: სასტუმრო, კვებითი, სატრანსპორტო და მიზნობრივ მომსახურებას. ალბათ, ძნელად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც გაემგზავრებიან სხვა ქვეყნებში, დახარჯავენ ფულს მხოლოდ გაწეული მომსახურების გამო, თუ კი მათი მგზავრობა არ არის დაკავშირებული მიზნობრივ ობიექტებთან (ბუნებრივ-კულტურული ან სხვა ობიექტები). ამგვარად, ტურისტული პროდუქტის განმარტება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: იგი არის ტურისტული მომსახურებისა (მომსახურების სხვადასხვა სახეები) და მიზნობრივი ობიექტების (ბუნებრივ-კულტურული ან სხვა ობიექტები) ერთობლიობა. მაგალითად, ფ. კოტლერი, ჯ. ბოუენი და ჯ. მეიკენზი [1] ტურისტულ პროდუქტს შემდეგნაირად განმარტავენ: იგი არის ერთობლიობა ყველაფრის რაც შეიძლება შესთავაზოს ბაზარზე მწარმოებელმა მომხმარებელს. მათი განმარტებით კაზინოებში სათამაშო ავტომატებიც და მაგიდებიც კი წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის ნაწილს. ტურისტული პროდუქტი შეიძლება დაიყოს ძირითად და დამატებით შემადგენელ ნაწილებად. ძირითადია: სატრანსპორტო, სასტუმრო, კვებითი, მიზნობრივი მომსახურება და მიზნობრივი ობიექტები. დამატებითს მიეკუთვნება: სადაზღვევო, საკომუნიკაციო, სავაჭრო მომსახურება და სხვ. ტურისტული დანიშნულების პროდუქტი აგრეთვე მოიცავს ზოგიერთ საქონელსაც, რომელთა ძირითადი მომხმარებელია ტურისტები. მაგალითად, სპეციალური ტურისტული აღჭურვილობა და სხვ.

ტურისტული პროდუქტი თავისი არსით ძირითადად ეკონომიკური შინაარსის მატარებელია, მაგრამ გააჩნია რიგი თავისებურებანი. ეს მჟღავნდება ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლში, კაპიტალის წრებრუნვასა და ბრუნვის თავისებურებებში ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებით და სხვ.

ტურისტული პროდუქტის სპეციფიკური განსხვავება სხვა დარგების პროდუქტისაგან შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

• იგი მოიცავს ფიზიკურ ობიექტებს, მომსახურებას, ადგილს, ორგანიზაციას და იდეებს;

• მისი მიწოდება და მოხმარება დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა;

• იგი შეიძლება დაიშალოს და ნაწილ-ნაწილ გაიყიდოს. მაგალითად, მწარმოებლის მიერ შექმნილი სრული პროდუქტი, რომელსაც ტურისტულ პაკეტსაც უწოდებენ შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან: სატრანსპორტო მომსახურებისაგან, კვებითი მომსახურებისაგან, ღამისთევითი მომსახურებისაგან, მიზნობრივი ობიექტებისაგან, პაკეტის ფასისაგან. ხშირად ინდივიდუალური ტურისტები სარგებლობენ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების ნაწილით, ე.ი. არა პაკეტით. ამ შემთხვევაში მწარმოებელი შლის სრულ პროდუქტს და ნაწილობრივ ყიდის მას;

• ხასიათდება სეზონურობით, გეოგრაფიული თავისებურებებით და ა.შ.;

• იგი არ არის დაკავშირებული ისეთ ცნებებთან როგორიცაა: გადაზიდვა, დაგროვება, მალფუჭება და ა.შ.;

• შეიძლება წინასწარ გაიყიდოს მხოლოდ დასახელებით;

• მას შეიძლება გააჩნდეს ესთეტიკური, გასართობი, შემეცნებითი, რეკრეაციულ-სამკურნალო ან მათი კომბინაციური შემადგენელი კომპონენტები;

• იგი შეიძლება აისახოს ტურისტულ-სარეკლამო მასალებში, განთავსდეს ელექტრონულ საშუალებებში (ინტერნეტი) წინასწარი გაყიდვის დროს და გაიყიდოს დიდ მანძილზე;

• ტურისტული პროდუქტის შემადგენელი ნაწილი შეიძლება ადრე იყოს შექმნილი, ვიდრე თვით პროდუქტი იქმნება მთლიანობაში;

• ბუნებრივ-კულტურულმა ობიექტებმა შესაძლოა ერთდროულად მოახდინოს სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შექმნილი ტურისტული პროდუქტის ნაწილის რეალიზაცია;

• ტურისტული პროდუქტი განსხვავებით სხვა დარგის პროდუქტისაგან შესაძლებელია უფრო ადვილად იქნას მოდიფიცირებული მომხმარებლის მოთხოვნის თანახმად;

• ბაზარზე გატანილმა სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შექმნილმა, სხვადასხვა შემადგენლობის ტურისტულმა პროდუქტმა შესაძლოა მწარმოებლებს შორის კონკურენცია წარმოშვას. მაგალითად, ბაზარზე ერთდროულად შესაძლოა გატანილ იქნას სხვადასხვა შემადგენლობის (სამთო, საზღვაო) ტურისტული პროდუქტი, რომლებზედაც მოთხოვნა მაღალელასტიურია. სანამ მომხმარებელი აირჩევს რომელიმე მათგანს, მწარმოებლებს შორის კონკურენცია იარსებებს ანუ თითოეული პროდუქტი აწყდება კონკურენციას;

• ტურისტულმა პროდუქტმა, მწარმოებლიდან მომხმარებლამდე შესაძლოა გაიაროს ერთი (ა.ტ.ს. – ადგილობრივი ტურისტული სააგენტო) ან მეორე (უ.ტ.ს. – უცხოეთის ტურისტული სააგენტო) ან ორივე შუამავალი ერთად, ანუ გაცვლა იყოს ერთი ან ორ საფეხურიანი. ასევე, გაცვლა იყოს უშუალოდ მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის, რაც გარკვეულწილად ამცირებს პროდუქტის ღირებულებას;

• ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თავისებურება სხვა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლისაგან მჟღავნდება შემდეგშიც: თუ კი, ბაზარზე მონოპოლისტია ერთი ტურისტული საწარმო, ოლიგოპოლიის შემთხვევაში მისი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი შესაძლოა დამთავრდეს ბაზარზე შედარებით დაბალი ფასით გატანილი მეორე ტურისტული საწარმოს პროდუქტის მიერ. ვინაიდან ტურისტული პროდუქტი ნაკლებადაა დაკავშირებული ახალ ტექნოლოგიებთან

(რაც გარკვეულ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს), პირველი ტურისტული საწარმოს პროდუქტი შესაძლოა ისევ დაბრუნდეს ბაზარზე უფრო დაბალი ფასით, ვიდრე მეორე ტურისტული საწარმოს პროდუქტი გავიდა;

• ტურისტული პროდუქტისაგან განსხვავებით, ეკონომიკის სხვა დარგების პროდუქტს თითქმის ყველას გააჩნია ტრანსაქციური ხარჯები. ვინაიდან ტურისტული პროდუქტის წარმოება და რეალიზაცია დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, ტრანსაქციური ხარჯები იქნება მინიმალური. გამომდინარე აქედან, ტურისტული პროდუქტის კაპიტალუკუგების ვადა იქნება მცირე და რეალურად ამცირებს ტურისტული პროდუქტის ალტერნატიულ ღირებულებას.

ამგვად, ტურისტული პროდუქტი განსხვავდება სხვა დარგების პროდუქტისაგან, ხასიათდება რიგი სპეციფიკურობით, ფიზიკურად და მორალურად არ ძველდება, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიძლება მრავალგზის იქნას გამოყენებული, ბაზრიდან გავარდნის შემთხვევაში ფასების მანიპულირების საშუალებით შეუძლია რამდენჯერმე კვლავ დაბრუნდეს ბაზარზე და განაგრძოს თავისი სასიცოცხლო ციკლი. გარდა ამისა, მას სხვა სახის პროდუქტისაგან განსხვავებით ბაზარზე დასაბრუნებლად არ ესაჭიროება კაპიტალდაბანდებები ტექნოლოგიური ხაზების გადასაიარაღებლად, რაც გარკვეულწილად ამცირებს მის თვითღირებულებას. გამომდინარე აქედან, ტურისტული პროდუქტის წარმოების გაფართოებას ძალუძს მაღალი ეფექტიანობით ჩაანაცვლოს ქვეყნის მომსახურების იმპორტი – ექსპორტით, რაც გაზრდის მულტიპლიკაციის ეფექტს მთლიანად ეკონომიკისათვის.

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილია ტურიზმის დარგის პროდუქტის ძირითადი შემადგენელი ნაწილების მოცემულობა და სადაც, მისი ძირითადადი ეკონომიკური შინაარსის მატარებელი არსი დაკავშირებულია ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლთან, პროდუქტის დაკავშირებული კაპიტალის წრებრუნვის თავისებურებებთან და ა.შ. ამგვარად, ტურისტული პროდუქტის სპეციფიკური განსხვავება სხვა დარგების პროდუქტისაგან გამოიხატა შემდეგში, კერძოდ:

• მისი შემადგენლობა - ფიზიკური ობიექტებისაგან, მომსახურებისაგან, ადგილისაგან, ორგანიზებისა და იდეებისაგან;

• პროდუქტის მიწოდება და მოხმარება დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა;

• მისი დაშლის და ნაწილ-ნაწილ გაიყიდვის;

• მისი უნარი დახასიათდეს სეზონურობით, გეოგრაფიული თავისებურებებით და ა.შ.;

• მისი კავშირი ისეთ ცნებებთან როგორიცაა: გადაზიდვა, დაგროვება, მალფუჭება და ა.შ.;

• მისი წინასწარი რეალიზება მხოლოდ დასახელებით;

• მისი თვისება ჰქონდეს ესთეტიკური, გასართობი, შემეცნებითი, რეკრეაციულ-სამკურნალო ან მათი კომბინაციური შემადგენელი კომპონენტები;

• თვისება - ტურისტული პროდუქტის შემადგენელი ნაწილი შეძლებისდაგვარად ადრე იყოს შექმნილი, ვიდრე თვით პროდუქტი იქმნება მთლიანობაში;

• თვისება - ტურისტული პროდუქტი განსხვავებით სხვა დარგის პროდუქტისაგან უფრო ადვილად იქნას მოდიფიცირებული მომხმარებლის მოთხოვნის თანახმად;

• თვისება - ბაზარზე გატანილმა სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შექმნილმა, სხვადასხვა შემადგენლობის ტურისტულმა პროდუქტმა შესაძლოა მწარმოებლებს

შორის კონკურენცია წარმოშვას და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Philip Kotler (Author), John Bowen (Author), James Makens (Author), Seyhmus Baloglu (Author). Marketing for Hospitality and Tourism. 7th Edition (April 1, 2016). 688 pages.
2. Handbook On Tourism Product Development. World Tourism Organization (December 31, 2011). 154 pages.
3. Rodoula H.Tsiotsou (Author, Editor), Ronald E.Goldsmith (Editor). Strategic Marketing in Tourism Services. Emerald Publishing 2012. 434 pages.
4. Jeffrey D. Sachs (Author), Ban Ki-moon (Foreword). The Age of Sustainable Development. Columbia University Press; Illustrated edition (March 3, 2015). 544 pages.
5. C. Michael Hall (Author), Allan M. Williams (Author). Tourism and Innovation (Contemporary Geographies of Leisure, Tourism and Mobility). Routledge; 2nd edition (December 2, 2019). 496 pages.

რეზიუმე

სტატიაში აღწერილია ტურიზმის დარგის პროდუქტის ძირითადი შემადგენელი ნაწილების მოცემულობა. მისი ძირითადად ეკონომიკური შინაარსის მატარებელი არსი დაკავშირებული სასიცოცხლო ციკლთან, კაპიტალის წრებრუნვის თავისებურებებთან და ა.შ. ტურისტული პროდუქტის სპეციფიკური განსხვავება სხვა დარგების პროდუქტისაგან რაც შემდგომში გამოიხატება, კერძოდ: მისი შემადგენლობა - ფიზიკური ობიექტებისაგან, მომსახურებისაგან, ადგილისაგან, ორგანიზებისა და იდეებისაგან; როდესაც მისი მიწოდება და მოხმარება დროში და სივრცეში ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა; მისი შესაძლებლობა დაშლის და ნაწილ-ნაწილ გაიყიდვის; მისი უნარი დახასიათდეს სეზონურობით, გეოგრაფიული თავისებურებებით და ა.შ.; მისი კავშირი ისეთ ცნებებთან როგორიცაა: გადაზიდვა, დაგროვება, მალფუჭება და ა.შ.; მისი წინასწარი რეალიზება მხოლოდ დასახელებით;

მისი თვისება ჰქონდეს ესთეტიკური, გასართობი, შემეცნებითი, რეკრეაციულ-სამკურნალო ან მათი კომბინაციური შემადგენელი კომპონენტები; აქვს თვისება ტურისტული პროდუქტის შემადგენელი ნაწილი შეძლებისდაგვარად ადრე იყოს შექმნილი, ვიდრე თვით პროდუქტი იქმნება მთლიანობაში; აქვს თვისება ტურისტული პროდუქტი განსხვავებით სხვა დარგის პროდუქტისაგან უფრო ადვილად იქნას მოდიფიცირებული მომხმარებლის მოთხოვნის თანახმად; ასევე, აქვს თვისება ბაზარზე გატანილმა სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შექმნილმა, სხვადასხვა შემადგენლობის ტურისტულმა პროდუქტმა შესაძლოა მწარმოებლებს შორის კონკურენცია წარმოშვას და სხვ.

DISTINCT FEATURES OF THE TOURISM PRODUCT IN RELATION TO ANOTHER PRODUCT

Abstract

Besik Barkalaia
Georgian Technical University
Faculty of Business-Technology
Professor

Nino Akimishvili
Georgian Technical University
Faculty of Business-Technology
P.H. Candidate

The article describes the major components of a tourism product, its main economic content, and its life cycle. According to the authors, the difference between a tourism product and a product created by other industries is manifested in seasonality, the possibility of disintegration and partial sale, geographical features, etc. According to the authors, the pre-sale of a tourism product maybe by name only and it may have aesthetic, entertaining, cognitive, recreational-therapeutic properties or components that combine with them. The authors form the idea that, unlike other products in the field, the tourism product is more easily changed according to the customer's request. In addition, the authors substantiate the following feature of the tourism product: it is quite possible that a tourism product of different compositions created by different manufacturers will create competition in the market between the manufacturers.

Keywords: tourism product, seasonality, recreational-therapeutic feature, competition.

უმაღლესი განათლებით მოსახლეობის მომცველობა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში

ირინე წიკლაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება; უმაღლესი განათლებით მომცველობა; ახალგაზრდების უმუშევრობა; უმაღლესი განათლების ხარისხი.

შესავალი

წინამდებარე სტატიის დანიშნულებაა - ვაჩვენოთ დაინტერესებულ ადამიანებს თუ როგორია უმაღლესი განათლებით მოსახლეობის მოცვა საქართველოში და საზღვარგარეთ. ამის საჭიროება იმაში დავინახეთ, რომ ახალგაზრდების სწრაფვა უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოში, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე მაღალია, მისით მიღებული სარგებელი კი - მინიმალური. საქართველოში უმუშევარი აქტიური მოსახლეობის 32,3%-ს სწორედ უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდობა შეადგენს [1, გვ. 26].

ძირითადი ტექსტი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ქსელი საგრძნობლად გაიზარდა. დღეის მდგომარეობით ქვეყანაში ფუნქციონირებს 62 უნივერსიტეტი. გაიზარდა სტუდენტთა რიცხვიც. 2019-2020 სასწავლო წელს ამ უნივერსიტეტებში ყველა კურსის ჩათვლით სწავლობდა 148800 სტუდენტი [2. გვ. 66]. ყველაზე მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი, მშენებლობა, ინჟინერია და ჯანდაცვა.

ჩვენ ვიანგარიშეთ 2001-2019 წლებში უმაღლესი სწავლებით იმ მოსახლეობის მომცველობის დონე, რომლებიც სტუდენტობის ასაკში (15-25 წლის) იმყოფებოდნენ და მივიღეთ შემდეგი (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოში უმაღლესი განათლებით იმ მოსახლეობის მომცველობის დინამიკა, რომლებიც სტუდენტობის ასაკში არიან

		2001	2010	2015	2019
1	მოსწავლე-სტუდენტები	147400	102700	132900	148800
2	კურსდამთავრებული სტუდენტები	15655	12254	22342	10926
3	სულ სტუდენტთა რიცხვი	163055	114954	155242	159726
4	სტუდენტობის ასაკში (19-დან 25 წლის ჩათვლით) მყოფი ახალგაზრდების რიცხვი	1538259	966000	923880	688474
5	უმაღლესი სწავლებით ახალგაზრდების მომცველობა (%)	**10,6**	**11,3**	**16,8**	**23,2**

2001 წელს მათ ეკავათ - 10,6%, 2010 წელს - 11,9%, 2015 წელს - 16,8%, 2019 წელს

- 23,2%. ეს დაახლოებით ინგლისის დონეა (იხ. ცხრილი 2). რადგან უმაღლესი სწავლებით ახალგაზრდების მომცველობის დონის დინამიკა გაზრდილია, ეს ნიშნავს იმას, რომ მასზე მოთხოვნილების ტრენდიც აღმავალია. მაგრამ, ერთია, რომ უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნილებაც იზრდება და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობაც, და, მეორეა, როგორ გამოიყენეს მათ ეს განათლება. უმაღლესდამთავრებულთა 32% რომ საქართველოში დაუსაქმებელია, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ მათი ცოდნა (კომპეტენციები) არე შეესაბამება შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს. ეს პრობლემა დგას დღეს საქართველოში და წინამდებარე ჩვენი კვლევაც ამ პრობლემის გადასაჭრელი ღონისძიებების მიგნებას ემსახურება.

ცხრილი 2

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უმაღლესი განათლების მაჩვენებლები [3]

	მაჩვენებლები	აშშ	იაპონია	ინგლისი	გერმანია	საფრანგეთი
1	უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულების ხვ. წონა ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობაში (%)	28	22	22,9	15	15
2	სტუდენტთა წილი ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობაში (%)	4,4	2	2,8	2,3	2,6
3	უცხოელ სტუდენტთა ხვ. წილი	4,5	3,9	13,9	8,4	10
4	განათლების ინდექსი	97	95	97	95	98

მაშასადამე, უმარლესი განათლებით ახალგაზრდების მოცვის მაღალი დონე გვაქვს, მაგრამ, მათი 32% უმუშევარია. გამოდის, რომ საქართველოს უმაღლესი განათლება ან სათანადო დონის ცოდნას ვერ აძლევს ახალგაზრდებს, ანდა იმ პროფილით არ აძლევს, რომელ პროფილზეც (პროფილებზეც) მოთხოვნაა. არადა, ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ცოდნის ეკონომიკის საუკუნეში. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ცოდნას განიხილავს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორს. ამერიკელმა ეკონომისტმა ე. დენისონმა გამოიკვლია რა აშშ-ს ეკონომიკა 1929-1982 წლებში, პირველ ადგილზე სამუშაო ძალის ხარისხი დააყენა. მან დაასკვნა, რომ „ერთ მუშაკზე გამოშვების ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი არის მისი განათლება“ [4]. ექსპერტების შეფასებით ინტელექტუალური საქონლის და მომსახურების ბაზარი ტრადიციულ საქონლის ბაზრებთან შედარებით ხუთჯერ და მეტად არის გაზრდილი. ეს ის ბაზარია, სადაც საქონელსა და მომსახურებაში განივთებული ცოდნა იყიდება. აი, ეს ცოდნა უნდა იყოს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე, ასეთი ცოდნა უნდა მისცეს უმაღლესმა განათლებამ კურსდამთავრებულებს.

განათლების მაღალი დონე ვერ მიიღწევა მისი ხარისხის სტანდარტის ამაღლების გარეშე, და, იმის მიუხედავად, რომ საქართველო განათლების და კულტურის უძველესი ისტორიული ცენტრია, მისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნივერსიტეტების მსოფლიო რეიტინგში სწორედ ამ კრიტერიუმებით მეტად უკანა პოზიციებს იკავებენ.

საქართველოს განათლების რეფორმირების წლებში უმაღლესმა განათლებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სწავლების ამ საფეხურზე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა (EHEA) და კვლევით სივრცეში (ERA) მისი ინტეგრირების მიზნით და აგრეთვე, უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებისთვის მრავალი ნაბიჯი გადაიდგა — შემუშავდა და ამოქმედდა

უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), ამოქმედდა სწავლების ხარისხის სისტემაში, კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა, შეიქმნა განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და სხვა. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა ბოლო 10 წლის განმავლობაში: დაიხვეწა და გადამუშავდა საქართველოს განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. შეიცვალა ავტორიზაციის სტანდარტები და აკრედიტაციის პროცედურები, ამოქმედდა ბაკალავრიატის პროგრამული დაფინანსების მექანიზმი, შეიქმნა განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პლატფორმა — „ისწავლე საქართველოში", საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედდა 170-მდე უცხოენოვანი პროგრამა და მრავალი სხვა.

ყოველივე ამის მიუხედავად, თვით საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო აღიარებს, რომ მიღწეული საკმარისი არ არის. „მიუხედავად იმისა, — ვკითხულობთ საქართველოს „განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წ.წ. ერთიან სტრატეგია"-ში, რომ აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად, მაგრამ ისინი არ არის საკმარისი სისტემურ დონეზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოსახდენად" [5. გვ. 33].

დასკვნა.

უმაღლესი განათლებით საქართველოს ახალგაზრდობის მოცვის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე საზღვარგარეთის ქვეყნებში. ასეთ დროს დიდია დისბალანსი უმაღლეს განათლებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის. ვინაიდან ახალგაზრდობა ყველა ქვეყანაში განიხილება როგორც აქტიური სტრატეგიული ადამიანური რესურსი მათი სრული დასაქმება სახელმწიფოს მთავრობის მხრიდან განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცარციძე მ. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდობის დასაქმების თავისებურებები საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი". #2. 2019.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2020.
3. მაჭარაშვილი ს. კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო ბიზნესის სახელმწიფო რეგუ-ლირება საქართველოში. თბ., 2017.
4. HTTP://WWW.BJM.GE/BPNKS/1437-MERAB-JAGELI.HTML#UWWS2851OM8
5. განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წ.წ. თბ., 2016.

რეზიუმე

სტატიაში - „უმაღლესი განათლებით მოსახლეობის მომცველობა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში" - ამ მაჩვენებლით საქართველო შედარებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან, ინგლისთან, გერმანიასთან და საფრანგეთთან. დადენილია საქართველოს ამ მაჩვენებლის დიდი სიჭარბე მათთან შედარებით.

სტატიაში ნაჩვენებია უმაღლესდამთავრებულთა დაუსაქმებლობის მაღალი დონე (32,3%), რის მიზეზებადაც დასახელებულია კურსდამთავრებულთა განათლების

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობა.

სტატიას ახლავს დასკვნა, რომელშიც ხაზგასმულია ახალგაზრდობის დასასაქმებლად ქვეყნის მთავრობის აქტიური ხელშეწყობის აუცილებლობა.

"THE AMOUNT OF THE POPULATION WITH HIGHER EDUCATION IN GEORGIA AND IN FOREIGN COUNTRIES"

S U M M A R Y

IRINE TSIKLAURI,
doctoral of Georgian Technical University

In the article - "The amount of the population with higher education in Georgia and in foreign countries" - with this indicator Georgia is compared with the United States, Japan, England, Germany and France. Georgia has a large excess of this indicator compared to them.

The article shows the high unemployment rate of graduates (32.3%), the reason for that is the non-compliance with the requirements of the labor market.

The article finishes with the conclusion in which it is highlighted the need of active government support for youth employment.

Key words: high education; amount of Higher education ; Youth unemployment; Quality of higher education.

THE CONCENTRATION OF SEISMIC STRESS UNREINFORCED AROUND THE TUNNELS

Alexander Buachidze

Suppose the direction of propagation of a longitudinal wave is ngle with the axis of action of the main maximum stress of the static field, from which we derive the polar coordinate of any point on the array (Fig. 1).



Fig. 1. Basic schemes of quasi-statistical problems General For cases where static and dynamic the main planes of the stress with each other α aτ aν angle Are inverted.

The boundary condition of the first task (Fig. 1, a), which expresses the contraction (stretching) of the array around the tunnel, is written as follows:

$$\sigma_{x'}^{(\infty)} = P_b; \quad \sigma_{y'}^{(\infty)} = \lambda P_b, \tag{1}$$

Where:

$$P_b = \pm\frac{1}{2\pi} k_b \gamma c_1 T_0; \quad \lambda = \frac{\mu_0}{1-\mu_0}. \tag{2}$$

The boundary condition of the second task (Fig. 1, b) expresses the net displacement of the array by the arm acting on the infinite boundaries with stress

$$\tau_{x'y'}^{(\infty)} = Q_b = \pm\frac{1}{2\pi} k_b \gamma c_2 T_0. \tag{3}$$

First quasi-static task solutions or longitudinal long-wave tunnel for the passage of the pressing tension (1) the stress generated seismic radial, circular and tangent stress images, which are boundary conditions for the remarkable similarity, in fact, equal R -radius circular tunnel around the static stress concentration describing the claims for dealing static and dynamic stresses in any direction between the α-angle considering the possibility will be recorded as follows:

$$\sigma_r(P)=\frac{P_b}{2}\left[(1+\lambda)\left(1-\frac{R^2}{r^2}\right)+(1-\lambda)\left(1-\frac{4R^2}{r^2}+\frac{3R^4}{r^4}\right)\cos 2(\theta-\alpha)\right]; \quad (4)$$

$$\sigma_\theta(p)=\frac{P_b}{2}\left[(1+\lambda)\left(1+\frac{R^2}{r^2}\right)-(1-\lambda)\left(1+3\frac{R^4}{r^4}\right)\cos 2(\theta-\alpha)\right]; \quad (5)$$

$$\tau_{r\theta}(P)=-\frac{P_b}{2}(1-\lambda)\left(1+\frac{2R^2}{r^2}-\frac{3R^4}{r^4}\right)\sin 2(\theta-\alpha). \quad (6)$$

The solution of the second problem gives (3) the images of the seismic stress components corresponding to the boundary conditions of the pure shock, i.e. through the transverse wave tunnel:

$$\sigma_r(Q)=-Q_b\left(1-\frac{4R^2}{r^2}+\frac{3R^4}{r^4}\right)\sin 2(\theta-\alpha); \quad (7)$$

$$\sigma_\theta(Q)=Q_b\left(1+3\frac{R^4}{r^4}\right)\sin 2(\theta-\alpha); \quad (8)$$

$$\tau_{r\theta}(Q)=-Q_b\left(1+\frac{2R^2}{r^2}-\frac{3R^4}{r^4}\right)\cos 2(\theta-\alpha). \quad (9)$$

As can be seen from the formulas (4) - (9), on the contour of a circular tunnel, where r = R, only the circular stress that takes the maximum values on the contour will differ from zero from these stress.

The corresponding circular stress of the longitudinal wave on the tunnel contour is determined by the formula (5)

$$\sigma_\theta(P)=P_b[1+\lambda-2(1-\lambda)\cos 2(\theta-\alpha)], \quad (10)$$

And the formula (8) for determining the corresponding circular stress corresponding to the transverse wave acting on the contour of the tunnel takes the form

$$\sigma_\theta(Q)=4Q_b\sin 2(\theta-\alpha). \quad (11)$$

As mentioned above, it is not sufficient to know the stresses caused by longitudinal and transverse seismic waves separately to estimate the adverse effects of the expected dynamic load on an underground structure. For this, it is necessary to determine the maximum total stress at any of its points in the most unfavorable combination of longitudinal and transverse waves, their simultaneous action, and finally their assembly with the corresponding stress of the static field acting in the array.

Due to the variability of seismic stress, there can be four cases when the corresponding stress acting on the longitudinal waves acting on the tunnel contour can occur:

$$\sigma_1=\sigma_\theta(P)+\sigma_\theta(Q); \qquad \sigma_2=\sigma_\theta(P)-\sigma_\theta(Q);$$

$$\sigma_3 = -\sigma_\theta(P) - \sigma_\theta(Q)\,; \qquad \sigma_4 = -\sigma_\theta(P) + \sigma_p(Q)\,.$$

Clearly, in absolute terms, the maximum circuit stress across the contour is obtained by adding the corresponding signals of the corresponding longitudinal and transverse waves, i.e. if the condition is met.

$$|\,\sigma_\theta(P) + \sigma_\theta(Q)\,| > \begin{cases} |\,\sigma_\theta(P)\,|, \\ |\,\sigma_\theta(Q)\,|. \end{cases}$$ Or at different mark stress if

$$|\,\sigma_\theta(P) - \sigma_\theta(Q)\,| > \begin{cases} |\,\sigma_\theta(P)\,|, \\ |\,\sigma_\theta(Q)\,|. \end{cases}$$

The image of the total seismic stress acting on the tunnel contour is obtained by assembling formulas (10) and (11)

$$\sigma_{\theta(\text{ь})} = P_{\text{ь}}[1 + \lambda - 2(1 - \lambda)\cos 2(\theta - \alpha) + \tilde{Q}\sin 2(\theta - \alpha)], \tag{12}$$

Where a notation is introduced

$$\tilde{Q} = \frac{Q_{\text{ь}}}{P_{\text{ь}}} = \frac{c_2}{c_1}\,, \tag{13}$$

This is determined from Figures (2) and (3) and depends only on the propagation velocities of the transverse and longitudinal waves.

If we solve the problem of the extremum of (12), it turns out that the total seismic stress. The maximum value is given at the point of the contour of the circular tunnel, the polar angle of which, calculated from the axis of action of the main maximum stress of the static field, is expressed as follows

$$\theta = \alpha - \frac{1}{2} Arctg \frac{2\tilde{Q}}{1 - \lambda}\,. \tag{14}$$

In determining this angle, the value of the inverse trigonometric function at which all members of formula (12) will be positive must be selected.

As can be seen from (14), the location of the maximum seismic stress on the contour of a circular tunnel and, consequently, their intensities determined by (12), in addition to other known parameters, depend significantly on α thε angle between the main planes of the static and dynamic stress fields. As mentioned, prior knowledge of the latter with the required accuracy is often impossible. Therefore, the tunnel around the static and dynamic stresses in the joint concentration of the potential adverse effects to assess in advance the contour of each point of any α between the extreme values of the stress and to define seismic gather they are static stress of the respective components. Thus, the epicenter of the obtained circular stress represents not just one particular combination of static and dynamic loads, but the sum of all possible cases of unfavorable distribution of stress along the tunnel contour.

Consider a circular cross-section of a reinforced unit tunnel.

The simplest numerical example for estimating the joint concentration of static and dynamic stress.

Let's say, rock array whose deformation module GLK $_0$= 10 ^{6}t / m ^{2}, and the Poisson's ratio of 0.25, up from the surface of H = 100 m depth pulled out of the circular section of the tunnel. An array of rocks whose average volume on weight γ€= 2.5 t / m ^{3}, earthquake is characterized 9, ie Seismicity coefficient 0.1 and oscillation calculation period T $_0$= 0.5 cm.

Suppose in a pristine array only gravitationally generated stress operate, which will be the vertical compiler

$$P = \gamma H = 250 \text{ t / m}^2,$$

And the clearance coefficient

$$\sigma_\theta = P\,[1 + \lambda - 2(1 - \lambda)\cos 2\theta] = 333{,}235\ (1 - \cos 2\theta) \text{ t/m}^2$$

The corresponding circular stress acting on the static load acting on the tunnel contour is calculated from the image obtained by inserting r = R into the formula and the initial data.

$$[1, + \lambda - 2\ (1 - \lambda)\ \cos 2\ \theta] = 333{,}235\ (1 - \cos 2\ \theta€)\ \text{t / m}^2,$$

where θ is calculated from the pristine array of maximum stress, i.e. in this case, from the vertical axis.



Fig. 2. Static and dynamic stress
The most unfavorable distribution
Circular section unreinforced tunnel
On the contour

Graphically or in the picture of the stress distribution (Fig. 2) due to the presence of two axes of symmetry is shown on a quarter of a line.

distribution of seismic velocities longitudinal and transverse waves, respectively, calculated Beat:

$$c_1 = 2170 \text{ m/s};$$

$$c_2 = 1253 \text{ m/s}.$$

The corresponding quasistatic stresses of the longitudinal and transverse waves and the shear are determined by the following formulas:

$$P_s = \pm 43{,}19 \text{ t / m}^2;$$
$$Q_s = \pm 24{,}94 \text{ t / m}^2;$$
$$= 0.58.$$

The maximum seismic stress will act at the point of contour for which (14)

$$\theta - \alpha = -\frac{1}{2}(60° + k\pi), \quad k = 1, 2, 3, \ldots$$

For all terms of (12) to be positive (to satisfy the maximum condition), k must be equal to 1 and therefore

$$2(\theta - \alpha) = -240°,$$

Where (12) takes on extreme values

$$\sigma_{\theta(b)} = \pm 43{,}19\ [1{,}333 + 2 \square 0{,}666 \square 0{,}5 + 4 \square 0{,}58 \square 0{,}87] = \pm 173 \text{ t / m}^2.$$

Because α can take any value, these values of maximum tensile or tensile circular seismic stress are added at each point on the contour to the stress given in Figure 2 of static origin.

As can be seen from the drawing, the stresses generated by the impact of the seismic wave on the contour of the circular intersection tunnel for the calculated conditions can significantly increase the compressive stresses in the tunnel walls and cause stretching in the ceiling.



Fig. 3. Most static and dynamic stress Unfavorable distribution of arch carving On the contour of the unreinforced tunnel

For the conditions of the numerical example discussed above, the picture of the most unfavorable concentration of static and dynamic stress on the contour of a large intersection tunnel obtained by N. Photieva [1], given in Figure 3.

Conclusion

Simultaneous impact analysis of static and dynamic loads can be carried out in the same way as in the example above, in the case of one or more unreinforced tunnels of virtually any shape in a homogeneous, isotropic, or anisotropic array. This allows the solution of the flat problems of the theory of elasticity n. A powerful method developed by Muskhelishvili.

Literature

1. Fotieva NN Expansion of underground armaments in seismically active regions. M., "Nedra", 1980.
2. Kipiani G. Application of elongation theory methods in calculations of building structures and building foundations. Technical University, Tbilisi, 2009. 130 p.
3. Mihailov BK, Kipiani GO, Moskaleva VG Basic theories and methods for calculating the durability of three-layer plastin with cuts. "Metsniereba", Tbilisi, 1991. -189 p. M 607 (106) -91.
4. Mihailov BK, Kipiani G.O. Deformability, and durability of spatial plastic systems with breakable parameters. Strozhizdat SPb, S.-Petersburg, 1996. -442 p.

სეისმური ძაბვების კონცენტრაცია გაუმაგრებელი გვირაბების ირგვლივ

ალექსანდრე ბუაჩიძე

რეზიუმე:

გაუმაგრებელი გვირაბის ირგვლივ ქანის მასივში მცირე სიხშირის (გრძელი) სეისმური ტალღის გავლისას წარმოშობილი ძაბვების კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმების გამოიყენება დრეკადობის თეორიის ორი ბრტყელი კვაზისტატიკური ამოცანის ამონახსნის სუპერპოზიციის შესახებ. ეს ამოცანებია: გვირაბის განივკვეთის ფორმის შესაბამისი ხვრელით შესუსტებული სიბრტყის დაძაბული მდგომარეობის შეფასება, როდესაც მის უსასრულო საზღვრებზე მოქმედებენ გრძივი ტალღის შესაბამისი კუმშვა-გაჭიმვის $\sigma_x^{(\infty)}$, $\sigma_y^{(\infty)}$ და განივი ტალღის შესაბამის ძვრის $\tau_{xy}^{(\infty)}$ ძაბვები.

Summary:

Criteria for estimating the concentration of stress generated during a low-frequency (long) seismic wave in a rock mass around an unreinforced tunnel are applied to the superposition of the solution of two flat quasistatic problems in the theory of elasticity. The objectives of the tunnel cross-sectional shape of the hole in the plane of the weakened condition of tension, when the borders of the infinite act of pressing tension longitudinal wave, and the wave of transverse shear stresses

გეოეკონომიკური პროექტი 3+3 და გეოპოლიტიკური იმორალიზმი

მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ალტე უნივერსიტეტის პროფესორი

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკური ინტერესები, სამხრეთ კავკასია,

3+3 პლატფორმის შექმნის შესახებ ინიციატივა თავდაპირველად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის პერიოდში -13 აგვისტოს, მოსკოვში, უმაღლესი დონის შეხვედრაზე გაჟღერდა, როდესაც თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა ე.წ. 3+2 _ ის ფორმატში თანამშრომლობა შესთავაზა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსა და რუსეთს. ამ ფორმატში იმ ეტაპზე ირანი არ განიხილებოდა. შემდეგ გაგრძელება ამ ინიციატივამ ჰპოვა 2020 წელს, როდესაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ, ისევ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა წამოაყენა ექვსი ერის პლატფორმის შექმნის იდეა. ეს გულისხმობს სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს - აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველოს და მათ სამ მეზობლებს, რეგიონალურ სახელმწიფოებს - თურქეთს, რუსეთს და ირანს. საკითხის დეტალებზე შემუშავებას ცდილობდნენ ამ ქვეყნების ვიცე-პრემიერები, საქართველოს წარმომადგენელს ამ შეხვედრებზე არ მიუღია მონაწილეობა. ასე საქართველოს ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალქანიანმა განაცხადა: "საქართველოსთვის რთული იქნება 3+3 -ის ფორმატში მონაწილეობა რუსეთთან". როდესაც ჩვენ არ ვხედავთ არანაირ პროცესებს დეოკუპაციის მიმართულების, ასეთ ვითარებაში რთულია მონაწილეობის მიღება ინფრასტრუქტურულ პროექტებში..."

ნიშანდობლივია რომ საქართველოსთვის მართლაც ამ პროექტში მონაწილეობა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს რადგან პროექტი გულისხმობს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე, ფაქტობრივად ეს იქნებოდა საქართველოს მხრიდან ოკუპირებული აფხაზეთის აღიარება.

ცნობილია საქართველოს გეოპოლიტიკური კავშირები დასავლეთის ქვეყნებთან, მიუხედავად რუსეთის არაერთგზის მცდელობისა ქართველ პოლიტიკის მესვეურებს გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე არ განუცხადებიათ.

განსხვავებული განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო „კავკასიური პლატფორმის ინიციატივის მიმართ ვერ იქნება ვერც პასიური და ვერც მეორე ხარისხოვანი". რასაც საკმაოდ შემაშფოთებელი გამოხმაურება მოჰყვა დასავლელი პარტნიორების მხრიდან, კერძოდ საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩი იან კელი პირდაპირ მიუთითებდა «რატომ უნდა საქართველოს პრეზიდენტს ამ კავკასიური პლატფორმის წახალისება, როდესაც ეს ნიშნავს, რომ რუსეთსა და ირანს ხმა ეძლევათ თქვენს რეგიონალურ საქმეებში?"

უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება იმაზე რომ „საქართველო „კავკასიური პლატფორმის ინიციატივის მიმართ ვერ იქნება ვერც პასიური და ვერც მეორე ხარისხოვანი". არაა მოკლებული პოლიტიკურ სიმართლეს, საქართველოს პრეზიდენტის განცხადება გამოწვეულია აშშ-ს პასიური პოლიტიკით. აშშ-მა პრაქტიკულად თავისი პასიური პოლიტიკის შედეგად სამხრეთ კავკასიაში ხელი შეუწყვეს რუსეთის დაბრუნებას რეგიონში, ხოლო საქართველოში პრორუსული

ძალების მოსვლას.

სომხეთ-აზერბაიჯანის 44-დღიანმა ომმა ყარაბარის რეგიონში აჩვენა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ მართავს კონფლიქტებსსამხრეთ კავკასიაში, ხოლო აშშ გამოვიდა მაყურებლის როლში. გამარჯვებულ აზერბაიჯანს სურს ნახიჩევანის მიმართულებით გაიხსნას სარკინიგზო მიმართულება, ხოლო ნახიჩევანიდან თურქეთის მიმართულებით, აზერბაიჯანის ხელისუფლება ამის სანაცვლოდ თანხმდება მეორე გზაზე რომელიც გაივლის სომხეთის გავლით გიუმრი-ყარსის მიმართულებით, ამით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი საქართველოსთვის დაკარგავს თავის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მნიშვნელობას, ამას დაემატება როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნაც. ნიშანდობლივია რომ ამ პროექტში საქართველოს მონაწილეობა ეწინააღმდეგება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

რასაკვირველია ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკურ მესვეურებს ესმით საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანის შესახებ და შეიძლება ითქვას რომ გაგებით ეკიდებიან. მაგალითისთვის, 2021 წლის მარტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ, სადაც განხილვის ერთ-ერთი საგანი სწორედ 3+3 ფორმატიც იყო, შემდეგ მევლუთ ჩავუშოღლუმ პირდაპირ განაცხადა, რომ მას ესმოდა თბილისის ფრთხილი პოზიცია ამ რეგიონალურ იდეასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა თურქეთის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

ირანის მხრიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გაჟღერებული პლათფორმის შექმნა. “შესანიშნავი დისკუსია მრავალწლიანი ორმხრივი კავშირების გაფართოებისა და რეგიონული თანამშრომლობის შესახებ - განსაკუთრებით შავი ზღვის სპარსეთის ყურესთან დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფანი.”- ასე შეაფასა ახალი ინიციატივა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ ჯავად ზარიფმა.

თემის გარშემო აჟიოტაჟი ისევ დაიწყო 2021 წლის შემოდგომაზე, როდესაც მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ირანელ კოლეგასთან, ჰოსეინ ამირ აბდოლაჰიანთან ერთად განიხილა ე.წ. 3+3 ფორმატის შექმნა. როგორც ლავროვმა განაცხადა , ირანულმა მხარემ ინიციატივა პოზიტიურად შეაფასა და რომ მსგავსი დამოკიდებულება აქვთ აზერბაიჯანს და თურქეთს. ანუ ამით ხაზი იქნა გასმული რომ ირანის განახლებული სამთავრობო კაბინეტი აგრძელებდა ამ ფორმატში თანამშრომლობას და მათი მხრიდან ,,3+3“ ჩაშლის საფრთხე არ ემუქრებოდა. ამას დაერთო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკანიანის ორაზროვანი განცხადება პროექტთან დაკავშირებით : “ჩვენ რაღაცა ფორმით ამ დიდ გეოპოლიტიკურ პროექტებში და ურთიერთობებში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რაღაც ფორმით, რა თქმა უნდა, არა სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე და ოკუპანტთან რაღაც დათმობის ხარჯზე.” თუმცა არაერთგვაროვანი გამოხმაურებების და საკმაოდ დიდი კრიტიკის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური განმარტება, რომ ,,უწყება არ განიხილავს რუსეთის ფედერაციასთან ერთად 3+3 ფორმატში მონაწილეობას“ .

საქართველოს რეგიონში მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია აქვს. შესაბამისად აუცილებელია სტრატეგიულად მნიშვნელოვან ისეთ პროექტებში ჩვენი მონაწილეობა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აზიისა და ევროპის დაკავშირებაში და მნიშვნელოვნადუწყობენხელსჩვენსეკონომიკურდაპოლიტიკურდამოუკიდებლობას.

უფრო მეტიც, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წამოაყენა კონკრეტული იდეა - მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივა, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპებს და მიზნად ისახავს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენას".

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთი აღარ კმაყოფილდება იყოს ენერგორესურსების მხოლოდ ტრანზიტორი ქვეყანა და მისი სტრატეგია მიმართულია იქეთკენ, რომ მსოფლიო ენერგოპოლიტიკაში რესურსების გამანაწილებელ სერიოზულ მოთამაშედ იქცეს. ამ პოლიტიკაში კი საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგანაც ბლოკირებული სომხეთის პირობებში სწორედ ის წარმოადგენს თურქეთისთვის უმოკლეს გზას კასპიის ზღვის ენერგორესურსებზე მისაწვდომად. ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო თურქეთისთვის საინტერესოა როგორც მცირე, თუმცა სტაბილური გასაღების ბაზარი საკუთარი პროდუქციისათვის. ამასთანავე საქართველოსთვის თურქეთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც 2007 წელს დაიდო ,,თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება", რითაც ამ ორ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა სულ უფრო გრანდიოზულ მასშტაბებს იძენს და განსაკუთრებით თურქულ ინტერესებზე მოქმედებს პოზიტიურად.

რას მიიღებს თურქეთი 3+3 ფორმატით? ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი თავად არის ანკარა და ის თურქეთს უშუალოდ რკინიგზით დააკავშირებს აზერბაიჯანთან. თუმცა ანკარასთვის ეკონომიკური თვალსაზრისით აფხაზეთში რკინიგზის აღდგენის ინიციატივაც მომგებიანია. პირველ რიგში, ამ პროექტზე მიერთებით თურქეთი რუსეთს დაუკავშირდება რკინიგზით და მზარდი ეკონომიკური თანამშრომლობის პირობებში ეს თურქეთისთვის მომგებიანი იქნება. გარდა ამისა, თურქეთში არსებული აფხაზური დიასპორა დიდი ხანია ცდილობს აფხაზეთში ინვესტიციების განხორციელებას და რკინიგზის გახსნა ამას შედარებით გაამარტივებს .

ირანის ინტერესები მარტივია. ირანის ინტერესი, საკუთარი გავლენის სფეროს დაუქვემდებაროს სამხრეთ კავკასია, დაკავშირებულია ეთნოტერიტორიულ კონფლიქტებთან და კასპიის ზღვის აზერბაიჯანის მონაკვეთზე ნავთობისა და გაზის დიდ მარაგთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თეირანის დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფო აზერბაიჯანთან. ამას თავისი სტრატეგიული, ეკონომიკური, და ეთნოსოციალური საფუძვლები აქვს. ირანს სურდა ხელი შეეშალა აზერბაიჯანის გაძლიერებისთვის, რათა, ერთი მხრივ, საკუთარ სახელმწიფოში მათი ეთნიკური ძმებისთვის სეპარატიზმისა და ირედენტიზმის სურვილი გაექრო, ხოლო მეორე მხრივ, აზერბაიჯანში არ გაეღვიძებინა სურვილი დიდი აზერბაიჯანის შექმნისა. ირანი, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში სომხეთის მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო. ორი ქვეყნის პოლიტიკური სიახლოვე, ისევე როგორც ვაჭრობა და ენერგოსექტორში თანამშრომლობა, წლიდან წლამდე იზრდება. გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ირანი ცდილობს ვაშინგტონი-თელ-ავივი-ბაქოს ალიანსს საკუთარი თეირანი-ერევანი-მოსკოვის კოალიცია დაუპირისპიროს. დღეს უკვე საუბრებია რუსეთიდან აზერბაიჯანიდან სომხეთზე და სომხეთიდან ნახიჩევანზე გამავალი საბჭოთა დროინდელი რკინიგზების აღდგენაზე. ეს შესაძლებლობა იძლევა, რომ ირანი პირდაპირ რუსეთს დაუკავშირდეს. ამასთან ერთად, ირანს ალტერნატიული მიმართულებებიც აინტერესებს. ეს არის ჯერ კიდევ განვითარების პროცესში არსებული ირანიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით რუსეთამდე გამავალი სარკინიგზო ხაზი. მეორე ვარიანტია სომხეთიდან საქართველოს გავლით აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის პოტენციურ აღდგენას. სამხრეთ კავკასიაში ირანის მტკიცე საყრდენად სომხეთი მოიაზრება. სომხეთი, რომელიც ფაქტიურად

მოწყვეტილია გარე სამყაროს, ირანის მეშვეობით ახორციელებს სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს. ამ თვალსაზრისით მას საქართველოსთანაც აქვს თანამშრომლობა, მაგრამ დიდად კმაყოფილი არ არის, ვინაიდან რუსეთთან ადრე არსებულ სარკინიგზო კავშირს მოკლებულია. სომხეთი რახანია სთხოვს საქართველოს, რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა-ამოქმედების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა უშედეგოდ. თუმცა, ამ პროექტის ეკონომიკური მდგრადობა კითხვის ქვეშ დგას. ამასთან ერთად, რუსეთიდანაც არაერთგვაროვანი გზავნილები მოდის იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის მოსკოვი დაინტერესებული საქართველოზე გამავალი გზის აღდგენით.

რუსეთის ფედერაცია, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ხედავს გავლით დერეფანს ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით; თავის მხრივ, ირა¬ნი დაინტერესებულია ეკონომიკური დეიზოლაციის მიღწევით და ამ შემთხვევაში მისთვის საინტერესოა სომხეთი და საქართველოს მარშრუტი, ისევე, როგორც ამ მარშრუტის გავლით რუსეთის ფედერაციასთან კავშირი და კომუნიკაცია; ხოლო თურქეთისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონი გასაღებია, როგორც თავად კავკასიის რეგიონის შიგნით, ასევე კასპიის ზღვის აუზის სახელმწიფოების მიმართულებით, ანუ პრაქტიკულად სამივე ქვეყნისთვის არსებობს კონკრეტული ექსკლუზიური ინტერესი და მოცემულ რეგიონში საკუთარი ლიდერობის დაფიქსირება გარკვეული დოზით. ამ შემთხვევაში ვხედავთ იმას, რომ სამი ამ რეგიონული აქტორის ფონზე, რომელიც პროაქტიული მოთამაშეები არიან, მეორე სამი სახელმწიფო რჩება, როგორც რეაქტიული მოთამაშე, რომლის მოქმედებაც ძირითადად ამ სამი აქტორის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. მოხდება ამ სახელმწიფოთა ინტერესების ხარჯზე დიდი რეგიონული მოთამაშეების პოზიციების გამყარება და საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის პრაქტიკული იმპლემენტაცია.

საერთო, რაც ამ სამ მსხვილ რეგიონულ აქტორს აქვს, არის, რომ არც ერთი მათგანი არაა დაინტერესებული იმით, რომ დასავლური გავლენა ან ინტერესი წარმოდგენილი იყოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკულად ყველა რეგიონული მოთამაშე გამოირჩევა დასავლეთთან სპეციფიკური ურთიერთობით და ასევე, ყველა მოიაზრებს სამხრეთ კავკასიის რეგიონს ან მის ცალკეულ ნაწილებს, როგორც ერთგვარი ექსკლუზიური გავლენის სფეროს.

იმთავითვე არსებობს რეგიონულ აქტორებს შორის ძალიან დიდი გამომრიცხავი გარემოებები, რაც ართულებს თანამშრომლობას. პირველი, რეგიონის დიდი მოთამაშეებიდან რომ დავიწყოთ, რუსეთისა და თურქეთის კონკურენციაა, რადგან რაც არ უნდა ილაპარაკოს ამ ორმა სახელმწიფომ ურთიერთობის სტაბილიზაციაზე, ნორმალიზებაზე, საერთო გადაკვეთის არეების ნახვაზე, ეს ორი სახელმწიფო რჩება სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკმაოდ მნიშვნელოვან კონკურენტებად. აქედან გამომდინარე, ეს ნიშნავს იმას, რომ სამხრეთ კავკასიის ეს სამი სახელმწიფო იქნება ამ ორი სახელმწიფოს დაპირისპირებისა და კონკურენციის პლატფორმა. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ირანის საკმაოდ რთული და სპეციფიკური ურთიერთობები თურქეთსა და აზერბაიჯანთან და ამ შემთხვევაში გამოიკვეთა აზერბაიჯანულ-თურქული ღერძი, მეორე მხარეს კი გვაქვს ირანული ღერძი, რომელიც ცდილობს, ამ შემთხვევაში დაეყრდნოს სომხეთს და იმავდროულად, მოიზიდოს რუსეთის ფედერაცია; და არის რუსეთის ფედერაცია, რომლისთვისაც ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ყველა მიუღებელია; ამას ემატება საკმაოდ რთული ურთიერთობები სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის "

საქართველოს ამოცანა უნდა იყოს, რომ ,,სამეულის" ქვეყნები დაარწმუნოს, რომ თუ საქართველოს ჩართულობა უნდათ, მაშინ გარკვეული პირობები გვაქვს, რადგან

რუსეთთან ის მარტო ვერ დარჩება. რუსეთი და კიდევ ბევრ სახელმწიფოს, რომელიც ამ ფორმატის ინიციატორია, სწორედ ეს უნდათ, რომ რეგიონალურმა სახელმწიფოებმა პრობლემები თვითონვე მოაგვარონ, როგორც ყარაბაღის ამბები მოხდა, მაგრამ ეს საქართველოს ინტერესებში არ შედის, რადგან ჯერ ერთი რუსეთთან კონფლიქტი გვაქვს და ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, თურქეთიც ბოლო პერიოდშიც უკვე მაინცდამაინც ძალიან პროგნოზირებადი პარტნიორი აღარაა. აქედან გამოდინარე, საქართველოს ამ ქვეყნებთან მიმართებაში ნდობის დეფიციტი უჩნდება, თუ ჩვენ გვინდა, რომ საქართველო ამ ფორმატში ჩაერთოს, იქ ისეთი ქვეყნები უნდა იყვნენ, რომელსაც ენდობა , და ეს რა თქმა უნდა ჩვენი დასავლელი პარტნიორები უნდა იყვნენ, აშშ-ს, ევროპული ქვეყნების ან ევროკავშირის სახით.

რაც შეეხება დასავლელი პარტნიორების რეაქციას მაგალითად მოვიყვან აშშ-ს პოზიციას. საქართველოში ვიზიტის დროს აშშ-ს თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი გამოეხმაურა 3+3 პლატფორმას და ჟურნალისტის კითხვას, დააზიანებს თუ არა ამ ფორმატში რაიმე ფორმით მონაწილეობა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს? უპასუხა "რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს 20%, უნდა სცემდეს პატივს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანხმებას, ვიდრე რაიმე ახალ პლატფორმაზე ისაუბრებს" . ვფიქრობ ამით დასავლეთის პოზიცია აბსოლუტურად ნათელია.

ფორმატზე არაერთგვაროვანი რეაქციებია სომხეთის მხრიდან, სომხეთის პრემიერ მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა რომ ეს ფორმატი საინტერესო იქნება სომხეთისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი რეგიონალური ფორმატები და პროექტები თუ ის არ ჩაანაცვლებს სხვა უკვე ხელმოწერილ და ადაპტირებულ ფორმატებს . თუმცა გვესმის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც ფორმატთან დაკავშირებით, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს რომ ეს ინიციატივა ძალიან საფრთხილო და საშიშიც შეიძლება იყოს სომხეთისთვის, რადგან რუსეთი და თურქეთი დაინტერესებულნი არიან რომ სამხრეთ კავკასია საბოლოოდ ჩამოაშორონ ევროპას .

რაც შეეხება აზერბაიჯანის მხარეს, აქაც არაერთგვაროვანი შეფასებები გვესმის. ნაწილი ექსპერტებისა ამ ფორმატს განიხილავს როგორც ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების დაჩქარების შესაძლებლობას, რამეთუ ეკონომიკურმა პროცესებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას , სხვა საკითხებთან დაკავშირებით აზერბაიჯანი აშკარად ცდილობს არამარტო მიესალმოს ამ ფორმატში ჩართულობას არამედ ცდილობს თანააავტორადაც მოგვევლინოს .

ასეთი რთული გეოეკონომიკური და ამავდროულად გეოპოლიტიკური პლათფორმის შექმნა არ შექმნის წინაშე დგას თანამედროვე ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური მესვეურები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გაჩილაძე. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბილისი 2017 წ.
2. https://ru.oxu.az/politics/447973
3. Глава МИД Грузии о формате «3+3»: С Россией будет сложно, но необходимо. // https://www.newsgeorgia.ge
4. https://formulanews.ge/News/58521
5. https://www.radiotavisupleba.ge/a/31500045.html
6. https://commersant.ge/ge/post/saqartvelo-rusetis-federaciastan-ertad-33-formatshi-monawileobas-ar-ganixilavs
7. http://liberali.ge/articles/view/3027/turqulqartuli-interesebi

8. Claud Moniquet, William Racimora (Hg.): The Armenia-Iran Relationship. Strategic implication for security in the South Caucasus Region. European Strategic Intelligence & Security Center, 2013

9. https://www.allnews.ge/politika/168353-33-pormati-ra-interesi-akvs-3-regionalurveshaps-samxret-kavkasiashi-da-ratom-ar-aris-sakartvelos-adgili-erdoganis-inicirebul-proektshi/

10. https://commersant.ge/ge/post/ra-aris-33-formati-da-ratom-ar-awyobs-is-saqartvelos

11. https://formulanews.ge/News/58521

12. https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/12857571

13. https://www.ekhokavkaza.com/a/31504089.html

14. https://eadaily.com/ru/news/2021/11/07/format-3-3-oformit-deystvuyushchuyu-realnost-v-zakavkaze-vzglyad-iz-baku

15. https://www.ritmeurasia.org/news--2021-10-20--format-3-3-opasnaja-smes-ekonomiki-s-geopolitikoj-ili-shans-na-mir-56952

GEO-ECONOMIC PROJECT 3 + 3 AND GEOPOLITICAL IMMORALITY

SUMMARY

marina izoria

The discussions on the 3 + 3 cooperation format were launched following the end of the second Nagorno-Karabakh war. After attending the victory parade in Baku, Turkish President Recep Tayyip Erdogan came up with the idea of creating a platform of six nations. The initiative envisages regional cooperation between the three countries of the South Caucasus (Azerbaijan, Armenia, Georgia) with Turkey, Iran and Russia. It is supposed to deal with the issues concerning security, economy and unblocking of transport corridors. Soon after, victorious Azerbaijan confirmed its interest in the initiative. The Foreign Ministers of Russia and Iran have officially confirmed their readiness to participate in the format. At the same time, the Russian Foreign Minister expressed hope that brotherly Armenia and Georgia would agree to join the union, which would be very important for the development of the region. However, the initiative provoked a different reaction in Georgia. Given the fact of the Russian occupation and the violation of its sovereignty, official Tbilisi does not consider joining the format

Theoretically, the idea of regional cooperation between large and small states might sound appealing. However, the potential member states of the format must take the reality into account. There are conflicting relations of different intensity between the six potential participants of the initiative. There are tensions in Georgia-Russia, Armenia-Azerbaijan, Azerbaijan-Iran and Turkey-Russia relations. Consequently, the successful implementation of the initiative in its current form seems unlikely.

ცოტა რამ ბიზნესის შეღავათიან დაბეგვრის შესახებ

ონისე მირცხულავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: *შეღავათიანი დაბეგვრა; მიკრო და მცირე ბიზნეს სტატუსი; ნულოვანი დაბეგვრა; საგადასახადო საკონსულტაციო საქმიანობა.*

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სამჯერ შეიცვალა. ამის მიუხედავად, ქვეყანაში ჯერაც კიდევ ვერ შემუშავდა ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას.

მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი უნივერსალური საგადასახადო პოლიტიკა. ყველა ქვეყანას თავისი საგადასახადო პოლიტიკა აქვს. ზოგიერთ ქვეყანაში საგადასახადო პოლიტიკის ფუნქციებში ფისკალური ინტერესი სჭარბობს, ზოგან კი - ბიზნესის მასტიმულირებელი. ქვეყნისთვის ერთიც საჭიროა და მეორეც. თუმცა, ჩვენ მაინც ბიზნესის სტიმულირებისკენ ვიხრებით, რადგან განვითარებული და გაფართოებული ბიზნესი თუნდაც გადასახადის მცირე განაკვეთებით, თავისთავად შეძლებს ბიუჯეტის შევსებას: როგორ სჯობია 100 საწარმოს ვახდევინოთ მოგების 15%, თუ 1000 საწარმოს მოგების 10%? თუ ჩავთვლით, რომ 100 საწარმოს მოგება 200 000 ლარია, ხოლო 1000 საწარმოში 2 000 000, მაშინ, პირველ შემთხვევაში მოგების 15%-იანი გადასახადით ბიუჯეტში შემოვა 30 000 ლარი, მეორე შემთხვევაში კი - 10%-იანი გადასახადით - 300 000 ლარი. ამის გარდა, ამ 1000 საწარმოს უკან დგას დასაქმებულთა მთელი არმია, რომლებიც საკუთარი შრომით ოჯახებს ინახავენ და ღირსება არა აქვთ დაკარგული სოციალურ შემწეობაზე ყოველ თვე ხელის გაშვერით...

კითხვაზე თუ საიდან გაჩნდება ეს 1000 საწარმო, გიპასუხებთ: გადასახადების შემცირება ყოველთვის ბადებს საქმის წამოწყების სურვილს. საქართველოს მოსახლეობა კი გენეტიკურად მეწარმული სულისაა. ისინი მხოლოდ უფრთხიან მაღალ გადასახადებს და ამის გარდა, მათ ხშირ მონაცვლეობას ზრდისკენ. ამიტომ, თუ საქართველოში იქნება დაბალი გადასახადები და თანაც, სტაბილური, ორი აზრი არ არის იმაში, რომ ბიზნეს-სუბიექტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება, გამრავლდება სამუშაო ადგილები და სიღარიბე თანდათან დაიწყებს შემცირებას.

საქართველოში დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან. მაშინ, მეწარმეები ელოდებოდნენ, რომ ეს კოდექსი გაუადვილებდათ მათ ბიზნეს-საქმიანობას. ნაწილობრივ ეს მართლაც მოხდა, როცა დადგინდა მიკრო ბიზნესის სტატუსი 30 000 ლარიანი წლიური ერთობლივი დაუბეგრავი შემოსავლით და აგრეთვე, შემოღებული იქნა მცირე ბიზნესის სტატუსი, რომლითაც დადგინდა ერთობლივი შემო¬სავლის ზღვარი 100 ათასი ლარი 5%-იანი დაბეგვრით, ხოლო თუ მცირე მეწარმეს ექნებოდა ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, მაშინ, გადასახადი - 3% [1. გვ. 70. მუხლი 90].

2018 წელს მცირე მეწარმის სტატუსის მქონე მეწარმეებისთვის კოდექსში დამატებითი ცვლილებები განხორციელდა და მათ ერთობლივი შემოსავლის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 500 ათას ლრამდე გაეზარდათ, დასაბეგრი გადასახადის განაკვეთი კი - 5%-ის ნაცვლად 1%-მდე შემცირდა. ამ ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებებით მცირე ბიზნესის სტატუს მინიჭებულმა მეწარმეებმა მკვეთრად გამოხატული შეღავათები მიიღეს.

ამ ღონისძიებას საქართველოს მცირე (მ. შ. მიკრო) მეწარმეობის განვითარებაში „ბუმი“ უნდა გამოეწვია. ჩვენ გამოვიკვლიეთ ამ სექტორის საქმიანობა 2016-2020 წლებში და მივიღეთ შემდეგი (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს მცირე მეწარმეობის განვითარების მაჩვენებლები

	2017 წელს %-ად 2016 წელთან	2018 წელს %-ად 2017 წელთან	2019 წელს %-ად 2018 წელთან	2020 წელს %-ად 2019 წელთან
ინდივიდუალურ მცირე მეწარმეთა რაოდენობის ზრდა	104,3	104,2	10,4	10,39
საწარმოთა ბრუნვის ზრდა	105,4	109,6	104,0	99,7
მცირე საწარმოებში დასაქმების ზრდა	107,3	100,5	102,5	85,4
მცირე საწარმოებში დამატებული ღირებულების ზრდა	117,7	104,6	110,3	97,6
მცირე საწარმოებში პროდუქციის გამოშვების ზრდა	113,3	106,4	110,7	99,0

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობამ 2018 წლის ივლისის თვეში მართლაც მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები დაუწესა მცირე მეწარმეობას. ამის მიუხედავად, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, 2019-2020 წლებში მცირე მეწარმეობის განვითარებაში „აფეთქება“ არ მომხდარა. წინა 2016-2017 წლებთან შედარებით, 2019 წელს იკლო ყველა მაჩვენებლის ზრდის ტემპმა, 2020 წელს კი დაიწყო დაცემა. შემცირდა ბრუნვაც, დასაქმებაც, პროდუქციის გამოშვებაც და დამატებული ღირებულების მოცულობაც.

თუ ეს ვითარება „კოვიდ-19“ ვირუსის მიზეზით ქვეყანაში გატარებული კვების ობიექტების, გასართობი კლუბების, სალონების და სხვათა დაბლოკვის მიზეზით მოხდა, მაშინ, ალბათ, მცირე მეწარმეობის განვითარების „ბუმი“ „კოვიდ-19“-ის მიერ გამოწვეული პანდემიის დამარცხების შემდეგ მოხდება. ამას დრო გვიჩვენებს. დღეს კი, იმ ვითარებაში ვართ, რაშიც ვართ. საერთოდ კი, სასურველი იყო (და არის დღესაც) შემცირდეს იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებზეც მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება არის აკრძალული.

დღეს, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის #415 დადგენილებით მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისთვის დადგენილი წლიურად მისაღები 30 000 ლარიანი შემოსავლის ზღვარი არ ვრცელდება 25 სახის საქმიანობაზე, 7 სახის საქმიანობის განმხორციელებელ მეწარმე ფიზიკურ პირს კი არ შეიძლება მცირე ბიზენსის სტატუსის მინიჭება. ეს საქმიანობებია [2. გვ. 124]: 1. საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზიას ან ნებართვას; 2. საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას; 3. სავალუტო ოპერაციების განხორციელება; 4. სამედიცინო, არქიტექტორული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტაციის) საქმიანობა; 5. სათამაშო ბიზნესი; 6. პერსონალის უზრუნველყოფა; 7. აქციზური საქონლის

წარმოება [3. გვ. 3]. აღსანიშნავია, რომ ამ ჩამონათვალიდან პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე საქმიანობაზე არც მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭება ხორციელდება.

მაშასადამე, დაბეგვრის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი, რომელიც საქართველოში შემოღებული იქნა 2011 წელს, ხოლო 2018 წელს კიდევ უფრო გაფართოვდა, არ შეეხო მეტად მრავალ ბიზნეს-საქმიანობებს. ჩვენი აზრით, საჭიროა გაფართოვდეს იმ საქმიანობების სია, რომლებიც ხვდებიან მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსში., რომ უფრო მეტმა მეწარმეებმა მიიღონ ნულოვანი ან 1%-იანი დაბეგვრა და ამ გზით განვითარდეს ბიზნესი.

დასკვნა. ჩვენი სადისერტაციო თემიდან გამომდინარე, ჩვენ თავდაპირველად მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ მიკრო ან მცირე მეწარმის სტატუსი დაწესდეს საგადასახადო კონსულტანტთა საქმიანობაზე, რომ ქვეყანაში გამრავლდეს ასეთ მეეწარმეთა რიცხვი. ეს საჭიროა იმისთვის, რომ დღეს გადასახადის გადამხდელ მეწარმეთა მხრიდან კატასტროფულად ხშირად ირღვევა გადასახადების გადახდა. ამას იწვევს ამ სფეროში მათი არასათანადო განათლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2011 წლის 12 მარტის მდგომარეობით.
2. ბუკია ი. მცირე ბიზნესის ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1. 2019.
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება #415, 2010 წლის 29 დეკემბერი.

რეზიუმე

სტატიაში - „ცოტა რამ ბიზნესის შეღავათიან დაბეგვრის შედეგებზე“ - უპირველესად აღწერილია ის შეღავათები, რომელიც ჯერ 2010 წელს და, შემდეგ,. 2018 წელს, საქართველოს მთავრობამ მისცა მიკრო და მცირე ბიზნესს, შემდეგ კი, 2016-2020 წლების პერიოდში წარმოდგენილია ბიზნესის საქმიანობის ეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკა.

სტატიის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბიზნესისთვის 2018 წლის 1 ივლისს მიცემულ ფართო საგადასახადო შეღავათებზე (5%-ის ნაცვლად 1%) და აფიქსირებს ქვეყნის მოლოდინს, რომ ეს გამოიწვევდა ბიზნესის „ბუმს“ ქვეყანაში.

ფაქტიური მაჩვენებლების დინამიკამ ავტორს აჩვენა, რომ ეს არ მოხდა. მან ეს ახსნა „კოვიდ-19“-ის მიზეზით საქართველოს მთავრობის მიერ 2019-2020 წლებში (და დღესაც) მთელი რიგი საქმიანობების დაბლოკვამ.

მოცემულ სტატიაში ავტორი იძლევა წინადადებას, რომ შეღავათიან დაბეგვრაში მოხვდნენ რაც შეიძლება მეტი ბიზნეს-საქმიანობები და ასეთად უპირველესად მიაჩნია საგადასახო საკონსულტაციო საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: შეღავათიანი დაბეგვრა; მიკრო და მცირე ბიზნეს სტატუსი; ნულოვანი დაბეგვრა; საგადასახადო საკონსულტაციო საქმიანობა.

A FEW THINGS ABOUT THE CONSEQUENCES OF PREFERENTIAL BUSINESS TAXATION

S U M M A R Y

ONISE MIRTSKHULAVA

Doctoral of Georgian Technical University

First of all, in the article - «A few things about the consequences of preferential business taxation» – it is described the benefits that first in 2010 and then in 2018, the Government of Georgia gave to micro and small businesses, and then, in 2016-2020 periods, the dynamic of economic indicators of business activities are presented.

The author of the article pays special attention to the broad tax breaks given to businesses on July 1, 2018 (5% instead of 1%) and fixes the country's expectation that this would cause a business «boom» in the country.

The dynamics of the actual indicators showed the author that this hasn't happened. He explained this by blocking a number of activities by the Georgian government in 2019-2020 (and even today) due to Covid-19.

In this article, the author suggests that as many business activities as possible are included in the preferential taxation, and thus considers tax consulting activities as a priority.

Key words: Preferential taxation; Micro and small business status; Zero taxation; Tax consulting activities.

რა მისცა დაბეგვრის ესტონურმა მოდელმა გადასახადის გადამხდელ ბიზნესს საქართველოში?

ზაირა ღუდუშაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ონისე მირცხულავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: გადასახადის გადამხდელი; დაბეგვრის ესტონური მოდელი; დაბეგვრის გავლენა ბიზნესზე.

2017 წლის 1 იანვრამდე მეცნიერებიც და პრაქტიკოსებიც ინტენსიურად გამოთქვამდნენ საყვედურებს საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის (ამოქმედდა 2011 წელს) მიმართ, რომელშიც არ იყო ჩადებული ქვეყნის ეკონომიკის, ძირითადად, ბიზნესის ზრდის ხელშემწყობი მექანიზმი. ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი, რომლის მიზანი იყო ბიზნესის საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა [1. გვ. 172] და გამომდინარე აქედან, ბიზნესის მაღალი შედეგიანობა.

დაბეგვრის ესტონური მოდელის პრაქტიკა საქართველოში უკვე 4 წელს ითვლის. ეს პერიოდი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რა მისცა მან ბიზნესს საქართველოში, ანუ მისი მეშვეობით გაუმჯობესდა თუ არა ბიზნესის მუშაობის მაჩვენებლები.

დასმული ამოცანის ნათელსაყოფად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს ბიზნესსექტორის მუშაობის საკვანძო მაჩვენებლების ურთიერთშედარება მასში დაბეგვრის ესტონური მოდელის დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ. შედარებას ვახდენთ 4-წლიან პერიოდზე: 2017-2020 წლების მაჩვენებლებს ვუდარებთ 2013-2016 წლების მაჩვენებლებს [იხ. ცხრილი 1, 2].

ცხრილი 1

საქართველოს ბიზნესის ზრდა-განვითარების მაჩვენებლები 2013-2016 წლებში, ანუ დაბეგვრის ესტონური მოდელის დანერგვამდე [2. გვ. 26; 37; 48]

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2016 წელი, %-ად	
					2013 წელთან	2016 წელთან
საქონელბრუნვა (მლნ ლარი)	44327,9	50064,7	56984,8	64081,8	144,6	112,4
პროდუქციის (მომსახურების) გამოშვება (მლნ ლარი)	23553,6	26068,6	29993,9	34156,9	145,0	113,8
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	12139,1	12849,4	14761,0	16772,4	138,2	113,6

წინამდებარე ცხრილებში მოცემული ბიზნესის მუშაობის ეკონომიკური მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს შევადაროთ მათი დინამიკა ერთმანეთს მოგების დაბეგვრის ესტონური მოდელის დანერგვამდე და, მის შემდეგ [ცხრილი 3].

ცხრილი 2

საქართველოს ბიზნესის ზრდა-განვითარების მაჩვენებლები 2017-2020 წლებში, ანუ დაბეგვრის ესტონური მოდელის დანერგვის შემდეგ [3. გვ. 26; 37; 48]

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2016 წელი, %-ად	
					2013 წელთან	2016 წელთან
საქონელბრუნვა (მლნ ლარი)	74740,1	86625,1	109024,3	114348,5	159,4	104,9
პროდუქციის (მომსახურების) გამოშვება (მლნ ლარი)	38206,8	41649,2	47494,7	46227,3	120,9	97,3
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	19036,3	20726,9	23296,0	22263,0	117	95,5

ცხრილი 3

საქართველოს ბიზნესის ზრდა-განვითარების შედარება დაბეგვრის ესტონური მოდელის დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ

მაჩვენებლები	ბიზნესის ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა ესტონური მოდელის დანერგვამდე 2013-2016 წლებში		ბიზნესის ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა ესტონური მოდელის დანერგვის შემდეგ 2017-2020 წლებში		შედარებითი მაჩვენებლები პროცენტულ პუნქტებში (+, -)	
	2013 წელთან შედარებით	2015 წელთან შედარებით	2017 წელთან შედარებით	2019 წელთან შედარებით	საბაზო წლებთან შედარება	წინა წლებთან შედარება
საქონელბრუნვა	144,6	112,4	159,4	104,9	+14,8	-7,5
პროდუქციის (მომსახურების) გამოშვება	145,0	113,8	120,9	97,3	-24,1	-16,5
დამატებული ღირებულება	138,2	113,6	117	95,5	-21,2	-18,1

როგორც მესამე ცხრილი გვიჩვენებს, საქართველოში დაბეგვრის ესტონური მოდელის დანერგვის შემდეგ მხოლოდ ერთ მაჩვენებლებზე, კერძოდ, ბრუნვაზე და ისიც მხოლოდ საბაზისო 2017 წელთან შედარებით ფიქსირდება ზრდა ესტონური მოდელის დანერგვამდე ისეთივე 4-წლიან პერიოდში არსებულ ზრდასთან შედარებით (159,4% ნაცვლად 144,6%-სა). ბიზნესის ყველა დანარჩენი მაჩვენებლის დინამიკა, რომლებიც ჩვენ გამოვიკვლიეთ (პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება) შესამჩნევად გაუარესებულა, როგორც საბაზისო წელთან შედარებით, ისე წინა წელთან შედარებით. და ეს შემცირებები მიზერული კი არ არის, არამედ, მეტად შთამბეჭდავი. მაგალითად, პროდუქციის გამოშვება 2017-2020 წლებში წინა 2013-2016 წელთან შედარებით 24,1 პროცენტული პუნქტით შემცირებულა, დამატებული ღირებულება კი - 21,2 პროცენტული პუნქტით.

თქმა იმისა, რომ ამას რაღაცა სხვა ფაქტორი (მაგალითად, „კოვიდ-19“) გამოიწვევდა და არა დაბეგვრის ესტონური მოდელი, მხოლოდ ვარაუდია. საჭიროა ამ მიმართულებით ღრმა კვლევების ჩატარება, რომ გაირკვეს რატომ მივიღეთ ეს შედეგი.

დასკვნა. საჭიროა დაბეგრვის ესტონურ მოდელზე გადასვლის შედეგების კვალიფიციური კომპლექსურ-დეტალური ემპირიული კვლევის ჩატარება, და, იმის გაგება მართლაც გაამართლა თუ არა ესტონურმა მოდელმა ის მოლოდინი, რაც საქართველოს ჰქონდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოლქვაძე ბ. დაბეგვრის ტრადიციული და ესტონური მოდელების ურთიერთმიმართების საკითხისთვის. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #2. 2018.
2. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუნლიკაცია. თბ., 2017.
3. ბიზნეს-სექტორი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 2021.

რეზიუმე

სტატიაში - „რა მისცა დაბეგვრის ესტონურმა მოდელმა გადასახადის გადამხდელ ბიზნეს საქართველოში?“ - ერთმანეთს შედარებულია ბიზნესის ზრდა-განვითარების დინამიკა დაბეგვრის ესტონური მოდელით დაბეგვრამდე (2013-2016 წლები) და დანერგვის შემდეგ (2017-2020 წლები) და დადგენილია ბიზნესის არა ზრდა, არამედ შემცირება. შემცირებულია პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება და ერთ პერიოდში საქონელბრუნვაც. ავტორი აყენებს წინდადებას, რომ ქართველმა მეცნიერებმა ღრმა კვლევები უნდა ჩაატარონ ამ მიმართულებით და დაადგინონ შექმნილი სიტუაცია სხვა მიზეზით მოხდა თუ ესტონურმა მოდელმა ვერ გაამართლა საქართველოს მოლოდინი.

საკვანძო სიტყვები: გადასახადის გადამხდელი; დაბეგვრის ესტონური მოდელი; დაბეგვრის გავლენა ბიზნესზე.

«WHAT DID THE ESTONIAN MODEL OF TAXATION GIVE TO THE TAX-PAYING BUSINESS IN GEORGIA?»

S U M M A R Y

ZAIRA GHUDUSHAURI
Georgian Technical University

ONISE MIRTSKHULAVA
Doctoral of Georgian Technical University

In The article - «What did the Estonian model of taxation give to the tax-paying business in Georgia?» –it is compared the dynamics of business growth and development before the taxation of the Estonian model of taxation (2013-2016) and after its introduction (2017-2020) , it is proved not the growth of business but reduction. It is reduced to produce the production, additional fee and even turnover of goods in one period. The author suggests that Georgian scientists should conduct wide research in this area and determine whether the current situation was justified for another reason if the Estonian model did not live up to Georgia's expectations.

Keywords: Taxpayer; Estonian model of taxation; Impact of taxation on the market.

ახალი გამოცემები

2021 წლის 11 ოქტომბერს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პროფესორ მაია გელანტიას მონოგრაფია “**რუსეთის ფედერაციის ენობრივი პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე: (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართული ენის აკრძალვა)**”.

მონოგრაფიული ნაშრომი, პირველად გამოიცა აქტუალურ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემაზე. გამოცემის იდეა ეკუთვნის მონოგრაფიის ავტორს. ჩვენს რეალობაში პირველად მოხდა ამ თემის მონოგრაფიის სახით წამოწევა. მიუხედავად იმისა, რომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თითქმის 30 წელია, რუსეთის ფედერაციის ენობრივი პოლიტიკის შედეგად: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე: (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში) დაწყებული წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, მთელი ცივილიზებული მსოფლიოს თვალწინ, რეგიონიდან იდევნება ქართული ენა. ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, იკრძალება ქართულად საუბარი, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, რაც რეგიონში ოკუპაციის და იმ დანაშაულებრივი პოლიტიკის გაგრძელებაა, რომლის შედეგად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიზანმიმართულად იშლება, ქრება ქართველი და აფხაზი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში ერთად შექმნილი სულიერი ღირებულებები, ერთობლივი ეთნო ლინგვისტური მოცემულობა.

რუსეთის ფედერაციის ენობრივი პოლიტიკა (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართული ენის აკრძალვა); პირველად გამოცემული ეს წიგნი მრავალმხრივაა საინტერესო, - ის ყურადღებას იპყრობს განხილული საკითხების აქტუალობით, მასშტაბით, მიზანდასახულობით, საკითხის გადაწყვეტის თეორიული და პრაქტიკული მიდგომებით, სამშვიდობო ინიციატივებით, ახალი საგანმანათლებლო კონცეფციით, ახალ საგანმანათლებლო რეალობაში ახალი სამშვიდობო ინიციატივით: ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირების იდეით.

სადაც მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესის განვითარება და აფხაზურ საზოგადოებასთან ნდობის აღდგენისათვის ხელშეწყობა, განათლების გზით, რაც ასახულია სარეკომენდაციოდ შემოთავაზებულ ახალ საგანმანათლებლო კონცეფციაში.

ავტორი აკადემიური დოქტორი მაია გელანტია გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ახალ ინიციატივებს, მათ შორის იმედისმომცემი სწავლების ახალი ფორმატების გამოყენებით, შესაძლებლობებით. სადაც ქვეყნისთვის დისტანციური განათლების ფორმატი, მათ შორის ელექტრონული სწავლება არის, განათლების ხელმისაწვდომობის და სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების შესაძლებლობა, მათ შორის და განსაკუთრებით საგანგებო სიტუაციების დროს. რათა

უზრუნველყოფილ იქნას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების, სკოლის მოსწავლეების მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების რეალიზება, მოსწავლეების და ახალგაზრდების განათლების კონსტიტუციური უფლების განხორციელება.

რადგან, სწორედ, რომ დღეს მოსწავლეებისთვის განათლების და მშობლიურ ენაზე სწავლების პრობლემები გაცილებით უფრო მძიმე და რთულია ვიდრე გასულ პერიოდებთან შედარებით.

რადგან მძიმე საგანმანათლებლო ვითარებას ქართული ენის სწავლების და მშობლიურ ენაზე განათლების უფლების თაობაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გლობალური პანდემიით Covid-19-ით გამოწვეული მსოფ¬ლიო მწვავე კრიზისები დაერთო და როგორც მრავალი ქვეყნისთვის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2020 წლის გლობალურ გამოწვევად იქცა, ამან ყველაზე მწვავე ასახვა ჰპოვა ჯანდაცვასა და განათლების სისტემებში, რაც 2021 წელსაც გრძელდება და სკოლების დახურვა გამოიწვია;

აღნიშნული ნაშრომი ისტორიულ ასპექტებსაც მოიცავს, მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალის განხილვით ავტორი თავის ნაშრომში დეტალურად აანალიზებს აფხაზეთში ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების, 1851 წლიდან დაარსების და განვითარების ეტაპებს, (1851-2021 წლებში).

დიახ, ნაშრომში თითქმის 170 წლის ისტორია და დინამიკაა გაანალიზებული. შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები.

რთულია საგანმანათლებლო გლობალური გამოწვევების პირობებში, წინასწარ იცოდეთ თურა პრაქტიკულ გადაწყვეტას მიიღებს „შემუშავებული და სარეკომენდაციოდ შეთავაზებული ახალი საგანმანათლებლო კონცეფცია“. მაგრამ აქედანვე სარწმუნოა, რომ მას განხორციელების პერსპექტივა გააჩნია; შესაძლებელია, ამოქმედდეს სხვადასხვა ადაპტირებული პროგრამები რომელიც ახალი საგანმანათლებლო კონცეფციის არსს დაეფუძნება და ხელს შეუწყობს საკითხის მოწესრიგებას და სამშვიდობო პროცესის განვითარებას.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომი განკუთვნილია კონფლიქტოლოგების, განათლების სპეციალისტების და ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

ამჟამად მიმდინარეობს მონოგრაფიის ქართულ ინგლისური ვერსიის თარგმნა, რათა ამ მონოგრაფიის შინაარსს გაეცნონ უცხოელი ექსპერტები და სპეციალისტები.

SUMMARY

LINGUISTIC POLICY OF THE RUSSIAN FEDERATION IN THE OCCUPIED TERRITORIES OF GEORGIA
(the condition of the Georgian Language
in Abkhazia and Tskhinvali region)

The development of Georgian school stages before 1851-2021 of general education system in Gali, Abkhazia were studied in monographic research.

General education development forecasts and perspectives are analyzed and compiled.

The “Project Concept of Distance Education for School Students Living in the Occupied

Territories of Georgia" has been developed.

Where the potential opportunities and perspectives of e-learning are discussed.

Prohibition of Georgian language in Abkhazia and Tskhi¬n¬vali region and the development of school infrastructure and the implementation of programs to support students with spe¬cial needs in terms of improving access to distance education will substantially change the educational environment.

The paper is intended for the specialists of both conflictology and education, students of the faculty of education, specialists interested in peacekeeping education, peace Initiatives, issues of the policy of education, and for a broad circle of readers.

ავტორის შესახებ

მაია გელანტია. აქვს სახელმწიფო სამსახურში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. ფლობს აკადემიური დოქტორის ხარისხს Ph/D.

შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს პარლამენტში 2001 წელს. 2001-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ფრაქცია ,,აფხაზეთში", 2008-2009 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტში, 2014 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს პარლამენტს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებულ დროებით კომისიაში.

აღნიშნულთან ერთად ეწევა სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას.

2001-2011 წლებში იყო ICCN – კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის პროგრამების მონაწილე, მათ შორის ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური სამშვიდობო შეხვედრების, 2010 -ში, ,,კიშინიოვი – ტირასპოლი – დნესტრისპირეთი", ქართულ-ოსური შეხვედრის.

მონაწილეობდა საერთაშორისო და ეროვნულ, სამეცნიერო კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები.

P.S.საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ამავე აკადემიის წევრს მაია გელანტიას პირველი მონოგრაფიის გამოცემას და უსურვებს წარმატებებს.

სამძიმრის გვერდი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიის წევრების:

ქალბატონ ნინო მახარაშვილი-ბარათაშვილის

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე, რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიების ავტორი, მისი პროფესიონალიზმი განსაკუთრებით სტუდენტებთან ურთიერთობაში იგრძნობოდა, როგორც ლექტორის, ხელმძღვანელის, კოლეგის და მეგობრობის უდიდესი გრძნობის მატარებელი ქალბატონისა, რომლისთვისაც უცხო იყო ყველანაირი უარყოფითი მიდგომები, იგი ძალიან ახალგაზრდა წავიდა, მაგრამ დაგვიტოვა დიდი სიყვარული და სითბო.

ბატონ ელიზბარ ლომინაძის

ელიზბარ ლომინაძე ასე ვიტყოდით „კაცი ლეგენდა“, პიროვნებაა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ყველა ადამიანის მეხსიერებაში ვისთანაც მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ურთიერთობა ჰქონია, იგი ყველგან უდიდეს სიყვარულსა და ღმერთისაგან ბოძებულ სიკეთეს აფრქვევდა. არამარტო ჩვენმა აკადემიამ, ქვეყანამ დაკარგა ისეთი პროფესიონალი და ბიზნესმენი, რომელმაც არაერთი სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა.

ძნელია ბატონ ელიზბარზე წარსულში საუბარი რამეთუ იგი დიდი ერის კაცი ბრძნადებოდა და ასეთი წავიდა ჩვენგან. მან დაგვიტოვა უდიდესი ტკივილი, რომელიც მარადჟამს იქნება მისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

ბატონ პაატა გიორგაძის

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, რომელმაც მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი, როგორც მაღალი დონის მეცნიერმა და დღეს თუ საქართველოს სტრატეგიული განვითარების პერსპექტივებზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს პროფესორ პაატა გიორგაძის თავდადებული შრომა საქართველოდან სასმელი წყლის ექსპორტზე გატანის პროგრამის განხორციელებაში, რომლის შედეგად დიდი კაპიტალის შემოდინებას შეუწყობდა

ხელს, მაგრამ სამწუხაროდ არ დასცალდა მისი ჩანაფიქრის განხორციელება. დღეისათვის მისი თანამოაზრენი მაქსიმალურად ცდილობენ მისი დაწყებული საქმის გაგრძელებას. ბატონმა პაატამ აკადემიაში მოღვაწეობის განმავლობაში რამდენიმე უაღრესად საინტერესო მოხსენება გააკეთა. აკადემია უდიდესი ტკივილით ეთხოვება თავის აქტიურ წევრს.

ბატონ დავით გვაძაბიას



დავით გვაძაბია ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე 2003 წლიდან ჩვენი აკადემიის წევრი, რომელიც ძალზე აქტიურად იყო ჩაბმული აკადემიის საქმიანობაში, როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. იგი იყო დამაკავშირებელი ხიდი ჩვენს აკადემიასა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიებს შორის, რამაც დიდ შედეგი გამოიღო და დღეს ჩვენი ორი აკადემია ურთიერთთანამშრომლობის პირობებში მაღალ დონეზე ვაგრძელებთ მუშაობას. სამწუხაროდ, ბატონი დავითი და მისი მეუღლე გახდნენ პანდემიის მსხვერპლნი, რაზეც აკადემია დიდ გულის ტკივილს გამოხატავს.

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს, ახლობლებსა და კოლეგებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სული.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღებს აკადემიკოსებს

თეიმურაზ
ბერიძეს

მარინა
იზორიას

პარმენ
ლემონჯავას

გადრი
გეჩბაიას

თინათინ
დარსაველიძეს

ვაჟა
თვალავაძეს

ვახტანგ
დათაშვილს

დათო
ნაჭყებიას

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
და ჟურნალ „მოამბეს" redaქცია
გილოცავთ დამდეგ 2022 წელს